C M Y K

WWW.SAERTOGAZETI.ORG

სამთო გაზეთი

№51 (235) ● 19-25.XII.2012 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● www.saertogazeti.org; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი

kaxa beqauris `kvanturi buRalteria~

bralsvdeb!

ᲧᲝᲩᲘ ᲖᲐᲠᲐᲜᲓᲘᲐ:

„მე მკითხონ, გუნავა როგორ დარბოდა ვაგონებში და როგორ ჯიბგირობდა, სანამ მილიციელი გახდებოდა“

„...ფეხებს ვერ მომჭამს მერაბიშვილი, რადგან მისთვის დოკუმენტებით შეკრული კუბო უკვე გამზადებული მაქვს“

alali vano da martali tea



ISSN 2233-3983

ᲛᲐᲛᲣᲯᲐ ᲐᲠᲔᲕᲘᲫᲔ:

saqartvelosTvis saakaSvili qartveli polpotaa, romelmac Tavis reJimTan erTad, uamravi danaSauli Caidina

ᲰᲐᲛᲚᲔᲢ ᲭᲘᲞᲐᲨᲕᲘᲚᲘ:

ჩადგება ივანიშვილი აშშ-ის სამსახურში? მე ამაში ძალიან დიდი ეჭვი მეპარება, რადგან იმას, რასაც კადრულობდა სააკაშვილი, ივანიშვილი არ იკადრებს!

ᲖᲐᲖᲐ ᲗᲐᲗᲘᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ:

maqvs Tu arauflebaCems axladSeZenili vaJiSvils `hitleri~ an `bin ladeni~ vuwodo!

ᲯᲐᲮᲐ ᲯᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ:

სამწუხაროდ, სასამართლო ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების პოლიტიკური წნეხის ქვეშ იმყოფება

`getoebSi~ `nacionalebi~ unda Cavasaxlot!

პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან 1 მილიონი ლარი გამოყოფას ივანიშვილი ანეკდოტურს უწოდებს

სამოქალაქო სექტორისა და თავისუფალი მედიის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის მიერ საკუთარი სარეზერვო ფონდიდან 1 მილიონი ლარი გამოყოფის ფაქტს, ბიძინა ივანიშვილი ანეკდოტურად მიიჩნევს.

„მედიაში არსებული სიტუაცია ყველამ ძალიან კარგად იცის და ის, რომ საკაშვილი მედიის დამცველი გახდა, თავისთავად ანეკდოტურია", - განაცხადა ივანიშვილმა დღეს ამ ფაქტის კომენტირებისას.

ბიძინა ივანიშვილი: საქართველოში პოლიტიკური რეპრესიები არ არის

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილთან გამართულ დღევანდელ შეხვედრაზე უცხოური მედიის წარმომადგენლები ექს-მაღალჩინსონების დაკავებებით დაინტერესდნენ.

სააგენტო ფრანს-პრესის ცნობით, ივანიშვილმა დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე კატეგორიულად უარყო, რომ წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნების დაკავებები პოლიტიკური ნიშნითაა მოტივირებული.

"ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენა ხდება და არა დასჯა, როგორც ამას ჩვენი ოპონენტები ცდილობენ, წარმოაჩინონ. გარწმუნებთ, რომ არ არსებობს შერჩევითი სამართალი საქართველოში. აქ არ არის პოლიტიკური რეპრესიები", - განაცხადა ივანიშვილმა და დასძინა, რომ არსებობს დიდი ოდენობის დოკუმენტაცია და სამხილები, რომელიც აჩვენებს, რომ საკაშვილის ხელისუფლების ოფიციალური პირები იყენებდნენ ადამიანების დაკავებასა და წამებას პოლიტიკური ანგარიშსწორებისა და საკუთრების კონფისკაციის მიზნით.

ნიკა გილაური: ეს დაკითხვა არ იყო, გამესაუბრნენ

საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური უკვე დატოვა.

როგორც გილაურმა უწყებიდან გამოსვლის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, საგამოძიებო სამსახურში მისი დაკითხვა არ მომხდარა, მას მხოლოდ გაესაუბრნენ.

"ეს არ იყო დაკითხვა, არამედ გამესაუბრნენ რიყის ტერიტორიასთან დაკავშირებით, მაგრამ მე ამ თემაზე არაფერი ვიცი", - აღნიშნა გილაურმა.

ყოფილი პრემიერ-მინსიტრი ნიკა გილაური საგამოძიებო სამსახურში 12:00 საათიდან იმყოფებოდა.

ქუთაისში პარლამენტის შენობასთან აქცია გაიმართება

დღეს, 10.00 საათზე მიხეილ საკაშვილის გადადგომის მოთხოვნის მემორანდუმით გაერთიანებული 30 ორგანიზაციის სახელით საორგანიზაციო ჯგუფი (რეზო ჩხეიძე, თეიმურაზ შაშიაშვილი, მიხეილ ანდღულაძე, ავთანდილ იოსელიანი, ფერდინანდ ლორთქიფანიძე, ლაშა ჩხარტიშვილი, ომარ მხეიძე, ომარ ჟღენტი, გოგი ავსაჯანიშვილი, ვაჟა აზარაშვილი, არკაზარ კაკულია, დიმა ჯაიანი, ლილი ხითური, ვასილ კადანიცი, ნიკოლოზ ასათიანი, გიორგი გაგლოევი, რეზო ძოძუაშვილი, მარინა კაზაშვილი) საინფორმაციო ბრიფინგს გამართავს. სასტუმრო „რედისონის" მიმდებარე ტერიტორიიდან (ადგილი, სადაც იდგა დავით აღმაშენებლის ძეგლი) მოხდება საზოგადოებისთვის ცნობილ ადამიანთა გამგზავრება ქუთაისში. „სიმბოლურად პროტესტის ფორმა გაგრძელდება ქუთაისში. კერძოდ, 19 დეკემბერს, წმიდა ნიკოლოზის ხსენების დღეს ვეწვევით ქუთაისს. 19 დეკემბერი მართლაც ტრაგიკული დღეა. 3 წლის წინათ, ნიკოლოზობა დღეს ქუთაისში აფეთქებული იქნა „ქართულ ბიბლიად და ფილოსოფიურ ტრაქტატად" შერაცხული მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილის და არქიტექტორ ოთარ კალანდარიშვილის ხელთქმნილი დიდების მემორიალი. აფეთქებას შეეწირა უმანკო ბავშვისა და მისი დედის სიცოცხლე. სამწუხაროდ ამ ცოდვილ ადგილზე აგებულ იქნა საქართველოს პარლამენტის შენობა. აქცია შედგება 19 დეკემბერს, 14 საათზე, ზუსტად იმ ადგილზე, სადაც იდგა დიდების მემორიალი.

რადგან 19 დეკემბერი სასესიო დღეა, რეზო ჩხეიძე თხოვნით მიმართავს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს მისცეს შესაძლებლობა 5 წუთიანი სიტყვით მიმართოს საქართველოს პარლამენტს", — ნათქვამია საორგანიზაციო ჯგუფის განცხადებაში.

`medianiusi~

vin miscauflleba `nacmoelebs~, qarTvelixalxis moamageze, biZina ivaniSvilze augisityva Tqvan?

სამყაროში ყველაფერი წარმავალია, მათ შორის, ცუდი და კარგი საქმეები, ჭკვიანი, ერის მოყვარული და ერის მოძულე ხელისუფალნი. დროს ყველაფერი მიაქვს, ყველაფერს ჭამს და ყველაფერს ინელებს.

გაივლის საუკუნეები და არავის ეხსომება დღევანდელობა და ის განცდები, რასაც ჩვენ განვიცდიდით, არავის ეხსომება ერისა და ქვეყნის მოჭირნახულე თუ მოძულე პიროვნებები, მაგრამ თუკი ერი დაკნინდება, ან ღმერთმა დაიფაროს და, გაქრება, მაშინ, რა თქმა უნდა, ჯოჯოხეთის გენიას გადაეცემა, ვინც მიიღო მონაწილეობა ამ საშინელ მომავალში, მაგრამ ჩვენთვის, რიგითი ქართველებისთვის, ეს ვერაფერი შეღავათია, ამით ის მინდა გითხრათ, რომ საქართველოში ღირსეულ ქართველს არ აინტერესებს არავითარი პირადული, მათ უყვართ თავიაანთი ქვეყანა და ყველაფერს გააკეთებენ, რათა იხსნან სამშობლო დაქუცმაცებისა და განადგურებისაგან, რისი რეალური საფრთხეც დღეს უკვე სერიოზულად არსებობს, დიახ, არსებობს! და ეს უნდა გაითვალისწინოს ყველა ქართველმა და საქართველოს მოქალაქემ, ყველა პატრიოტმა, რომ საქართველო მაშინ გააგრძელებს თავის არსებობას მსოფლიო ისტორიაში, როდესაც ის დაიცავს ყველა ღირებულებას და ფასეულობებს, რაც ჩვენს დიდებულ წინაპრებს უანდერძნიათ და გული და სული შეუწირავთ ქვეყნის გადარჩენისთვის.

წავიდა ყოფილი ხელისუფლება, მაგრამ წავიდა ნახევრად, დაგვიტოვა თავისი ლიდერი, ხოლო დანარჩენი ნაცმოელები მშვიდად მოყუჩდნენ საკანონმდებლო ორგანოში, საიდანაც ისვრიან ახალი ხელისუფლების მიმართ შხამიან ისრებს და აბრალებენ მათ იმას, რასაც თვითონ უსინდისოდ და უნამუსოდ ჩადიოდნენ. რას ჩადიოდნენ? მკვლელობა, ყაჩაღობა, საკუთრების წართმევა, წილების დასაკუთრება, გემის ჩამორთმევა, ცეცხლის წაკიდება, შეთხზული ტერორისტული აქტები, უდანაშაულო ადამიანების ციხეებში გამოკეტვა.

სისხლის სამართლის კოდექსში არ არსებობს მუხლი, რომლის შესაბამისი დანაშაულებრივი ქმედება მათ არ ჩაუდენიათ ან მონაწილეობა არ მიუღიათ. ახლა კი დაჰქრიან ევროპისა და ამერიკის ქალაქებში და წარსულში მათ მიერვე მოსყიდულ ევროჩინოვნიკებს და ზოგიერთ ამერიკელ კანონმდებელს აგულიანებენ საქართველოს წინააღმდეგ, თან ნიანგის ცრემლებით ტირიან — არიქა, გვიშველეთ, აშენებული ფეხზე დამდგარი ქვეყანა, დემოკრატიული ღირებულებები გველუპებაო, ახალი დიქტატორი მოგვევლინაო.

აი, აი, აი, ვინ ვის ?!

ისე, ნათქვამია, კაცს ისეთი რამ უნდა დააბრალო, რაც ფიქრად არ გაუვლიაო, გაოგნდება და სანამ მოიფიქრებს, რა მოიმოქმედოს, ან რა გიპასუხოს, შენ შენსას გააკეთებ, დიახ, ასეთი მეთოდებით ცხოვრობდნენ ეს ნაძირლები, ასეთი იქნებიან ყოველთვის, ვინაიდან ასეთი მოდგმისანი არიან, ასეთი ჯიში აქვთ.

ესენი არ არიან ქართველები, ისინი პატივს არ სცემენ უფროს თაობას, არ აქვთ გააზრებული ჩვენი დიდი წინაპრების დამსახურება, არც იმას თვლიან არაფრად, რომ საქართველოში და, საერთოდ, მთელ კავკასიაში ყოველთვის იყო პატივისცემა და მოწიწება უფროსის მიმართ. მათ არაფრად მიაჩნიათ, რომ ამ ქვეყნად მოღვაწეობდნენ და ქართულ დიდ ღირებულებებს ქმნიდნენ, ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი, ჯავახიშვილი, გამსახურდია, ლეონიძე, ასათიანი, ტიციან ტაბიძე, მათ გოგებაშვილის საოცარი "აი ია" სწავლებიდან ამოიღეს, ხოლო დეისაძის და ბურჭულაძის „შემოქმედებით" გვატკბობდნენ.

ქართველი ერი ორმოცდარვა საუკუნეა ითვლის თავის არსებობას, სამყაროს ისტორიაში ქართველი ერი იხსენიება მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ არ არიან შუამდინარეთის ბერძენთა და რომაელთა ცივილიზაციები, ხოლო ფარაონები რვა საუკუნის შემდეგ გამოჩნდებიან. რა არის მიზეზი ქართველთა ასეთი ხანგრძლივი არსებობისა, ჩვენ ხომ პატარა ერი ვართ, ხოლო ძველი ერები უფრო დიდები, როგორიც იყვნენ აცტეკები, შუმერები, მთელი შუამდინარეთი, ლათინები, რომლებიც მხოლოდ სამედიცინო წარწერებზე შემორჩნენ, ისე გადაშენდნენ, რომ მათი შთამომავალი დღეს ვინ არიან ან რომელ ენაზე უბნობდნენ, ვერანაირი მეცნიერება ვერ ადასტურებს, ხოლო ქართველი ერი მშობლების და წინაპრების მოსიყვარულე ერი, ერი, რომელმაც ყველა დროში და საუკუნეში შეიტანა თავისი ღირებულებები და ღირსებები მსოფლიო ცივილიზაციაში აგრძელებს არსებობას და ასე იქნება უკუნითის უკუნისამდე.

დღეს კი რას ვხედავთ, მიდის ბრძოლა თან შემართებული ბრძოლა იმ ღირებულებებისა და ტრადიციების წინააღმდეგ, რომელიც საუკუნეებით ამშვენებდა ქართველებს, რა გენდერული თანასწორობები უნდა გვასწავლონ, როდესაც მსოფლიოში ეპოქის უძლიერესი მეფე XII-ე საუკუნეში ქართველი ქალი იყო. მათ უარყვეს ადამიანთა ასაკი, მიიჩნიეს, რომ ორმოცი წლის შემდეგ არც სახელმწიფო და არც საზოგადოებრივ სამსახურში არ შეიძლება იყოს პიროვნება. სასწაული ის არის, რომ ეს არ შეხებია მხოლოდ სახელმწიფო აპარატში მომუშავე პიროვნებებს, ეს შეეხო პროფესორებს, ექიმებს, პედაგოგებს, არქიტექტორებს და ყველა იმ სპეციალისტს, რომლებიც ქმნიდნენ მსოფლიო დონის პროდუქციას.

ევროპისა და ამერიკის წინაშე თავი იმით იმართლეს, რომ ეს ადამიანები საბჭოთა კავშირში ცხოვრობდნენო და საბჭოთა პარტიულ იდეოლოგიას ეთანხმებოდნენო, ეს მაშინ, როდესაც თვითონ ნაცმოელები, ვინც საბჭოთა კავშირის დროს მოესწრო, პარტიული და კომკავშირული აქტივისტები იყვნენ, ხოლო ვინც ვერ მოესწრო, მათი მშობლების უმრავლესობა კომუნისტური პარტიის წევრები და პარტიული ფუნქციონერები იყვნენ, ამით ის კი არ მინდა ვთქვა, რომ იმ საზოგადოებაში მცხოვრები ადამიანები ცუდები იყვნენ, პირიქით, იქ იყვნენ უღირსეულესი ადამიანები, ცნობილი მეცნიერები, მსახიობები, მწერლები, პოეტები, სპორტსმენები, მსოფლიო მასშტაბის ადამიანები, როგორც პარტიული ფუნქციონარები, ასევე კომპარტიის წევრები, რომლებიც ასევე მზად იყვნენ თავი გაეწირათ თავიაანთი სამშობლოსათვის.

არ შეიძლება არ ავღნიშნოთ სახელმწიფოს ძირითადი კანონის, კონსტიტუციის, პიროვნებებზე მორგების შესახებ, რომელიც გაუგონარი მკრეხელობაა, რა იგულისხმება, მკითხველი, ალბათ, მიხვდება, ასევე არ შეიძლება არ ავღნიშნოთ სისხლის სამართლის კოდექსისა და საპროცესო კანონმდებლობის დამახინჯების შესახებ. როგორც ზემოთ ავღნიშნე, ნაცმოელებმა მთელ ცივილურ სამყაროს მოსდეს ამბავი, როგორი დიქტატურაა ქვეყანაში და იქვე აღნიშნეს, რომ, რაც მთავარია, მედია არ არის თავისუფალიო და ახლახან პრეზიდენტმა გამოყო თანხა ერთი მილიონის ოდენობით მედიის დასახმარებლად, კი, მაგრამ, ვინ დაუშალა წარსულში ამის გაკეთება, როდესაც მედიის წარმომადგენელთა შვილებს და ოჯახის წევრებს რომ აპატიმრებდა. მოკლედ, ყველა მიწიერი და არამიწიერი ცოდვები მიაწერეს ადამიანს — ბიძინა ივანიშვილს, რომელსაც ენდო მთელი საქართველო და ყველას უწესიერეს და უპატიოსნეს ადამიანად მიაჩნია.

მათ, ნაცმოელებს, ქართველი ერი ბრიყვები ჰგონიათ, 45 000 პატიმარი და 300 000 პრობაციონერი გაუშანშალეს ქვეყანას, ამ ადამიანთაგან 2/3 მე პირადად უდანაშაულოდ მიმაჩნია, შეიძლება, ზოგიერთი მათგანის მიერ ჩადენილი ქმედება შეიცავდეს ფორმალურად დანაშაულის ნიშნებს, მაგრამ არ იმსახურებდეს საპატიმროში გამომწყვდევას, არაადეკვატური სასჯელი იგივეა, რაც უკანონო მსჯავრდება. უამრავ ადამიანს ჯოჯოხეთი გამოატარეს, ვინც მათ მხარს არ უჭერდა, ბიზნესიდან დაწყებული, სახლ-კარით დამთავრებული, ყველაფერი წაართვეს. მოქალაქეებს საცხოვრებელ ბინებში შეუვარდნენ და შესამოსელის გარეშე გარეთ გამოაგდეს, სცემეს, აწამეს, ცოცხის ოპერაციები ჩაუტარეს, ხოლო ზოგიერთი კი გააქციეს და ქვეყნიდან გადაკარგეს, ყველა არჩევნები გააყალბეს, პროტესტის გამომხატველი ადამიანები ციხეებში ჩაყარეს და ყველანაირი ჯოჯოხეთი მოუწყვეს. ყველა ამ უბედურების შემდეგ მოვიდა ღვთისნიერი ადამიანი ხელისუფლებაში და მოინდომა ქვეყანა ქვეყანას დამსგავსებოდა, ეცნენ ნაცმოელები და არჩევიდან მესამე დღეს მოსთხოვე: „აი, კახეთში რომ ხალხს ხვნა-თესვის საშუალებებს დაჰპირდი, რატომ არ შეასრულეო?" ამის შემდეგ მოედვნენ მთელ მსოფლიოს და ყველაზე ცნობილი გაზეთებით მოსყიდულ რესპონდენტებს შეკვეთილი სტატიები დაუბეჭდინეს, თუ როგორ მოევლინა საქართველოს ასეთი დიდებული დემოკრატიის შემდეგ ულმობელი დიქტატორი.

ხალხო, ესენი ვინ არიან? ესენი საიდან არიან? ვინ მისცა ამათ ამდენი უფლება, რატომ ყელყელაობენ დღესაც და რიხით გამოდიან პარლამენტის სხდომებზე, ამდენი დანაშაულის ჩადენის შემდეგ მთელი საქართველო მათი წინააღმდეგია, დიახ, მათი წინააღმდეგია!

მე არ ვიცნობ ადამიანებს, ამათ რომ აქებდეს, მე არ ვიცნობ მოქალაქეებს, ამათი კმაყოფილი რომ იყოს, თვითონ ისინიც, ვისაც სხვისი ქონება გაუფორმეს შიშითა და კრძალვით არიან — ეშინიათ!

ვაჟა აბაკელია,
AIB ქართულ-გერმანული უნივერსიტეტის სრული პროფესორი

„საერთო გაზეთი"
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა"
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (udc) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

saqarTvelosTvis saakaSvili qarTveli polpotaa, romelmac Tavis reJimTan erTad, uamravi danaSauli Caidina

გვესაუბრება ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე:

— ბატონო მამუკა, საზოგადოებაში უკმაყოფილებაა. ხალხი მიიჩნევს, რომ დაპატიმრებები არასწორად, უგერგილოდ მიდის — კრიმინალებს, მკვლელებს „ქათმის ქურდობისთვის“ იჭერენ. თუმცა არც ამით იცვლება რამე — ახალი ხელისუფლების მიერ დაჭერილ პირებს საკაშვილის მოსამართლეები ათავისუფლებენ. რასთან გვაქვს საქმე?

— იმ შეცდომებს ვერ გავიმეორებთ, რასაც „ნაციონალური მოძრაობა“ აკეთებდა, იგი ადამიანს იჭერდა და შემდეგ ცდილობდა მისთვის დანაშაულის დამტკიცებას. ამას მსოფლიო საზოგადოება დიდი ყურადღებით აკვირდება. ამიტომ „ქართული ოცნება“ ცდილობს ნებისმიერ ადამიანს, რომელიც დაკავებულია, იურიდიულად გამართლებული არგუმენტები დაუდოს. ხშირად მესმის, რომ დაკავება არაქმედითი მიზეზით ხდება, მაშინ, როცა პირს უფრო მეტი დანაშაული აქვს ჩადენილი. იმ, მეტ დანაშაულს მეტი მტკიცებულების მოგროვება სჭირდება. აქედან გამომდინარე, ადამიანს, ზოგ შემთხვევაში იმ დანაშაულისთვის იჭერენ, რომელიც ზედაპირზე დევს, შემდეგ მიდის გამოძიება და უფრო მეტი დანაშაულობები ემატება, რაც ახალაიას შემთხვევაში მოხდა. იურიდიული ბაზის შექმნა მნიშვნელოვანი მომენტია, მაგრამ ეს ყველაფერი დროში იწელება, ხალხს სისხლი, ამ ადამიანების დასჯა დღეს სჭირდება და არა ორი თვის მერე. იმიტომ, რომ საზოგადოებაში ბევრია ისეთი პიროვნება, რომლებიც, კონკრეტულმა დამნაშავეებმა, გაამწარეს, გააუბედურეს. ისინი დღეს თქვენი თქმის არ იყოს „ქათმის ქურდობისთვის“ არიან დაჭერილი, მაგრამ აბსოლუტურად მხარს ვუჭერ იმას, რომ ყველა მტკიცებულებები ზუსტად იყოს მოპოვებული. რაც შეეხება დაპატიმრებების ნაწილს, აქ არის ასეთი ცინიკური მომენტი — ზოგ შემთხვევებში, ამ ადამიანებს, მათი ყოფილი თანამებრძოლები იჭერენ. ეს ყურადღებამისაქცევი ფაქტია — იმისთვის, რომ საზოგადოების გარკვეული მოთხოვნები დაკმაყოფილებულიყო, ახალ, ხელისუფლებას ქმედება პირველივე დღიდან უნდა დაეწყო, ანუ მას არ ჰქონდა დრო, რათა სამართალდამცავ სისტემაში მასშტაბური ცვლილებები განეხორციელებინა. ანუ შეემოწმებინა ყველა იქ მომუშავე ან შეესწავლა მათი ბიოგრაფია და ყველა შეეცვალა. ჯერ ერთი „ნაციონალური მოძრაობა“ თავიდანვე ერთი პრინციპით მოქმედებდა — ყველა, ვინც სამართალდამცავ სისტემაში მუშაობს ამა თუ იმ დანაშაულში უნდა იყოს გასვრილი, რათა მას გვერდზე გახედვის საშუალება არ ჰქონდეს. ამ ადამიანების მოცილება სისტემის სტაგნაციას გამოიწვევდა. პირველი ნაბიჯები, რაც გადაიდგა, მართალია არ იყო ძალიან ხმაურიანი და ეფექტური, მაგრამ პროცესი დაწყებულია და ამაში ის ადამიანებიცაა ჩართული, რომლებიც წლების მანძილზე ამ რეჟიმს ემსახურებოდნენ. სხვათაშორის, ფართო საზოგადოებას ერთი რამ გამორჩა — ამ რეჟიმის მსახურნიც, რომლებიც დღეს სისტემაში არიან დარჩენილნი, რამდენიმე მათგანი დაპატიმრებულია. ასე, რომ მოთმინებაა საჭირო, მაგრამ სხვა საკითხია თუ პროცესი არ მოგწონს და მისი არ გჯერა. ამაზე შეგვიძლია ვიდავოთ და ბევრი საკამათოცაა. თუნდაც, კადრებთან და იმასთან დაკავშირებით, რომ ბევრი დამნაშავე ისევ გარეთაა. რაც შეეხება სასამართლოს, ეს არის მეორე საკითხი, რაც ასევე ხელს უშლის სამართლიანობის აღდგენას. მოსამართლეების გარკვეული ნაწილი „გასვრილია“ და მათზე მმართველ პარტიას უამრავი კომპრომატი აქვს, რისი გამომზეურებაც ყოველთვის შეუძლიათ. მაგალითად, მოსამართლე ჩემიას უამრავი დანაშაული ჩაადენინეს. ამიტომ სასამართლოს წინააღმდეგობის დაძლევა ძალიან რთულია. მოსამართლეებიც ადამიანები არიან და კარგად ხედავენ საზოგადოების განწყობას. შესაბამისად, საზოგადოების განწყობებმა იმუშავა იმ შემთხვევებში, როდესაც მათ მავანნი გიორგოს ფასად არ გამოუშვეს სწორედ საზოგადოების განწყობებმა იმუშავა.

— ვინ მავანი გყავთ მზედველობაში, ერთადერთი ბაჩო ახალაია არაა გამოშვებული, სხვა დანაშაულები, თუნდაც მისი ძმა თავისუფლად დასეირნობენ ქუჩებში.

— მარტო ახალაია არ არის ასეთი, არამედ დაჭერილია რამდენიმე საშუალო რგოლის პოლიციელი, რომელთაც საზოგადოების წინაშე საკმაოდ სერიოზული დანაშაულები მიუძღვით. ავიღოთ გიორგი ყავლაშვილის მაგალითი, რომელიც კუდ-ში განყოფილების უფროსი იყო და დღეს თავდებითაა გამოშვებული. საქმე ისაა, რომ მას პირადად მიუძღვის დანაშაული იმაში, რომ აქ გიორგი სიბაშვილი მოიგზავნა. ყავლაშვილის წინააღმდეგ უამრავი საქმე შეიძლია დავდო. მისთვის არ მიჩივლია, არადა მან დაგეგმა და მოაწყო ეს ოპერაცია.

— რა მოსაზრებით დაინდეთ იგი?

— იმიტომ, რომ ზუსტად ვიცი — იგი სისტემის ნაწილი და მსხვერპლი იყო. ის საქმე, რომელიც მის წინააღმდეგაა აღძრული, მას ისედაც ბევრ სხვა საქმეს აჰკიდებს. იგი არსად წამსვლელი არაა. ასეც რომ იყოს, არსებობს წითელი ცირკულარით ძებნის პერსპექტივა, რაც მას არ აწყობს. სხვათა შორის, „ნაც. მოძრაობა“ მხოლოდ სამართალდამცავთა ელიტას აძლევდა დიდი ფულის კეთების საშუალებას, დანარჩენებს არაფერი ჰქონდათ. ამიტომ მათი ქვეყნიდან გაქცევა ნონსენსია — აქ იქნებიან მათხოვრები თუ იქ, ამას რა მნიშვნელობა აქვს. გიორგი ყავლაშვილისნაირებს შანს ვაძლევ, მათი მუშაობა უფრო ეფექტური იყოს. ანუ ვეუბნები შემიძლია დაგიმძიმო დანაშაული, მაგრამ ასე არ ვიქცევი. გიორგი ყავლაშვილმა გასცა ბრძანება, რათა ჩემს მეგობარს მანქანა ჩამორთმეოდა და მთავრობისთვის აჩუქებინეს. „საერთო გაზეთის“ მეშვეობით მინდა მან გაიგოს, შემიძლია დავუმძიმო დანაშაული, მაგრამ ამას შეგნებულად არ ვაკეთებ, რადგან ვიცი, რომ მას, ზოგადად ამ ჯგუფს სხვა ბევრი მსხვილი დანაშაული აქვს ჩადენილი და ამის გამოააშკარავების პროცესი აშკარად მიდის.

— თუმცა ეს პროცესი მიშას სასამართლოში რამდენად გამოიღებს ეფექტს?

— ერთი რამ გავიგოთ, თუ ამ ტერმინით ვიმსჯელებთ დღეს, სამართალდამცავ სტრუქტურებშიც არიან მიშას ხალხი და სასამართლოშიც. მიშას ხალხი დღეს ყოფილ თავისიანებს — მიშას ხალხსავე იჭერს. მინდა ერთ ფაქტორს შევეხო — ესაა საკადრო საკითხი, რაც საზოგადოებას არ ესმის და ვერც გაიგებს. კერძოდ, პროკურორები, პოლიციელები, რომლებიც ხალხს უსამართლოდ დევნიდნენ, დღეს ისევ თანამდებობებზე არიან, ან ახლა დაინიშნენ. ერთ-ერთი პოლიტ. პატიმარი საბუთების მოსაგროვებლად პროკურატურაში მივიდა და დაინახა, რომ ის პროკურორი, რომელმაც იგი დაიჭირა ისევ იმ თანამდებობაზეა. მან გაუქანა და დაარტყა ამ პროკურორს, რაც ხახვივით შერჩა. ეს ხომ არაა სწორი, ხომ არ შეიძლება პროკურორი მის ოთახში სცემო და ეს შეგრჩეს?! შერჩა იმიტომ, რომ დღეს ეს მანკიერი მომენტი არსებობს დამნაშავე პროკურორი ისევ იქ ზის. ეს 26 მაისის მონაწილე პოლიტ. პატიმარი, რადგან გაუვიდა, წავა და ხვალ მეორე პროკურორს სცემს.

— წელან ახსენეთ დაჭერების თემაზე წინა ხელისუფლების შეცდომა არ უნდა გავიმეოროთო. მაგრამ განა შეცდომა იქნება თუ კრიმინალს კრიმინალისთვის დავიჭერთ და არა კარაქის ქურდობისთვის? და აქვე მინდა გკითხოთ რატომ ვერ ხერხდება დღემდე მერაბიშვილის დაპატიმრება მიუხედავად არსებული არაერთი ფაქტორისა.

— ეს ძალიან მნიშვნელოვანი თემაა. თქვენ მეკითხებით, ბობოლებს რატომ არ იჭერენო. გპასუხობთ — მართალი ხართ, განსაკუთრებული დანაშაულის ჩამდენი ბობოლები უნდა დაიჭირონ. ასეთი ბობოლების დაჭერის ცერემონიალი, „ვარდების რევოლუციით“ გამარჯვებულმა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ჩაატარა. აქ ცოტა სხვა მომენტია. ზოგ შემთხვევაში, ამ ბობოლების ქვევით მყოფ ადამიანებს იჭერენ. ამით ვხედავ, რომ ბობოლებს დასყრდენს აცლიან და იურიდიული მტკიცებულებების შეგროვებით და არა გონივრული ეჭვით, ბობოლებზე გადიან. მაგალითად, იცით რომ დააპატიმრეს ლევან თუმანიშვილი — ვანო მერაბიშვილის ბიძა, რომელიც სამცხე-ჯავახეთში ხე-ტყის ბიზნესის მონოპოლისტი იყო. ეს ყველამ ვიცოდით. იგი ამას ვერ გაბედავდა, რომ არა მერაბიშვილის მფარველობა. შეგვიძლია დასკვნები გამოვიტანოთ — ეს გზა ვანოსკენ მიდის.

იმისთვის, რომ შეფასდეს კრიმინალურია თუ არა, მერაბიშვილის ქმედებები საჭიროა უამრავი მტკიცებულების მოძიება, განსაკუთრებით ეკონომიკური დანაშაულის ნაწილში. ეს ერთ დღეში, მარტივად ვერ მოხდება. მერაბიშვილი ის კაცი არაა, რომ ქონებები თავის სახელზე გაეფორმებინა. ამიტომ მტკიცებულებების მთელი ბაზაა შესაქმნელი.

— ახალი ხელისუფლების წარმომადგენლების დიდი ნაწილი ხელისუფლებას კრიმინალურ და დანაშაულებრივ რეჟიმს უწოდებდა. უნდა დაიდოს თუ არა დასკვნა, რომ სახეზე იყო ფაშისტური რეჟიმი. როდის უნდა მოხდეს ამის პოლიტიკური შეფასება და შემდგომ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა?

— დიახ, ეს აუცილებელია, მაგრამ ამას თავისი დრო სჭირდება. ამისთვის საუკეთესო მომენტია გაზაფხული, მარტი, როდესაც რეჟიმის წინააღმდეგ შესაბამისი მტკიცებულებები დაგროვდება. ეს მტკიცებულებები, როგორც საქართველოში, ისე დასავლეთშიც უნდა გამოქვეყნდეს. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ მინდა გითხრათ, ჩვენ არ ვართ მიჩვეული ამ ტიპის სისტემურ მიდგომას. მაგალითად, საზოგადოების სურვილია 2008 წლის მოვლენების შეფასება. ეს უნდა გამოიძიონ, მაგრამ პირდაპირ ვამბობ, საფრთხილო თემაა. იმიტომ, რომ საბოლოო ჯამში შეიძლება მივიდეთ ოფიციალურ დასკვნამდე, რომ ომი საქართველომ დაიწყო. თავის დროზე საკაშვილის ხელისუფლებამ უმძიმესი შეცდომა დაუშვა, როდესაც არ გააპიარა 5 აგვისტოს, თავისი სამშვიდობოების სიკვდილი, რუსეთის მთავარი თავდაცვითი არგუმენტი სწორედ ესაა — ისინი ამბობენ სამშვიდობოები დაგვიხოცესო. ჩვენ კი ამას შესაბამისი ჟღერადობა არ მივეცით, არადა ჯერ ხომ ჩვენი სამშვიდობოები დაიხოცნენ?! ამიტომ, ამაზე პოლიტიკური დასკვნის დადება ძალიან საფრთხილოა. მეორე, ჩემთვის აუცილებელია ლაფანყურის საქმის გამოძიება. იმიტომ, რომ, როგორც კავკასიოლოგს, ძალიან მჭირდება ჩრდილოეთ-კავკასიელების თვალში ქართული მხარის გათეთრება მოხდეს. ესეც ძალიან სახიფათო თემაა. გამოდის, რომ საქართველოს ხელისუფლება, ანუ ქართველი ხალხი, ამას ეგუებოდა, 8 თვის მანძილზე შეიარაღებულ ბანდფორმირებას ამზადებდა და კაცშვილმა ხმა არ ამოიღო (!) ლაფანყურის ორგანიზატორების ნაწილი ციხეშია, მეორე, ნაწილი ყოველ დილით კუს ტბაზე დარბის. ჩემთვის ყველაფერი ცნობილია. ნაწილს დაკითხვაზე იბარებენ — უშვებენ, ისევ იბარებენ — უშვებენ.

საჭიროა ყველაფერზე პასუხი მივიღოთ, ოღონდ ფრთხილად, რათა საქართველოს იმიჯი ზედმეტად არ შეილახოს. რაც შეეხება რეჟიმის შეფასებას, ეს უნდა მოხდეს მთლიანობაში, ყველა მისი ქმედებიდან გამომდინარე: როგორ გაიძარცვა ქვეყანა, როგორ დაინგრა შეგნებულად სოფლის მეურნეობა, როგორ მოხდა ხალხის გაყვანა საქართველოდან, უცხოელებზე ქართული მიწების მიყიდვა (30 ათასი ჰექტარი მიწა გასხვისებულია) როგორ მოხდა მკვლელობები, ამ წელიწადს, დაახლოებით 700 ადამიანი ციხეებში დაილუპა, როგორ მოხდა გენოფონდის განადგურება. ეს ყველაფერი ერთად უნდა შეიკრიბოს და დაიდოს, შესაბამისად, მერე უნდა შეფასდეს. ესაა კოლოსალური დანაშაულებრივი ქმედება ერის წინაშე. შეიძლება პოლპოტის დონე არ არის, როდესაც 3 მილიონი კამბოჯიელი გაწყვიტეს, მაგრამ პატარა საქართველოსთვის სააკაშვილი ქართველი პოლპოტაა. ეს მიზანმიმართული ქმედებები უდიდესი დანაშაულია ერის წინაშე. ჩემთვის ცნობილია იმ დოქტრინის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოეხდარიყო ქართული სოფლის განადგურება, ამის დოკუმენტები არსებობს, როგორ უნდა გამხდარიყვნენ ქართველი გლეხები ლუმპენები, რომელიც ადვილი სამართავია და ა.შ. იდეოლოგიური, ეკონომიური და ყველანაირი ბრძოლა საქართველოს წინააღმდეგ უნდა შეფასდეს.

— ბოლოს მინდა გკითხოთ, რა როლი აკისრია ამ ყველაფერში ქართველ საზოგადოებას, რომელიც დღეს პროცესებს ჩამოშორებულია. იგი აღარ არის მონაწილე, არამედ მაყურებელია. ეს რამდენად სამართლიანად მიგაჩნიათ?

— არ არის სამართლიანი, მაგრამ ეს საზოგადოების ბრალია. იგი აქტიური უნდა იყოს, როცა საჭიროა მიტინგიც უნდა მოაწყოს, დემონსტრაციაც, თუ საჭიროა პიკეტირებაც. მოკლედ, საზოგადოებამ თავისი მონაპოვრის შენარჩუნებისთვის ყველაფერი უნდა გააკეთოს.

თამარ შველიძე
555 23 28 24

კახა ბექაურის „კვანტური ბუღალტერია“ და აპოკალიფსი საქართველოს ტელევიზიაში!!!

„საერთო გაზეთის“ წინა ორ ნომერში, მე ჟურნალისტი ირინე გოგოსაშვილი ვიუწყებოდი, რომ მე-9 არხიდან სკანდალით წამოსული გენდირექტორის კახა ბექაურის წარსული, „ნაც. მოძრაობასთან“ ერთობ საეჭვოდ იყო მიბმული, მაგრამ, ჩემდა გასაოცრად, აღმოჩნდა, რომ ბექაურისა და „ნაც. მოძრაობის“ მჭიდრო კავშირები ჯერ კიდევ ე.წ. „ვარდების რევოლუციამდე“ დაწყებულა და მეტიც,

სწორედ „რევოლუციამდე“ რამდენიმე საათით ადრე შემდგარა ფარული მოლაპარაკება ზაზა შენგელიასა და ვანო მერაბიშვილს შორის იმის შესახებ, რომ ფინანსური აფიორების გამო შენგელიასა და ბექაურს, ახალი ხელისუფლება დაინდობდა, აპატიებდა სახელმწიფო თანხების დატაცებას და მეტიც, უკვე 2004 წლის თებერვალში კვლავ ტელევიზიაში ხელმძღვანელ პოსტებზე დააბრუნებდა!!! (?)

ცნობისთვის, ეს მართლაც ასე მოხდა და ნოემბერში „გადამდგარი“ შენგელია თებერვალში ისევ ტელევიზიის შეფად მოგვევლინა!!!

მეტი სიცხადისთვის განვმარტავ, იმასაც, რომ დღეს, „საერთო გაზეთში“ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და კონტროლის პალატის მიერ დადებულ დასკვნას, 1999, 2000, 2001–2002 წლებში მაშინდელი ოპოზიცია, ანუ „ნაც. მოძრაობაც“ საგულდაგულოდ იკვლევდა და ამ კვლევის ორგანიზატორები, როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, ვანო მერაბიშვილი და დათა ახალაია ყოფილან. (?)

მაშინდელი პრესა გადაჭედილი იყო „საქტელერადიომაუწყებლობაში“ არსებული უხეში ფინანსური დარღვევების ფაქტებით, მაგრამ, როგორც ზაზა შენგელიას, ისევე მის მოადგილეს ფინანსების დარგში კახა ბექაურს, არავინ იბარებდა პროკურატურაში, რადგან მაშინდელი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე მფარველობდა მათ.

როგორც ცნობილია, მაშინდელი ოპოზიცია, ანუ „ნაციონალური მოძრაობა“, განსაკუთრებულად „ებრძოდა“ ტელევიზიის ხელმძღვანელობას და ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დაპატიმრებით ემუქრებოდნენ მათ. თუ გახსოვთ, იმასაც ექადნებოდნენ, რომ წლების განმავლობაში მოპარულ ფულებს, სულ კაპიკ-კაპიკ დაუთვლიდნენ, უკან მოატანინებდნენ და ტელევიზიის ტანჯულ, გაძარცულ თანამშრომლებს დაუბრუნებდნენ. „ნაციონალებსა“ და ტელევიზიის მაშინდელ ხელმძღვანელობას შორის „დაძაბულობის“ პიკი მაშინდელი მიტინგები გახდა და 2003 წლის 23 ნოემბრამდე 1 კვირით ადრე ტელევიზიის დირექტორი ზაზა შენგელია შეთანხმებისამებრ „გადადგა“ კიდეც, მაგრამ ასევე შეთანხმებისამებრ, გამარჯვებულმა „ნაც. მოძრაობამ“ მალევე, 2004 წლის თებერვალში, კვლავ ტელევიზიაში დააბრუნა თავისი გუნდით, ანუ ბექაურით და ა.შ.

„აუ, მაგისი, დასაჭერია ეგ ნაბიჭვარი“ „სად წაიღეს ამხელა ფული,

ტო?“, „შევარდნაძე, ფაფუ, ახლა ნახეთ, რას ვუზამთ მაგ ბიუჯეტის კრისებს?“ — იქადნებოდნენ, ჯერ კიდევ ოპოზიციაში მყოფი ვანო მერაბიშვილი, დათა ახალაია, ზურაბ ადეიშვილი და წინ 1999 წლის 1 ივლისიდან 2002 წლის 1 იანვრამდე კომპლექსური შემოწმების სქელტანიანი დასკვნა ედოთ, რომელიც კონტროლის პალატამ „საქტელერადიომაუწყებლობაში“ ჩაატარა.

ზემოთ მოყვანილი მუქარა ჩემი ფანტაზიის ნაყოფი ნუ გეგონებათ, ძვირფასო მკითხველებო. ეს და უფრო უარესი იმ ადამიანებმა მიამბეს, რომლებიც ტელევიზიაში შექმნილ მძიმე ფინანსურ ვითარებაზე მაშინდელ ოპოზიციასთან თანამშრომლობდნენ და იგივე ვანოს, იგივე დათას და ა.შ. დღეში რამდენჯერმე ხვდებოდნენ ახალ-ახალი ინფორმაციებით.

მერწმუნეთ, გული გაგიხკდებათ ფურცელ-ფურცელ რომ წაიკითხოთ მაშინდელი კონტროლის პალატის დასკვნა... აი, თუნდაც ეს ამონარიდი:



„ხელფასებისა და ჰონორარების უკონტროლოდ ხარჯვის შედეგად 2000-2001 წლებში ფაქტობრივი ხარჯი მნიშვნელოვნად აღემატებოდა დაგეგმილ მაჩვენებლებს. კერძოდ, 2000 წელს გაწეულია 1 მილიონ 970 ათასი ლარით მეტი ხარჯი, ხოლო 2001 წლის მაჩვენებლებით 746 000 ლარით მეტი!“ ამავე აქტში წერია, რომ: „მაუწყებლობის“ სარევიზიო პერიოდში უარყოფითი მაჩვენებლების გამო სარეზერვო ფონდი არ შეუქმნია, მაგრამ

1999 წლის მეორე ნახევარში სარეზერვო ფონდის ანგარიშიდან 668 395 ლარის ხარჯვა გაწეული, 2000 წელს 741 742 ლარის, ხოლო 2001 წელს 398 820 ლარის!“ ე.ი. ნახეთ რა ხდება? ბექაურის და შენგელიას (თუ პირიქით) „გამჭრიახობით“, თანხები გაცემულია იმ „სარეზერვო ფონდიდან“, რომელიც არ შექმნილა,

მაგრამ ორწელიწადნახევარში 1 მილიონ 818 ათას 957 ლარია გახარჯული!

იმავე დასკვნაში ვკითხულობთ: „2001 წელს, შრომით ანაზღაურებაზე გაწეულია 5 მილიონ 66 ათას 200 ლარი. მათ შორის, შტატგარეშე თანამშრომლებზე დარიცხულია 1 მილიონ 509 ათას 500 ლარი. შტატგარეშე თანამშრომლებთან არ არის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები!“(?)

შემდეგი ამონარიდი ასეთია: „1999 წლის სექტემბერ-ოქტომბერში 4-კაციანი ჯგუფის საგარეჯოში მივლინების დროს ღამისთევისთვის 14 ათასი ლარი ჩამოიწერა.

თითოეული თანამშრომლის დღიური ხარჯი 50 ლარს შეადგენდა.

კონტროლის პალატის დასკვნაში ასევე ვკითხულობთ, რომ: „მაუწყებლობაში ყურადღება არ ექცევა საშტატო-სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის დაცვას. მაუწყებლობას არ აქვს დამტკიცებული საშტატო განრიგი და წლიური ხელფასის ფონდი. არ არის დადგენილი თანამდებობრივი სარგოები. არ წარმოებს სამუშაო დროის გამოყენების აღრიცხვის ტაბელი. ხელფასის დარიცხვა წარმოებს მხოლოდ მუშაკთა მიღების და გადაადგილების შესახებ გამოცემული ბრძანებით. უკონტროლოდ წარმოებს ჰონორარების გაცემა. ყოველივე ამის შედეგია ის, რომ 2002 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მაუწყებლობაში სახელფასო და საჰონორარო დავალიანებამ 980 000 ლარი შეადგინა. შესამოწმებულ პერიოდში 1509,5 ლარი დარიცხულია შტატგარეშე თანამშრომლებზე, რომლებთანაც არ არის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები და ისინი მოწვეულნი არიან ყოველგვარი დოკუმენტაციის გაფორმების გარეშე.

ჰონორარები გაიცემა ისეთ პიროვნებებზეც, რომლებიც არ არიან დაკავებულნი შემოქმედებითი საქმიანობით, მაგალითად, მძღოლ აბზიანიძეზე დარიცხულია 2160 ლარი, მძღოლ მიქაძეზე 2200 ლარი, ინჟინერ რაჭველიშვილზე 1755 ლარი, კანცელარიის გამგის მოადგილეზე, ყუშიტაშვილზე კი – 5612 ლარი და სხვა.

უხეში დარღვევებია ძირითადი საშუალებების აღრიცხვაში. „მაუწყებლობის“ კუთვნილი კომპიუტერები, ყოველგვარი ხელშეკრულების გაფორმების გარეშე გადაცემულია „შპს აუდიენციაში“ მომუშავე ყანდიაშვილზე. ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მითითებით 1 ცალი ტელევიზორი გაცემულია მძღოლ თ. მარტყოფლიშვილზე. აღვნიშნავთ, რომ მხოლოდ შემოწმების პერიოდში დაბრუნდა ტელევიზორი და კომპიუტერები „მაუწყებლობაში“.

შესამოწმებელ პერიოდში სახ. ქონების მართვის სამინისტროსთან შეთანხმების გარეშე ჩამოწერილი და რეალიზებულია 981,3 ათასი ლარის საბალანსო ღირებულებების ძირითადი საშუალებები, მათ შორის ჩამოწერილია 18 ავტომანქანა საბალანსო ღირებულებით 127,6 ათასი ლარი. ამასთან ჩამოწერის აქტები არასრულყოფილადაა გაფორმებული, არ არის მითითებული ავტომანქანების გარბენილი კილომეტრები, არ არის მითითებული თანხა კაპიტალური რემონტის შესახებ. არ არის მოხსნილი და შემოსავალში აღებული სათადარიგო ნაწილები მაშინ, როდესაც ექსპლუატაციაში მყოფ იდენტურ ავტომობილებზე მიმდინარე რემონტისა თუ ახალი ნაწილების შესაძენად – ყოველთვიურად გამოყოფილია 42 000 ლარი. მეტიც, ავტომანქანები ჩამოწერილია ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის ბრძანებით, რაც ბუღალტერიას შესასრულებლად არ უნდა მიეღო. 2000 წლის აპრილს სახელმწიფო ქონების მართვის ორგანოების გვერდის ავლით გაყიდულია 5 ავტომანქანა! სატრანსპორტო განყოფილების შემოწმებისას ადგილზე არ აღმოჩნდა 32,5 ათასი ლარის ღირებულების 5 ავტომანქანა. ზემოაღნიშნული 5 ავტომანქანა „ტელემაუწყებლობის“ მიერ გასხვისებული აღმოჩნდა, მაგრამ ბალანსიდან არ იყო მოხსნილი და მხოლოდ შემოწმების პერიოდში იქნა „მაუწყებლის“ ბალანსიდან მოხსნილი! (?) 2002 წლის 1 იანვრისთვის „მაუწყებლობის“ დავალიანებებმა განსაკუთრებით კრედიტორულმა კოლოსალურ თანხას მიაღწია. თუ შესამოწმებელი პერიოდის დასაწყისისთვის დებიტორული დავალიანება 461,1 ათას ლარს შეადგენდა, 2002 წლისათვის იგი 650,4 ათას ლარამდე გაიზარდა და ბოლოს კი 8856,2 ლარს შეადგენდა!

გამოვლინდა 981,3 ათასი ლარის ღირებულებების ძირითადი საშუალებების უკანონოდ ჩამოწერის და ფარულად პრივატიზების არაერთი ფაქტი.

ძვირფასო მკითხველო! როგორც თავში მოგახსენეთ, ამჯერად სულ მცირეოდენი ფაქტები ამოვწერე მაშინდელი კონტროლის პალატის სქელტანიანი დასკვნიდან, მაგრამ თქვენს ყურადღებას, განსაკუთრებულ ყურადღებას, იცით, რაზე გავამახვილებ ახლა? იმაზე, რომ ტელევიზიის ხელმძღვანელობის მიერ შერისხული თანამშრომლებს მაშინ ხელფასებს არ აძლევდნენ, ხოლო მათ, ვინც დირექტორების ორბიტაზე ბრუნავდნენ, ათასობით ლარს უჯიბავდნენ ჯიბეში!

ზაზა შენგელია და კახა ბექაური, მათდამი ოპოზიციურად განწყობილ მშიერ და უპოვარ თანამშრომლებს ეუბნებოდნენ, რომ „ფინანსთა სამინისტრო და ხაზინა, საჭირო თანხებს არ გასცემდნენ“ არადა, იგივე ფინანსთა სამინისტრო და ხაზინა, მათ მიერ გამოგზავნილი დოკუმენტით ადასტურებდნენ, რომ 1999 წლის დასაწყისშივე გადარიცხეს სახელფასო-შვებულების თანხა ტელევიზიაში. აღნიშნულ დოკუმენტს კი ხელს აწერს, მაშინდელი ფინანსთა მინისტრის მოადგილე ვასილ გოგოლაშვილი!

ახლა ვეკითხები „საჯაროობას მოწყურებულ“ კახა ბექაურს — რაც კონტროლის პალატამ აღწერა და ფურცელ-ფურცელ ჩამოწერა, ტყუილია თუ მართალი?

ასევე ვეკითხები ბექაურისნაირების ექსპერტ კორძაიას — ამჯერად თუ ხართ კმაყოფილი ფაქტების წარმოდგენით და დამახინჯებულია თუ არა ისინი?

ჯერ სად ხართ? აბა, ახლა მომისმინეთ რას გეკითხებით?

სად გაქრა „საქტელერადიოცენტრში“ დამზადებული რეკლამის სანაცვლოდ ბარტერში მიღებული საოფისე დანადგარები?!

აგრეთვე, გეკითხებით, ტელეკომპანია „მზე“-ს გახსნისთანავე „საქტელერადიომაუწყებლობიდან“ გადასულ ჟურნალისტებს ეკა ბერიძეს (ბექაურის მეუღლე), ინგა გრიგოლიას, სალომე დადუნაშვილს და კიდევ რამდენიმე ჟურნალისტს, რომლებიც „მზეზე“ მუშაობდნენ, კადრშიც ისხდნენ, და საავტორო გადაცემებიც მიჰყავდათ ხელფასებს კონკურენტი ტელევიზია, ამ შემთხვევაში, „საქტელერადიომაუწყებლობა“ (იგივე „პირველი არხი“) რატომ უხდიდა რამდენიმე თვის განმავლობაში, როცა მათ ტელეკომპანია „მზეზეც“ სოლიდური ანაზღაურება ჰქონდათ?

გასაგებია, რომ ტელეკომპანია „მზეს“-ს ერთ-ერთი დამფუძნებელი ზაზა შენგელია გახლდათ, მაგრამ არხზე „სამუშაოდ“ კახა ბექაურიც, რომ „მიიწვიეს“, „საქტელერადიომაუწყებლობიდან“ რეკლამით მიღებული ბარტერი ამ ორმა „მწველავმა“ რა სახით დაიბრუნეთ ვანო ჩხარტიშვილისგან?

ფრჩხილები რომ გავხსნა, „საერთო გაზეთის“ მკითხველს აქვე ვაუწყებ, რომ ბექაურის „დიდი ბულალტრობის“ დროს „საქტელერადიომაუწყებლობის“ სარეკლამო ხელშეკრულება ჰქონდა დადებული „დანიურ სახლთან“ და რეკლამის სანაცვლოდ დანიური სახლი ავეჯით იხდიდა საფასურს! აღნიშნული ავეჯი კი, არა რეკლამის გამშვებ ტელევიზიაში, არამედ ტელეკომპანია „მზეში“ მიდოდა და როცა ვანო ჩხარტიშვილმა ბექაურს და შენგელიას „აადებინა“, იმ ავეჯს ხომ არ აჰკიდებდა ზურგზე? ყველა ლოგიკით „ქეში ფული“ უნდა მიეცა მათთვის.

მივყვეთ კონტროლის პალატის დასკვნას, სადაც გვ. №24 ვკითხულობთ — „ხარჯების არასწორ დაგეგმვაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ შრომის ანაზღაურებისთვის 1999 წლის ექვს თვეში განაცხადის მიხედვით დაგეგმილი იყო 1218,9 ათ. ლარი, საკასო ხარჯმა 1786, 9 ათ. ლარი შეადგინა, ფაქტობრივმა კი 3410,9 ათასი ლარი. 2000 წელს შრომითი ანაზღაურებისათვის დაიგეგმა 3200 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა 4564,9 ათასი ლარი, ხოლო ფაქტობრივმა კი — 5066,2 ათასი ლარი შეადგინა. შესაბამისად, არასწორად იგეგმებოდა ხარჯები ანარიცხების მუხლშიც!

ხელფასებისა და ჰონორარების უკონტროლოდ ხარჯვის გარდა ხარჯების სტრუქტურაში მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა გარე მომწოდებლების მიერ დამზადებული გადაცემების ხარჯი — 3097,9 ათ. ლარი, სასტუდიო დეკორაციების დამზადების ხარჯები — 344 ათასი ლარი, მოვლა-შენახვის ხარჯი 1037,8 ათასი ლარი და სხვა!“

ასეთი ჩამონათვალების გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება, ძვირფასო მკითხველო, მაგრამ ისევე როგორც თავში აღვნიშნე, თუკი თავის დროზე, 2001-2002, 2003 წლადე მაშინდელი ოპოზიციონერები ვანო მერაბიშვილი, დათა ახალაია და თვით ზურაბ ადეიშვილი იკვლევდნენ ტელევიზიაში გამოვლენილ საგანგაშო ფინანსურ მაქინაციებს, უკვე 2006 წელს, იგივე ადეიშვილთან გაგზავნილ წერილს, (რომელსაც ტელევიზიის თანამშრომლები აწერენ ხელს) რატომ და რისი გათვალისწინებით წაუყრუა სააკაშვილის ხელისუფლებამ?

ჯანდაბამდის და მოუსავლეთში წასულან „ნაცები“, მაგრამ ადრეც ვკითხულობდი და ახლაც ვკითხულობ — ეს ბიუჯეტის ვირთაგვა კახა ბექაური, ვისი რეკომენდაციით შეძვრა ივანიშვილის ოჯახის ტელევიზიაში საკუთარი ოჯახითურთ და რა დამსახურებისთვის ილებდა მე-9 არხიდან ათასობით ლარ ხელფასს?

აკი, უკვე ჩამოვთვალე კონტროლის პალატის მიერ გამოვლინებული ფინანსური დარღვევები ბექაურის „პირველ არხზე“ მუშაობისას? ეს მცირედია, ძალზე მცირედი, მაგრამ აქამდე თუნდაც „ეს მცირედი“ რატომ არ იყო ცნობილი?



ბატონო ბიძინა, მე აგრეთვე ხელთ მაქვს, თქვენდამი გამოგზავნილი წერილი, რომელიც „მე-9“ არხის ყოფილმა თანამშრომლებმა მოგწერეს და თქვენი გუნდიდან ვერავინ ვერც მანანა კობახიძემ, ვერც ირაკლი ტრიპოლსკიმ და ვერც გია ცაგარეიშვილმა ვერ გაბედა თქვენთვის გადმოცემა!

იცით თუ არა, თქვენ, რომ უკვე 2012 წლის თებერვლის დასაწყისში „მე-9“ არხის თვრამეტსაათიანი მაუწყებლობის ბადე მზად იყო? იცით თუ არა ისიც, რომ დერვინ ჯონსონი (რომელიც თქვენვე მოიწვიეთ) განცვიფრებული იყო, ასე მოკლე დროში ეს როგორ მოახერხეთო?

იცით თქვენ თუ არა ისიც, რომ ბექაურის გამოყრილები, კვლავ უმუშევრად დარჩენილები სასოწარკვეთილნი რომ ამბობდნენ: „ჩვენი ასე დაუცველად გაშვება და ნაც. ხელისუფლების საჯიჯგნად მიტოვება არ ივარგებს“-ო, რას პასუხობდნენ? — „ასე თქვით, რომ განაწყენებულები წახვედით ბიძინა ივანიშვილისგან და პრობლემებიც არ გექნებათო!

აი, ბატონო ბიძინა, რა ხალხი გეხვიათ „მე-9“ არხზე!

ბექაურო, ახლა შენ მოგმართავ და საჯაროდ მიპასუხე — ვასილ ოდიშვილის „აბებში“, „მაესტროს“ „სუბიექტურ აზრში“, „რუსთავი-2“ საინფორმაციოში „იმედზე“ და „ფეისბუკში“ — რაც დავწერე, იკმარებ თუ შემდეგ ნომერშიც გავაგრძელო შენი საჯარო მხილება?

ვინც შენ „ბკრიშავს“, იმის სახელს და გვარსაც მალე ვაუწყებ საქართველოს და გაფრთხილებ, მეორედ ეგ შენი ყოფილი ჟურნალისტ წრუწუნები არ შემომოსიო, თორემ რა ჯიშის კატაც ვარ, საბოლოოდ დაგანახებ!

ძვირფასო მკითხველო!

ზაზა შენგელიას და კახა ბექაურის ტელევიზიაში „მოღვაწეობის“ პერიოდში ტელევიზიის თანამშრომლებმა გაზეთი „ეროვნული მაუწყებელი“ დაარსეს და ამ გზით ამხელდნენ შევარდნაძის „ლუბიმჩიკ“ ზაზა შენგელიას, კახა ბექაურს და დანარჩენ ჩინოვნიკებს. ხოლო „მათი ეპოქის“ შემზარავ-დანაშაულებრივ ქმედებას კი აპოკალიფსს ადარებდნენ.

ტელევიზიის მაშინდელი თანამშრომლები დღემდე იხსენებენ იმ ფაქტს, როცა ყველასთვის საყვარელი წამყვანი ლია მიქაძე შენგელიას ბრძანებით ტელევიზიაში არ შეუშვეს და მეტიც, მის სამუშაო ოთახში დარჩენილი ვიდეოკასეტები ზევიდან პირველ სართულზე რა ფორმით ჩამოუყარეს. ხოლო თათბირებზე კი ამკობდნენ სიტყვებით:

— „გაუწონასწორებელი გიჟი“,

— „დორბლიანი პარანოიკი“. აბა, თუ მიხვდებით?

მოგვიანებით, როცა „დორბლიანმა“ შეუნდო ტელე კრიმინალებს და ციხეში არ გაუშვა, ნეტავ რა გარიგება შედგა მათ შორის? ფული „აახიეს“ ნაცებმა, წინასაარჩევნო კამპანია დააფინანსებინეს თუ ისე, უბრალოდ, შეუთანხმდნენ — აწი, ჩვენ გვემსახურეთ და თითსაც ვერავინ დაგადებთო?!

როგორც მიამბეს, ჩამოთვლილთაგან ყველა „პუნქტი“ შეუსრულებიათ „ნაცებს“ და ბიძინა ივანიშვილის „მე-9“ არხზეც „ბატონი აპოკალიფსი“, (იგივე კახა ბექაური) არა მხოლოდ საქმის გასაფუჭებლად, არამედ სპეციალური დავალებით შეუგზავნიათ.

ამ ყველაფრის დამამტკიცებელი საბუთიც ჩემთან დევს, ბექაურო, და სულ მალე იგი უკვე პრემიერ მინისტრ ბიძინა ივანიშვილის საშუშაო მაგიდაზე იდება!

აი, ასეთი „თავზეხელაღებული ჟურნალისტი“ ვარ მე და ახლა შენი და შენისთანების კაკანი „მიზანმიმართული კამპანიის ნაწილია „საერთო გაზეთში“ გამოქვეყნებული ცილისმწამებლური წერილები“-ო, აბსოლუტურად უადგილო, მეტიც, ძალიან სასაცილო ხდება.

ყველა ოფიციალური დოკუმენტი კი, აბა, თუ მიხვდებით ვინ გადმომცა? ვინ და სწორედ იმ „მინაზე მიმხმარმა ბუზებმა“, რომლებიც შენ და შენგელიას მკვდრები გეგონათ. ანუ, ტელევიზიის ყოფილმა თანამშრომლებმა, რომლებმაც თავის დროზე თქვენი გაუმაძღროების გამო საკუთარი ოჯახები აშიმშილეს, საკუთარი საყვარელი საქმე იძულებით მიატოვეს და ვინც გადარჩა, დღემდე თქვენს გინებაში არიან, გამიგე?

აქ შევჩერდები და დავამატებ: აკი, გეუბნებოდით თქვენს წინააღმდეგ მხოლოდ დოკუმენტებით დავიწყებ ბრძოლას-თქო? დანაპირებს „საერთო გაზეთის“ შემდეგ ნომერშიც შეგისრულებთ და წვრილად მოგიყვებით სარეკლამო აფიორების თუ არამიზნობრივად გახარჯული არა ერთი ფაქტის შესახებ!

პატივისცემით,
თავისუფალი ჟურნალისტი
ირინე გოგოსაშვილი
555 25 43 35

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ბრალს ვდებ!

„მე მკითხონ, გუნავა როგორ დარბოდა ვაგონებში და როგორ ჯიბგირობდა, სანამ მილიციელი გახდებოდა“

*გვესაუბრება **ჯონი ზარანდია**, პოლიციის პოლკოვნიკი, გამომძიებელი, 32-წლიანი გამოცდილებით. გამოძიებული აქვს „მხედრიონის“ საქმეები, გამსახურდიას გარდაცვალების ფაქტები, მუშაობდა ზუგდიდის საგამოძიებო განყოფილების უფროსად ახალაიას პროკურორობის დროს, შემდეგ განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამოძიების უფროსად 18 წელიწადი 2004 წლამდე. დღეს გახლავთ მოქმედი ადვოკატი.*

— ბატონო ჯონი, სანამ საგაზეთო საუბარს დავიწყებდით, თქვენ ბრძანეთ, რომ მერაბიშვილის დასხლტომა გამოძიებისგან, გუნავას პრეტენზიების და ა.შ. მიზეზები თქვენთვის ცნობილია. რას გულისხმობდით?

— დღეს შეიძლება, არჩილ კბილაშვილს ჰგონია, რომ კარგად აქვს საქმე, მაგრამ ასე არ არის. არჩილ კბილაშვილს პროფესიონალი ბევრი არ ჰყავს.

ამიტომაცაა ხმას რომ იღებს და თავხედობს გუნავა, თორემ ჩემთან რომ იყოს მისი საქმე და ვინმემ რომ უთხრას, შენს საქმეს ჯონი ზარანდია იძიებსო, სინდისს გეფიცებით, მაშინვე გაიქცევა საქართველოდან. მე მას ადვილად დაჯუმტკიცებ, რომ არის ნარკომანი და სერიოზული წამალდამოკიდებული, მაგრამ ამაზე არ ვლაპარაკობ ახლა.

ჯონი ზარანდია

„მხედრიონის“ საქმეზე. მისი ჩვენება საკუთარი ხელით აქვს ჩაწერილი გამომძიებელ თინიკო მექვაბიშვილს, მაშინ, როცა ბარამიძე თავგამოდებით იცავდა „მხედრიონელებს“ სასამართლო პროცესზე. საქმე ეხებოდა დარჩელში 28 სახლის გადაწვას, ორსული ქალების გაუპატიურებას და ა.შ.

თენგიზ გუნავა

— რა კავშირი ჰქონდა გია ბარამიძეს „მხედრიონთან“, ბატონო ჯონი, იქნებ უფრო ნათლად აგვიხსნათ.

— ბარამიძე და ძმანი მისნი „მოქალაქეთა კავშირის“ წევრები იყვნენ, ხოლო „მხედრიონი“ ამ პოლიტიკური გუნდის სამხედრო გაერთიანება გახლდათ. მაშინ მათ უჭერდნენ მხარს.

ელუარდ შევარდნაძეს, რომლის სახელსაც უკავშირდება „მოქალაქეთა კავშირის“ შექმნა, აქვს „მხედრიონის“ მოწმობა და ის არის დარეგისტრირებული პირველ ნომრად. მერე მოდიან ჟუთათელ-გაენათელი მთავარეპისკოპოსი

საქმე ისაა, რომ ისე აპატიმრებენ ადამიანებს, რომ მანამდე არ აქვთ მტკიცებულებები შეკრებილი მისი ბრალეულობის შესახებ. მე მკითხონ, გუნავა როგორ დარბოდა ვაგონებში და როგორ ჯიბგირობდა, სანამ მილიციელი გახდებოდა.

მე, მოგეხსენებათ, საკმაო ხანს უდიდეს საქმეთა საგამოძიებო განყოფილების უფროსი ვიყავი 2004 წლამდე, ვინაიდან „მხედრიონელთა“ საქმეებს ვიძიებდი და ათასობით მხედრიონელი მყავდა დაჭერილი, ჩემსა და შევარდნაძის ხელისუფლებას შორის მაშინაც არსებობდა წინააღმდეგობა. იმ პერიოდში მე გიორგი ბარამიძე დავკითხე

ჯონი ზარანდია

კალისტრატე მარგალიტაშვილი, ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი გრიგოლი და ა.შ. ესენი იმ პერიოდის „მხედრიონელები“ არიან.

— რას ამბობთ, ბატონო ჯონი.

— შვილებს გეფიცებით და ჩემს კაცობას, არასდროს ტყუილი არ მითქვამს და რაც ვიცი, ყოველთვის იმას ვლაპარაკობ. დარწმუნებული რომ არ ვიყო, არაფერს არ ვილაპარაკებდი. ახლა გეტყვით, ყველაფერი საიდან დაიწყო.

ერთ დღეს საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსმა გურამ ქარქაშაძემ დამიბარა. ის ჩემი უფროსი მეგობარი იყო, რა თანამდებობაც არ უნდა შემოეთავაზებინათ ჩემთვის, ბატონი გურამი გვერდიდან არ მიცილებდა. იმიტომ, რომ მან იცოდა, მე საქმე მიყვარდა ძალიან, ადამიანს თვალებში რომ ჩავხედავდი, მაშინვე ვხვდებოდი, რისი გამკეთებელი იქნებოდა.

მოკლედ, ბატონმა გურამმა შემომჩივლა: ფოთის გემთსაშენი ქარხნის წართმევა უნდათო. ეს შეუძლებელი იყო. ფოთის გემთსაშენი ბერიას ინიციატივით იყო დაარსებული და უნიკალური ქარხანა იყო და მუშაობდა 2000-მდე კაცი.

გადავხედე გემთსაშენის საქმის მასალებს. აღმოჩნდა, რომ პრივატიზაციას ვერ ახერხებენ, რადგან საქმე აღძრულია, გემთსაშენით დაინტერესებულია თემურ ბასილია და „ინტელექტბანკი“, იყო ასეთი ბანკი, რომელიც შავი საქმეების გასაკეთებლად სჭირდებოდათ. თემურ ბასილიას მაშინ ის ჰქონდა პრობლემად, შევარდნაძის წასვლის შემდეგ როგორმე „შემძვრალიყო“ ნაციონალებთან და მერაბიშვილს „ინტელექტბანკის“ საშუალებით ფოთის გემთსაშენი ქარხანა, როგორც მაშინ ეძახდნენ ორას პირველი ქარხანა შესთავაზა. მეთოდი აპრობირებული იყო უკვე — გააკოტრებდნენ ქარხანას, ხალხს სამსახურებიდან გაყრიდნენ და მერე შეისყიდდნენ ჩალის ფასად.

მგელაძემ მითხრა: რადაც არ უნდა დაგიჯდეს, ენდრიხოვსკი, შპს „კორტის“ დირექტორი მოსკოვში, უნდა მოძებნო, რომელიც გაქცეულია იმის გამო, რომ ექვსი გემი ჰყავდა წაყვანილი და 6 მილიონი დოლარი ვალი აქვს გადასახდელიო.

ჩავედი მოსკოვში, ახლობლებს ვთხოვე, როგორმე იქნება მომაძებნინოთ ენდრიხოვსკი, თორემ ხელიდან გვეცლება უნიკალური გემთსაშენი ქარხანა-მეთქი. ამ საქმეში ჩაერივნენ გავლენიანი ქართველები რუსეთში და ყურით ჩამომიყვანეს ენდრიხოვსკი. ისეთი ხალხის მოყვანილი იყო, ტყუილი ვერ თქვა და განაცხადა: მზად ვარ, გადავიხადო 6 მლნ. დოლარიო. მაშინ მოვუხმე ფოთის გემთსაშენი ქარხნის დირექტორს ლოლუას, შედგა შეხვედრა. ენდრიხოვსკიმ ვალი აღიარა, 1 მლნ ჩარიცხა ფოთის გემთსაშენში. 2004 წელს გენერალურ პროკურორად ოქრუაშვილი დაინიშნა. ბასილიას უკვე პრობლემა შეექმნა, რადგან იგი შევარდნაძესთან მუშაობდა, მოსალოდნელი იყო, რომ დაეპატიმრებინათ, ამიტომ ცდილობდა ნაციონალების გული მოეგო და „ინტელექტბანკი“ მათთვის გადაეცა. ფოთის გემთსაშენს მალე უკვე ნაციონალების „ინტელექტბანკი“, ანუ ოქრუაშვილი და მისი სამეგობრო წრე დაეუფლნენ.

პირველი განკარგულება, რაც გამოსცეს, ის იყო, რომ მე ჩამომართვეს ეს საქმე. შევხვდი დეპარტამენტის უფროსს და ვუთხარი: ვცდილობ გადავარჩინო გემთმშენებლობა საქართველოში, 1 მლნ დოლარი უკვე გადმორიცხულია, საქმე დაიძრა. ვხედავ, მაინცდამაინც არ მოსწონს ჩემი საუბარი. საქმე პროკურატურას უნდა გადავცეო, — ამბობს. მე ვუთხარი: ქრთამი და მოგება რომ მდომებოდა ამ საქმიდან, ეს ყველაზე ადვილი იყო, მე წარმოების გადარჩენა მინდა, ქართველი ინჟინრები დასაქმდებიან, პოლიტექნიკური ინსტიტუტის ერთი განყოფილება გადარჩება და რატომ კლავთ იმ საქმეს-მეთქი. ნუ ცდილობთ, რომ გაანადგუროთ საქართველოში გემთმშენებლობა, რადგან, ვიცი, მოვა დრო, ამ საქმეს ბრალდებად მე დამადებთ კისერზე. ეს კოჭებში გეტყობათ, აქ ბასილიას სუნი მცემს-მეთქი, ვთქვი და დავტოვე იქაურობა.

სიკვდილს ვიფიქრებდი, ალბათ, მაგრამ იმას ვერ წარმოვიდგენდი, ამ საქმეში ოქრუაშვილი და მერაბიშვილი თუ იქნებოდნენ გარეული.

ამასობაში ოქრუაშვილმა 40 000 პოლიციელი სამსახურიდან დაითხოვა. მათ შორის აღმოვჩნდი მეც სრულიად უსაფუძვლოდ და უკანონოდ. გემთსაშენის საქმე ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო ნაწილს გადაუგზავნა და დღესაც იქ დევს მტვერწაყრილი. 6 მლნ. დოლარი ნელ-ნელა შეჭამეს, გემთმშენებლობა პირწმინდად გაანადგურეს.

— არ შეეცადეთ თქვენი უკანონო გათავისუფლების საქმეზე სასამართლოსთვის მიგემართათ ან გემთსაშენის განადგურების თაობაზე საჩივარი დაგეწერათ? მოსალოდნელი იყო, რომ გამტყუნდებოდით ნაციონალების უსამართლო სასამართლოებში, მაგრამ პროტესტი ხომ დაფიქსირდებოდა?

— მივმართე სასამართლოს, მაგრამ დეპარტამენტის უფროსის მუჯირის მოადგილე ღვინიაშვილი დაუკავშირდა სააპელაციო სასამართლოს იმდროინდელ თავმჯდომარეს მეიშვილს და კვლავ უკანონო გადაწყვეტილება მიიღეს. მაშინ მივმართე საქართველოს მაშინდელ პარლამენტს, მოვითხოვე განმარტებები ჩემი გათავისუფლების და გემთმშენებელი ქარხნის განადგურების თაობაზე და მივიღე პასუხი პავლე კუბლაშვილის ხელმოწერით — დასახელებული ფაქტების გარკვევა ჩემს კომპეტენციას აღემატებაო. რა იდგა ამ პასუხის უკან, თქვენ თვითონ განსაჯეთ.

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

— ქარხანაში როგორ წარიმართა მოვლენები, შემდეგ თვალი აღარ მიგიდევნებიათ?

— მსოფლიო ომის დროს ლავრენტი ბერიას ინიციატივით ფოთში შექმნილი საკუთარი საფოსტო ინდექსის მქონე გემთსაშენი ქარხანა, რომელიც უნიკალური იყო თავისი გეოგაფიული მდებარეობით, ქმნიდა მსოფლიოში საუკეთესო „კომეტა“-„კოლხიდებს“. 1994 წელს 6 „კომეტა-კოლხიდა“ 9 მლნ აშშ-დოლარად გაიყიდა და შეკვეთები უამრავი იყო. აი, ასეთ ქარხანაში ნაციონალებმა ჯართის საზიდი ტერმინალი და ავღანეთიდან შემოტანილი ნარკოტიკების სადგური გახსნეს. ამ ფაქტს ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა პირი და რეგიონში მცხოვრები ნარკომანებიც დაადასტურებენ.

გამოიძიოს ამ ფაქტების სისწორე, გამოააშკარავოს ეს დანაშაული ბატონმა კბილაშვილმა, რომელიც პატიოსან გამომძიებლებს ეძებს სააკაშვილის დანატოვარ გახრწნილ სისტემაში. ამოიყენოს გვერდით პატიოსანი, გამოცდილი ხალხი. უსაქმურად დადიან ქუჩაში პროფესიონალი გამომძიებლები — მეგრელიძე, თოფურია, დოლიძე, სახეჩიძე, მაღლაფერიძე, აგერ ვარ მე, ვემსახურებით სიმართლეს, არ გვინდა ხელფასები, ხელშეკრულებებით ვიმუშავებთ, გზის ფული რომ მაინც გვქონდეს, ოღონდ სიმართლე გაირკვეს.

— შემდეგ რა გადაგხდათ? განვაგრძოთ თხრობა.

— მოკლედ, ჩემო კარგო ადამიანო, დამტოვეს უმუშევარი, მე საქმეები „მხედრიონზე“ ნაწარმოები მქონდა, გემთმშენებელი ქარხნის საქმე ბოლომდე მიყვანილი, ვიყავი პრინციპული ადამიანი და პროფესიონალიზმზე მქონდა პრეტენზია, ვჭირდებოდი ასეთი ნაციონალურ მთავრობას?

მოკლედ, დავიწყე ადვოკატობა. იმ პერიოდში იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ ვახანია დაიჭირეს. მან მთხოვა და მეც დავიწყე მისი დაცვა. გაყიდვა-განიავებით აღებული ფულისთვის გადამემტერა მე მერაბიშვილი და ოქრუაშვილი. ამას დადასტურებულად ვამბობ, რადგან იმ ხანებში ჩემთან მოვიდა ადამიანი, ვინც მითხრა: შეეშვი, ჯონი, ამ საქმეს, თორემ შეეწირებიო. იმ ადამიანის სახელს და გვარს ვერ ვიტყვი. ისევ მას ვუფრთხილდები კიდევ, თორემ მე რაღა უნდა მიქნან, უმუშევრად დამტოვეს, ციხეში ჩამსვეს და ათასნაირი უბედურება გადამატანინეს.

მე, ბოდიშით და, ფეხებს ვერ მომჭამს მერაბიშვილი, რადგან მისთვის დოკუმენტებით შეკრული კუბო უკვე გამზადებული მაქვს. თუ ამ მთავრობასაც არ სურს სიმართლის დადგენა, მოუკვდა პატრონი, წავალ ამ ქვეყნიდან და მივიღებ უცხო ქვეყნის მოქალაქეობას.

ჯერ კიდევ მაქვს ჯანი და ენერგია და მოვახმარ ამას სხვა ქვეყანას, ან აფხაზეთში გადავალ, სავსეა იქაურობა აფხაზი ზარანდიებით და სიხარულით მიმიღებენ.

ამ საქმის გამოძიება დღეს ძალიან ადვილად შეიძლება. მე ზეპირად მახსოვს, ვინ დავკითხე ამ საქმეებზე და ენდრიხოვსკიც ცოცხალია ჯერ კიდევ.

ვლადიმერ ვახანიამ ზუგდიდში ჩამოაყალიბა პოლიტიკური პარტია, თავის სოფელში აპირებდა ღრმაწყლიანი სახმელეთო საზღვაო პორტის აშენებას, რომლის ანალოგი მსოფლიოში არ მოიძებნება, ამავე დროს, ვახანია პუტინთან ერთად სწავლობდა სანკტ-პეტერბურგში იურიდიულ ფაკულტეტზე და ამ „დანაშაულებათა“ კასკადის გამო იგი „ნაციონალებმა“ საშიშ პირად მიიჩნიეს და მისი განადგურება გადაწყვიტეს. მას მიუგზავნეს ხელისუფლებასთან დაახლოებული ჟურნალისტი (ამბობს სახელს და გვარს — ი.კ.) და ამ ჟურნალისტმა მას შანტაჟი მოუწყო, რაც გახდა საფუძველი მისი საცხოვრებელი სახლის გაჩხრეკის. იქ პოლიციამ ხალხის თვალწინ შეიტანა ავტომატური იარაღი და ვახანია დააპატიმრეს.

„...ფეხებს ვერ მომჭამს მერაბიშვილი, რადგან მისთვის დოკუმენტებით შეკრული კუბო უკვე გამზადებული მაქვს“

მე, როგორც ვლადიმერ ვახანიას ადვოკატმა, ჩავატარე ამ საქმეზე ალტერნატიული ექსპერტიზა ხუთჯერ. დავადასტურე, რომ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს ჩაუდეს იარაღი და მიუგზავნეს ჟურნალისტები. ვახანიას დაპატიმრებით დაინტერესებულ პირებთან კი მაინც ვერაფერს გავხდი. მისი დაკავებით კი იყვნენ დაინტერესებულნი მურთაზ ზოდელავა, როლანდ ახალაია, გივი თარგამაძე და სხვები.

— რაკი პუტინის თანაკურსელი იყო, ამიტომ უნდა დაეჭირათ? გაუგებარია, ცოტათი, ასეთი ლოგიკა.

— ნაციონალებს საქმე რომ გაუფუჭდათ რუსეთთან ამერიკასთან ზედმეტი სიყვარულის და ალერსობის გამო, რუსეთის მხარე სასტიკ აგრესიას ამჟღავნებდა და ბევრი სავალალო შედეგიც მოჰყვა ამას, ამიტომ სურდათ ნაციონალებს პუტინს ახლობლურ დონეზე შეხვედროდნენ და ვლადიმერ ვახანიას სთხოვეს ეს. ვახანიას, ალბათ, იმ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ არ ჰყავდა ნანახი პუტინი და უარი უთხრა ამათ; მე მეცნიერი კაცი ვარ, რა საქმე მაქვს პუტინთანო. ზუსტად ვიცი, ასე არის, მე პროფესიონალი ვარ და დღეს ილორში დავიფიცებ, არაფერი საქმე არ აქვს ვახანიას პუტინთან. სასაცილოა ეს, სატირალი რომ არ იყოს. ადამიანი არაფრის გამო ზის ციხეში.

ვახანიას საქმე რომ გართულდა, გადავწყვიტეთ, საქმეში ჩაგვერთო უცხოელი ადვოკატი. მივწერეთ ადეიშვილს და ვთხოვდით ნებართვას. მივიღეთ პასუხი, რომ კანონი არ იძლეოდა ამის საშუალებას, არადა, კოდექსში მე-7 პუნქტში წერია, რომ იუსტიციის მინისტრს აქვს უფლება გასცეს ნებართვა. მივმართე ნიკოლოზ ლალიაშვილს, რომელიც მაშინ პარლამენტის იურიდიულ კომიტეტში იყო — შეიცვალა კანონიმეთქი? არაო, — გაიკვირვა ლალიაშვილმა. მაშინ ისევ მივწერე ზურაბ ადეიშვილს — ლალიაშვილმა არ იცის ცვლილებების შესახებ, რაც ნიშნავს, რომ თქვენ კანონი პარლამენტის გვერდის ავლით მიიღეთ-მეთქი. ადეიშვილი გადამემტერა ამის გამო.

გარკვეული ხნის შემდეგ ვახანიას საქმე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში განიხილებოდა. მაშინ მოსამართლე მარიამ სირაძეს უთქვამს: ზარანდიას ხელთ აქვს უტყუარი დოკუმენტაცია, რითაც ვახანიას საქმის უკანონობას გამოააშკარავებსო და მისცა ბრძანება ადეიშვილმა როლანდ ახალაიას — გააკონტროლე სიტუაცია ზუგდიდში — **ზარანდია ცი-ხე-ში!**

(გაგრძელება იქნება)

ირანდა კალანდაძე

593 56 11 18

ჩვენი ხალხის უმრავლესობა, სამწუხაროდ, ამ ყველაფერს ბოლომდე ვერ ხვდება! უბრალოდ, ადგილობრივი პრობლემებით არიან დაკავებული და ჰგონიათ, რომ ეს არის მთავარი!!!

ეეეეჰჰ, ნატოს ვისთვის მოუტანია სიკეთე, რომ ჩვენ მოგვიტანოს? ჩვენი მიწა-წყალი და ჩვენი ხმარება უნდა, მეტი არაფერი. რაო, რუსეთმა რომ შემომიტიოს, ნატო დამიცავს? მეტი არაა ჩემი მტერი.

უკანონობას და უსამართლობას უნდა ებრძოლო კანონით და სამართალით! თანაც ზნეობაც არ დაგავიწყდეთ: რასაც სხვას უწუნებ იგივე შენ არ ჩაიდინო!

როცა პრეზიდენტი გამოყოფს მილიონ ლარს დამოუკიდებელი და თავისუფალი მედიისთვის ეს კიდევ ერთი ნაბიჯია გადადგმული მედიის დამოუკიდებლობის და თავისუფლების წინააღმდეგ, რომელიც ასრულებს პრეზიდენტის დაკვეთას ამ შემთხვევაში მილიონ ლარად.

ბიძინას წინ მარბენალ ხაჩიძეს ან წულუკიანი შეჭამს და ან კბილაშვილიო” — ოოო, კბილაშვილს კიდევ რა ალესილი კბილები აქვს?

საქართველოს ბიუჯეტიდან ქართული არასამთავრობოებისათვის საგრანტო თანხების გამოყოფა აქამდეც უნდა განხორციელებულიყო. კარგია, თუ ახალი მთავრობა წესად შემოიღებს და გამოყოფს ამ მიზნით გარკვეულ თანხებს, დასაწყისში შესაძლებელია მცირედიც იყოს. ამ თანით ქართული არასამთავრობები განახორციელებენ სხვადასხვა სახის სოციალურ, ჯანდაცვით, კულტურულ, სპორტულ და სახის ღონისძიებებს. ეს საგრძნობლად აამაღლებს საგრანტო საბიუჯეტო თანხების ხარჯვის ეფექტიანობას, რამეთუ, ყველაზე კარგად პრობლემები იციან ამა თუ იმ სფეროში მოღვაწე არასამთავრობოებმა. სხვათაშორის, ბევრ განვითარებულ ქვეყანაში ბიუჯეტის თანხების დიდ ნაწილს არასამთავრობოები, ანუ თვითონ ხალხი ხარჯავს. ეს ციფრი მერყეობს სხვადასხვა ქვეყნების მიხედვით 25-დან 75 პროცენტამდე.

„ქართული პარტია“: პატიმართა მასობრივი შიმშილობის აქცია იწყება

ქართული პარტია

„ქართული პარტიის“ ცნობით, ე.წ. მატროსოვის ციხის 26-ი პატიმარი, რომლებიც პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა პოლიტპატიმართა სიაში შეიყვანა, ამავე სიიდან გაურკვეველი მიზეზით ამოღებული, ლევან და კახა ტერაშვილების, დავით შიუკაშვილის და შალვა საბაშვილის სოლიდარობის ნიშნად, შიმშილობის გამოცხადებას აპირებს.

მათი განცხადებით, ამორალურად და გაუგონარ ცინიზმად მიაჩნიათ, თვითონ ციხიდან გავიდნენ და ეს ადამიანები, რომლებიც მათი მეგობრები და თანამებრძოლები არიან სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში, საკნებში გამოკეტილი დარჩნენ. „ჩვენ ერთმანეთის გვერდით ვიდექით, ერთად გადავიტანეთ წამება, დამცირება, შეურაცხყოფა. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, გაგვიჩნდა იმედი და რწმენა, რომ სამართალს ვიპოვიდით, ამიტომ ყოვლად გაუმართლებლად მიგვაჩნია, დაუსაბუთებელი მიზეზებით, ერთსა და იმავე საქმეზე დაკავებული პირებიდან ნაწილის პოლიტპატიმართა სიაში ჩასმა, ნაწილის კი,-არა. თხოვნით მივმართავთ ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტს და მის თავმჯდომარე ეკა ბესელიას 19 დეკემბრამდე მოხდეს აღნიშნული ხარვეზის (როგორც თვითონ უწოდეს), გასწორება, წინააღმდეგ შემთხვევაში №9 საპყრობილეს ოცდაექვსი პატიმარი შეუერთდება შიმშილობის აქციას, რომელსაც ძმები ტერაშვილები და დავით შიუკაშვილი მეცხრე დღეა აგრძელებენ“, — აცხადებენ პატიმრები: ალექსანდრე ბიბილური, ვასილ გოგოლაძე, ალექსანდრე ერაძე, კობა კობაური, ზაზა სამხარაძე, გია სალუქვაძე, ბადრი ქველაძე, მიხეილ ცილიკაშვილი, გიორგი აღავანაშვილი, გიორგი ბეროშვილი, კახაბერი თოდაძე, მამუკა ბესელია, სიმონ წურიაშვილი, ფრიდონ მერებაშვილი, ვაჟა მახარაშვილი.

„მედიინიუსი“

uwe r ia Tu a r a gag r Ze l eba r useT-saqa r Tve l os u r Tie r Tobas?

ოთხწლიანი პაუზის შემდეგ რუსეთისა და საქართველოს ურთიერობა, რომელიც გაყინული იყო დაიძრა. პირველი ვიზიტი შვეიცარიაში გაიმართა. შეხვედრა, რომელიც მხარეებს შორის ოთხი საათი გრძელდებოდა კარასინმა და აბაშიძემ პოზიტიურად შეაფასეს. რას შეიძლება ველოდოთ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის განვითარების საკითხში „საერთო გაზეთს" პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე და ექსპერტი პოლიტიკის საკითხებში ხათუნა ლაგაზიძე ესაუბრა.

— ბატონო რამაზ, აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთ-საქართველოს შორის პირდაპირი დიალოგი რამდენიმე დღის წინ პირველად გაიმართა. როგორ შეაფასებთ, გრიგორი კარასინსა და ზურაბ აბაშის შეხვედრას და რა მოლოდინი გაქვთ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის აღდგენის კუთხით?

— რამდენიმე ექსპერტმა და პოლიტიკოსმა აღნიშნა, რომ თვითონ კარასინისა და აბაშიძის შეხვედრა უაღრესად მნიშვნელოვანი და დადებითი ფაქტია, იმ ფონზე რა ურთიერობა არსებობს რუსეთსა და საქართველოს შორის. მიუხედავად იმისა, შეხვედრის შემდეგ იქნება თუ არა მხარეების მხრიდან კონკრეტული ნაბიჯები გადადგმული მისასალმებელია, რომ ქვეყნებს შორის არსებული „ყინული დაიძრა". მითუმეტეს შეხვედრის დასრულების შემდეგ ორივე მხარემ მოიწონა შეხვედრა თავისი კონსტრუქციულობით ე.ი. კარასინისა და აბაშიძის შეხვედრა თავისთავად პოზიტიური იყო. ვიცით, რომ გათვალისწინებულია ქვეყნებს შორის ეკონომიკური, სავაჭრო, კულტურული და ჰუმანიტარული საკითხების აღდგენა, რაც ამ ეტაპზე შესაძლებელია. თუმცა რაც შეეხება უფრო რთულ საკითხებს და ქვეყნებს შორის პოლიტიკური ურთიერთობის აღდგენას, ვფიქრობ, ეს საკითხი კიდევ დიდხანს იქნება პრობლემური და გადასაჭრელი.

— რა ფორმით მოხდება ურთიერთობის აღდგენა რუსეთსა და საქართველოს შორის? თქვენი აზრით, რატომ არ გაკეთდა კონკრეტული გზავნილი მხარეების მხრიდან?

— კარასინისა და აბაშიძის მხრიდან კონკრეტული დაპირებები არც უნდა მოგვესმინა, რადგან მიღწეული შედეგების გახმაურება ხდება მაშინ როდესაც გადაწყვეტილება მიღებულია. ამ ეტაპზე რუსეთსა და საქართველოს შორის გადაწყვეტილება მიღებული არ არის მათ იმსჯელეს იმ საკითხებზე, რომელზეც მომავალში გადაწყვეტილება უნდა მიიღონ.

— რუსი ექსპერტების ნაწილი ფიქრობს, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობა წინ ვერ წავა, როცა ქვეყნის სათავეში მიხეილ სააკაშვილია.

— მიხეილ სააკაშვილის პერსონა თავის მხრივ, სირთულეს ქმნის ქვეყნებს შორის ურთიერთობის აღდგენის კუთხით, მაგრამ პრეზიდენტის ფაქტორი გადამწყვეტი რომ ყოფილიყო კარასინისა და აბაშიძის შეხვედრა საერთოდ არ გაიმართებოდა და რუსული მხარე კონტაქტზე არ წამოვიდოდა. რუსეთისთვის, როგორც ჩანს, სააკაშვილის ფაქტორი დიდი მნიშვნელობას თანდათან კარგავს.

— გრიგორი კარასინის განცხადებით, ქვეყნებს შორის ურთიერთობის აღდეგა შესაძლებელია ისე, რომ რუსეთის პოლიტიკური პოზიცია არ დაზარალდეს.

— ზურაბ აბაშიძეს კარასინის მსგავსად ანალოგიური განცხადება, რომ გაეკეთებინა და ეთქვა რომ ურთიერთობის აღდგენის ხარჯზე საქართველოს პოლიტიკური პოზიციების დაზარალება არ უნდა მოხდეს, ეს ხომ ჩვეულებრივი პროცესია. ხომ არ იტყოდა, რუსეთთან მოლაპარაკებისას, შესაძლოა ქართული მხარის ინტერესები შეიზღუდოს. შესაბამისად რუსული მხარე მოქმედებს იგივე ინტერესებით, რომ მოლაპარაკებისას მათი ქვეყნის ინტერესები არ უნდა შეიზღუდოს. რაც შეეხება იმას, რაში მდგომარეობს კონკრეტულად რუსეთის ინტერესები, სწორედ ამ საკითხის ჩამოსაყალიბებლადაა საჭირო რუსეთისა და საქართველოს წარმომადგენლებს შორის მოლაპარაკებები.

— საქართველოს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, „რუსეთისა და საქართველოს მოლაპარაკებები სრული ტრიუმფით, რომ დასრულდეს არანაირი გარანტია არ არსებობს, რომ საქართველოს რუსეთი არ მოიქცევა ისე როგორც მოექცა აშშ-ს „მაგნიტსკის სიის" მიღების შემდეგ. როგორია, თქვენი პოზიცია იზიარებთ გრიგორლ ვაშაძის მოსაზრებას?

— საქართველოსთან პარალელს ვერ ვხედავ გრიგოლ ვაშაძის მიერ გაკეთებულ განცხადებაში. „მაგნიტსკის საქმე" კამათის საგანი დიდი ხანია იყო აშშ-სა და რუსეთს შორის და ეს არც ისე მარტივი თემაა. ვნახეთ, რომ აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ „მაგნიტსკის" სიის დამტკიცებას მხარი დაუჭირა, მაგრამ პარალელურად ხელი მოაწერა იმ შეზღუდვებისგან გათავისუფლებას, რაც რუსეთთან ვაჭრობის კუთხით არსებობდა. ასე, რომ ეს საკითხი რუსეთისა და აშშ-ის შორის ძველი თემაა. რუსეთი ყოველთვის ამბობდა, რომ „მაგნიტსკის სიის" დამტკიცების შემთხვევაში ის ანალოგიურ პროპორციულ ნაბიჯს გადადგამდა. პრინციპში რუსეთი ვალდებული იყო ეს ნაბიჯი გადაედგა, როგორც იმ პრეტენზიის მქონე ქვეყანას, რომელიც მას გააჩნია. რაც შეეხება იმას, რუსეთი, რომ საქართველოსთვის სანდო პარტნიორი არა არის ამისთვის „მაგნიტსკის სია" საჭირო სულ არ არის. საქართველოს რუსეთთან ურთიერთობის ისეთი გამოცდილება აქვს, რომ აშშ-ს საერთოდ არ დასიზმრებია. ასე, რომ ვაშაძის ანალოგია და ჟესტი გაუგებარია.

— საქართველოსთვის რუსეთი როცა სანდო პარტნიორად არ განიხილება ამ ფონზე, რა როლი უნდა ითამაშოს საერთაშორისო თანამეგობრობამა და აშშ-მა, რათა საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობები გაღრმავდეს?

— დარწმუნებული ვარ, რუსეთმა საქართველოსთან ურთიერობის აღდგენაზე უარი, რომ არ თქვა და სააკაშვილის ფაქტორი უარყოფითად არ გამოიყენა ლომის წილი საერთაშორისო თანამეგობრობას მიუძღვის. თუმცა ხშირ შემთხვევაში დიდ ფსონს ვდებთ ხოლმე უცხოეთზე, რაც კარგი არ არის, რადგან მათ თავისი ინტერესები აქვთ, ხან აწყობთ, ხან არ აწყობთ რუსეთ-საქართველოს შორის მშვიდობიანი ურთიერთობა.

ხათუნა ლაგაზიძე, — ექსპერტი პოლიტიკის საკითხებში: ქვეყნებს შორის დიალოგისა და ურთიერთობის აღდგენა მნიშვნელოვანია, თუნდაც იმიტომ, რომ რუსეთი საქართველოსთვის საფრთხის რეალური წყაროა და ამ საფრხის გასანეიტრალებლად, კონტაქტის არასებობა კარგი გამოსავალი არა არის. პირიქით, დიალოგისა და კომუნიკაციის რეჟიმი გაცილებით მომგებიანია. შესაბამისად დიალოგის აღდგენა პოზიტივია, მაგრამ კონკრეტულად რას შეიძლება ველოდოთ, ან რა პერიოდში ორ ქვეყანს შორის, სხვა საკითხია. ამ ეტაპზე რუსეთთან სავაჭრო, ეკონომიკური, სავიზო და კულტურული ურთიერთობების აღდგენა სერიოზული მიღწევაა. დღევანდელი რუსეთი ის ქვეყანაა არაა, რომელიც გვახსოვს. მას თავად უდგას უსაფრთხოების პრობლემა. მოგეხსენებთ, რუსეთი შეშფოთებით შეხვდა აშშ-ის გადაწყვეტილებას ავღანეთიდან ჯარების გამოყვანის შესახებ, რადგან რუსეთმა შესაძლოა ვერც შეძლოს საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფა რადიკალური ისლამისტების, ნარკოტრეფიკინგისა და ტერორიზმის წინააღმდეგ.

— რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის აღდგენის პროცესს აფერხებს, თუ არა მიხეილ სააკაშვილის პერსონა. მიუხედავად იმისა, რომ აბაშიძის განაცხადებით შეხვედრაზე სააკაშვილის პერსონაზე საუბარი არ ყოფილა?

— ვფიქრობ, პრეზიდენტის ფაქტორი ქვეყნებს შორის ურთიერთობის დარეგულირებას ხელს არ უშლის, რადგან იმაზე მეტი რასაც რუსეთი, გვთავაზობს სხვა არაფრის შემოთავაზება არ შეუძლია. რუსეთი საქართველოსთვის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამბრუნებელი არ არის, როგორი არაპოპულარულიც არ უნდა იყოს ეს განცხადება, ეს ასეა. ამასთან რუსეთი არც თავდაუსხმელობის ხელშეკრულებაზე ხელის მომწერი არ არის. საქართველოში პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების ბედის გადამწყვეტი აშშ-ის ნაცვლად რუსეთი რომ ყოფილიყო შედეგად მივიღებდით არა მშვიდობიანად გადაბარებულ ხელისუფლებას, არამედ თბილისის ქუჩებში რუსულ ტანკებს. ურთიერთობის სხვა სტილი რუსეთმა არ იცის. მისთვის პრობლემის გადასაჭრელად ერთადერთი ძალისმიერი გზა არსებობს.

— როგორ ფიქრობთ, საქართველოსა და რუსეთს შორის სათანადო გარანტიების შექმნაში რა როლი ენიჭება საერთაშორისო პარტნიორებს?

— აშშ-ის ელიტაში საკმაოდ ბევრი ჯგუფია რომელიც საქართველოს აღიქვამს, როგორც პლაცდარმად რუსეთის წინააღმდეგ. ეს ხედვა ეწინააღმდეგება ყველა ტიპის დიალოგს საქართველოსა და რუსეთს შორის. თუმცა ამერიკაში არსებობს საკმაოდ გავლენიანი ნაწილი, რომლის პოზიციაზე თითქმის მთელი ევროპა დგას. ისინი საქართველოსა და რუსეთს შორის დაძაბული ურთიერთობის დარეგულირების მომხრეები არიან, რადგან დაძაბულობის შემთხვევაში აშშ-ს უწევს არბიტრის როლის თამაში. ამიტომ გააჩნია რომელი კონცეფცია გაიმარჯვებს. რუსეთმა საქართველოსთან მიმართებაში უსაფრთხოების კუთხით რა ტიპის ხელშეკრულებას ხელი არ უნდა მოაწეროს და როგორ საერთაშორისო სამართალი ნორმებიც არ უნდა იყოს გამყარებული საქართველოს უსაფრთხოების მთავარი გარანტორი იქნება აშშ და მასთან სტრატეგიული პარტნიორობა. რუსეთმა საკმარისია დაინახოს, აშშ-ის ინტერესების სფეროდან საქართველო ამოიშალა, რა ტიპის მექანიზმებით, რა დებულებებითაც არ უნდა იყოს რუსეთი შეზღუდული საქართველოსთან უსაფრთხოების კუთხით დაარღვევს.

მირანდა ნაბახტეველი
555 62 13 63

იხილეთ „საერთო გაზეთი" ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

დევიდ კამერონი: ბრიტანეთმა შესაძლოა ევროკავშირი დატოვოს

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა დევიდ კამერონმა პირველად საჯაროდ აღიარა, რომ დიდი ბრიტანეთმა შესაძლოა ევროკავშირი დატოვოს.

„ჩვენ პასუხისმგებლები ვართ ჩვენი ბედის და ჩვენ შეგვიძლია დამოუკიდებლად მივიღოთ გადაწყვეტილება", -აღნიშნა კამერონმა.

თუმცა კამერონი მიიჩნევს, რომ ბრიტანეთი ევროკავშირში უნდა დარჩეს იმისათვის, რომ გააგრძელოს მონაწილეობა ერთიან ბაზარში და ჰქონდეს ევროპაში თავისი გავლენის გაზრდის შესაძლებლობა.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ ლონდონის მერმა ბორის ჯონსონმა განაცხადა, რომ ბრიტანეთს შეეძლო აყვავება გაერთიანებული ევროპის გარეშეც.

ის დარწმუნებულია, რომ თუ ბრიტანეთი ევროკავშირს დატოვებს, სამყაროს აღსასრული არ მოხდება.

„მედიანიუსი"

საუბრები **ზაზა შათირიშვილთან**

maqvs Tu arauf leba Cems axladSeZeni l vaJiSvils `hitleri~an `bin ladeni~vuwodo!

ნაციზმი, როგორც აბსოლუტური ბოროტება, სტალინი – „ნიურნბერგის პროცესის“ შემოქმედი და „ჰიტლერი“, როგორც ჰოლოკოსტის რევიზია

მოდით, დავსვათ ამგვარი კურიოზული შეკითხვა: მაქვს თუ არა უფლება, რომ ჩემს ახლადშეძენილ ვაჟიშვილს „ჰიტლერი“ ან „ბინ ლადენი“ კუწოდო? ეს უკანასკნელი შემთხვევა ნამდვილად მოხდა თანამედროვე ევროპაში და მამისათვის საკმაოდ უიღბლოდ დამთავრდა: სხვაგვარად რომ ვთქვათ, მამას, საკანონმდებლო აქტით, პირშოსათვის გამოჩენილი ტერორისტის სახელის დარქმევა აუკრძალეს.

ჩემი აზრით, ეს უბრალო კურიოზი არაა – სახელის დარქმევა ხომ თანამედროვე ამერიკასა თუ ევროპაში, ძირითადად, დაცლილია იმ საკრალური შინაარსისაგან, რაც ამ აქტს ტრადიციულ ცივილიზაციებში ენიჭება. მაგრამ, როგორც ჩანს, საქმე მთლად ასე არაა. მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ თანამედროვე ევროპასა და ამერიკაში გაბატონებული ლიბერალური იდეოლოგია ახალი რელიგიის ნაირსახეობას წარმოადგენს, რომელსაც თავისი დოგმები აქვს. ერთ-ერთი ასეთი დოგმაა – ნაციზმი, როგორც აბსოლუტური ბოროტება, რაშიც ძალიან ძნელია თანამედროვე ლიბერალიზმს არ დაეთანხმო. სწორედ ამ დოგმატური პოზიციიდან არ შეიძლება ახალშობილისათვის, მაგალითად, სახელი "ჰიტლერის" დარქმევა.

აქ ჩნდება ასეთი შეკითხვა: კი, მაგრამ ახალშობილს "სტალინი" რომ ვუწოდოთ? გერმანიაში ეს ძნელად წარმოსადგენია, მაგრამ, დავუშვათ და სხვა რომელსამე ევროპულ ქვეყანაში ვართ, მაშინ? სწორედ ესაა თავი და თავი პრობლემისა: საქმე ისაა, რომ სტალინიზმის "ნიურნბერგის პროცესი" არ შემდგარა და ვერც შედგება, – დავსძენთ ჩვენ. რატომ? – ერთი უბრალო მიზეზის გამო – ნიურნბერგის პროცესის ერთ-ერთი შემოქმედი და მოსამართლე თავად სტალინი და სტალინიზმია. სწორედ ამიტომაც, დღეს შეუძლებელია სტალინიზმის გასამართლება, რადგან ამით ჩრდილი ეცემა მასაც, ვინც სტალინთან და სტალინიზმთან ერთად მოაწყო ნიურნბერგის პროცესი – დასავლურ ლიბერალურ დემოკრატიას, რადგან სტალინიზმის გასამართლებისას დასავლური დემოკრატიული ლიბერალიზმი უბრალო მოწმე ვერ იქნება.

დღეს ჰიტლერის სახელი ტაბუდადებულია, ძირითადად, ებრაელი ხალხის გენოციდის გამო. ამ გენოციდს რამდენიმე სახელი აქვს – "კატასტროფა", "შოა" და "ჰოლოკოსტი". როცა ჩვენს პირშოს "ჰიტლერს" ვარქმევთ, ეს სხვა არაფერია, თუ არა იმ 6 მილიონი ებრაელის (ასეთია ოფიციალური სტატისტიკა) შეურაცხყოფა, რომლებმაც სიცოცხლე საკონცენტრაციო ბანაკებში დაასრულა. სახელი "ჰიტლერის" დარქმევა ესაა, გარკვეული აზრით, ჰოლოკოსტის რევიზია, რომელიც ბევრ ევროპულ ქვეყანაში სისხლის სამართლის დანაშაულია (მაგალითებად მოვიყვანთ ბრიტანელი ისტორიკოსის, ე. წ. "ჰოლოკოსტის რევიზიონიზმის" წარმომადგენლის დევიდ ირვინგისა და ფრანგი ფილოსოფოსის, ყოფილი კომუნისტისა და ამჟამად გამაჰმადიანებული როჟე გაროდის სკანდალურ სასამართლო პროცესებს).

რევიზიონისტი ისტორიკოსები ადასტურებენ რა II მსოფლიო ომის პერიოდში გერმანული ნაციზმისა და, ნაწილობრივ, იტალიური ფაშიზმის მხრიდან (თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ იტალიაში ებრაელთა დევნა მხოლოდ გერმანიის მხრიდან მისი ოკუპაციის შემდეგ იწყება), ებრაელთა დევნასა და შევიწროებას, ოფიციალურ სტატისტიკას (რომ მსხვერპლი 6 მილიონია) და "საბოლოო გადაწყვეტის" (**Final Solution**) არსებობას უარყოფენ (იგულისხმება, რომ 1943 ან 1944 წელს ჰიტლერმა მიზნად დაისახა "ებრაული საკითხის" გადაჭრა და

შესაბამისი ოფიციალური ბრძანებაც გასცა, რომელიც ისე იყო გასაიდუმლოებული, რომ არქივებში არანაირი კვალი არ დაუტოვებია). ის, რომ რევიზიონიზმი სისხლის სამართლის დანაშაულია, ამას ბევრი ლიბერალი იურისტიც კი ეჭვის თვალით უყურებს, რადგანაც ჰოლოკოსტის უარყოფა, ფორმალური თვალსაზრისიდან გამომდინარე, კერძო აზრია, რომელიც არ შეიცავს ომის, რასიზმის, ანტისემიტიზმისა თუ სხვ. პროპაგანდის ნიშნებს. მართლაც, წმინდა იურიდიული პოზიციიდან რევიზიონიზმისა და ჰოლოკოსტის უარყოფის აკრძალვა არადემოკრატიულია და ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით აღიარებულ სიტყვის თავისუფლების პრინციპს. მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ თანამედროვე ლიბერალური იდეოლოგია და ლიბერალური ღირებულებებისადმი (ფართო გაგებით) ერთგულება უფრო მნიშვნელოვანი რამაა, ვიდრე ფორმალური დემოკრატიის პრინციპები.

მოვიყვანთ ერთ მაგალითს: ჰიტლერმა, დემოკრატიულ არჩევნებში კანონიერად გაიმარჯვა. გერმანელი ხალხის უდიდესმა ნაწილმა წესრიგსა და ტოტალიტარიზმს მისცა ხმა, რამაც, საბოლოო ანგარიშით, ერთი მხრივ, ებრაელი და ბოშა ხალხების გენოციდი, ხოლო, მეორე მხრივ, ჰომოსექსუალებისა და სულით ავადმყოფების განადგურება გამოიწვია. სწორედ ამიტომ, თანამედროვე ლიბერალური დემოკრატია გულისხმობს ეთნიკური, რელიგიური, სექსუალური და სხვ. უმცირესობების არა ოდენ დაცვას, არამედ ამ დაცვისათვის მყარი საკანონმდებლო და სამართლებრივი გარანტიების შექმნას.

„ადამიანის უფლებები“ – ფუნდამენტური თუ ისტორიული მოვლენა?

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან, სულ მცირე, ორი რამ გამომდინარეობს: პირველი ის, რომ ლიბერალური იდეოლოგიისა და ფორმალური დემოკრატიის დაპირისპირების შემთხვევაში სასწორის პინა ლიბერალიზმისკენ იხრება და მეორე, სულ უფრო და უფრო რთული ხდება დემოკრატიაზე, როგორც უნივერსალურ ფენომენზე, საუბარი, რადგანაც ლიბერალური იდეოლოგიის გარეშე დემოკრატიული მექანიზმების ტრანსპორტირება ძალიან პრობლემურია. კერძოდ, მრავალპარტიული არჩევნები ფორმალობად იქცევა

შესაბამისი ოფიციალური ბრძანებაც გასცა, რომელიც ისე იყო გასაიდუმლოებული, რომ არქივებში არანაირი კვალი არ დაუტოვებია). ის, რომ რევიზიონიზმი სისხლის სამართლის დანაშაულია, ამას ბევრი ლიბერალი იურისტიც კი ეჭვის თვალით უყურებს, რადგანაც ჰოლოკოსტის უარყოფა, ფორმალური თვალსაზრისიდან გამომდინარე, კერძო აზრია, რომელიც არ შეიცავს ომის, რასიზმის, ანტისემიტიზმისა თუ სხვ. პროპაგანდის ნიშნებს. მართლაც, წმინდა იურიდიული პოზიციიდან რევიზიონიზმისა და ჰოლოკოსტის უარყოფის აკრძალვა არადემოკრატიულია და ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით აღიარებულ სიტყვის თავისუფლების პრინციპს. მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ თანამედროვე ლიბერალური იდეოლოგია და ლიბერალური ღირებულებებისადმი (ფართო გაგებით) ერთგულება უფრო მნიშვნელოვანი რამაა, ვიდრე ფორმალური დემოკრატიის პრინციპები.

მოვიყვანთ ერთ მაგალითს: ჰიტლერმა, დემოკრატიულ არჩევნებში კანონიერად გაიმარჯვა. გერმანელი ხალხის უდიდესმა ნაწილმა წესრიგსა და ტოტალიტარიზმს მისცა ხმა, რამაც, საბოლოო ანგარიშით, ერთი მხრივ, ებრაელი და ბოშა ხალხების გენოციდი, ხოლო, მეორე მხრივ, ჰომოსექსუალებისა და სულით ავადმყოფების განადგურება გამოიწვია. სწორედ ამიტომ, თანამედროვე ლიბერალური დემოკრატია გულისხმობს ეთნიკური, რელიგიური, სექსუალური და სხვ. უმცირესობების არა ოდენ დაცვას, არამედ ამ დაცვისათვის მყარი საკანონმდებლო და სამართლებრივი გარანტიების შექმნას.

„ერი“ – „არაბუნებრივი“ ფენომენი

რატომ არის კომუნიზმი და ნაციზმი დასავლურ ლიბერალური დემოკრატიის იდეოლოგიის რადიკალური, მაგრამ მაინც ორგანული გამოვლინება? ერთი მარტივი მიზეზის გამო – კომუნიზმიცა და ნაციზმიც ამოიზარდა ერისა და კლასის იგივეობის ლიბერალური იდეიდან. საქმე ისაა, რომ ფრანგულ-გერმანულმა განმანათლებლობამ, ინგლისურმა პრაგმატიზმმა და, ამის პარალელურად, ინგლისისა და საფრანგეთის რევოლუციებმა საზოგადოების ერთ-ერთი სოციალური სტრატა ერს გაუთანაბრეს: ბურჟუაზიამ – საზოგადოების ერთმა ფენამ, მისმა ნაწილმა და ერთ-ერთმა კლასმა, თავი ერად, მთლიანობად გამოაცხადა. ეს იმას ნიშნავდა, რომ არისტოკრატია

და საეკლესიო წოდება მეფესთან ერთად ერის მოღალატეები იყვნენ, რომ ისინი ვერ იქნებოდნენ ერის შემადგენელი ნაწილები. სწორედ ერი – კლასის ეს ახალი იდეა გახდა ბურჟუაზიული ტერორისა და ლიბერალური იდეოლოგიის საფუძველი: ერთი კლასი – ბურჟუაზია უდრის მთელ ერს, მთელ საზოგადოებას. სწორედ აქ უნდა ვეძებოთ თავისუფლების, თანასწორობისა და ადამიანის უფლებების, ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ, ახალი დროის ნარატივის (თავისი სამი განშტოებით, როგორებიცაა – ლიბერალიზმი, კომუნიზმი და ნაციზმი) სათავე.

ერის სუვერენობა (თავისუფლება), მისი ყველა ნაწილის თანასწორობა და ადამიანის უფლებები – ასეთია ახალი კლასის მიერ წამოყენებული პირობები, რომლებიც ამიერიდან უნდა გაიზიაროს საზოგადოების თითოეულმა ფენამ (და ცხადია, თითოეულმა წევრმა), თუ მას უნდა ერის სრულფასოვანი ნაწილი გახდეს. საგულისხმოა, რომ "ერი", როგორც ვხედავთ, სულაც არ წარმოადგენს "ბუნებრივ" ფენომენს, იგი პირდაპირი აზრით ხელოვნურად კონსტრუირდება, რასაც, ბუნებრივია, დიდი სისხლისღვრაც მოსდევს.

ფრანგი რევოლუციონერების მსგავსი ნაბიჯი XX საუკუნეში ბოლშევიკებმა გადადგეს, როცა „ახალი ერის" ერთადერთ სტრატად მარგინალები გამოაცხადეს (ე.წ. "პროლეტარიატი" და "ულარიბესი გლეხობა"). ეს სხვა არაფერი იყო, თუ არა ერისა და კლასის ბურჟუაზიული ერთიანობიდან გათავისუფლების ცდა ერის გაუქმების ხარჯზე. საწინააღმდეგო, მაგრამ ანალოგიური ნაბიჯი გადადგა ნაციზმმა, როცა კლასიდან არიული რასის ("მეტაერის") ალქიმიურ "გამოხდას" შეუდგა.

„ადამიანის უფლებები“ ადამიანის პირისპირ

ერის (ანუ ბურჟუაზიის) სუვერენობა და ადამიანის უფლებები – ეს ბურჟუაზიის მიერ საკუთარი ძალაუფლების ლეგიტიმაციის საშუალებაა. მაგრამ ეს ლეგიტიმაცია, პირდაპირი აზრით, მეფის მოჭრილ თავზე დგას, რის გამოც დემოკრატიული ლიბერალიზმის თანამდევი კრიზისი სწორედ ლეგიტიმურობის კრიზისი და ლეგიტიმურობის ნოსტალგიაა. აქედან იღებს დასაბამს ისეთი კვაზიმონარქისტული ტერმინი, როგორიცაა "კანონის უზენაესობა".

მაგრამ, თუკი კანონის წყარო ლიბერალური (ან კომუნისტური, ან ნაცისტური და ა.შ.) იდეოლოგიაა, მაშინ როგორ შეიძლება, რომ ის – კერძო იდეოლოგია – ფუნდამენტური იყოს? სწორედ ესაა ახალი "პოლიტიკური თეოლოგიის" (ლოკი, ჰობსი, კონტი, ტოკვილი, მარქსი და ა.შ) ძირითადი თავსატეხი – როგორ შეიძლება ფუნდამენტური იყოს ის, რაც კონვენციურია? როგორ მივანიჭოთ სუბსტანციურობა იმას, რაც ისტორიულია? როგორ დავბომბოთ ქვეყანა ისე, რომ ეს სამართლიანი იყოს?

ეს შეკითხვა ერთნაირი სიმწვავით ჟღერს როგორც ჩეჩნეთისა და საქართველოს, ისე ერაყისა და სერბეთის შემთხვევაში. ლიბერალიზმის ცივილიზაციას ამაზე დღემდე ერთადერთი, მაგრამ ძალიან პრაქტიკული პასუხი აქვს – ძალა და ძალაუფლების დისკურსი, რომელიც მალავს ძალას და საუბრობს "ადამიანის უფლებებსა" და მათ დარღვევაზე.

დღეს ჩვენს თვალწინ ერთმანეთს უპირისპირდება არა განსხვავებული ცივილიზაციები (როგორც ეს ჰანტინგტონს ჰგონია), ან მოდერნული და არამოდერნული ("ჩამორჩენილი") სამყაროები (როგორც ფუკუიამა ფიქრობს) და არც "იმპერიალისტური დასავლეთი" და "პოსტკოლონიური აღმოსავლეთი" (როგორც ამას ჩაგვაგონებდა ედუარდ საიდი), არამედ "ადამიანის უფლებები" – XVIII საუკუნეში ჩამოყალიბებული პოლიტიკური იდეა – და თვითონ ადამიანი, რომელიც უფრო მეტია, ვიდრე მისი უფლებები. დღეს ერთმანეთს უპირისპირდება ის, რაც აქვს (ან ჰგონია, რომ აქვს) ადამიანს და ის, რაც ადამიანი სინამდვილეში ჭეშმარიტად არის.

ესაუბრა
თამარ შველიძე
555 23 28 24

alali vano da marTali Tea

„თუ ხელისუფლებას არ შეუძლია მეტზე მოედავოს ვანო მერაბიშვილს, მაშინ, ამ ყველაფრის შეფასება მიმინდვია საზოგადოებისთვის“, – თეა თუთბერიძე.

თეა-გოგო არ გახლავთ ფრაზების როყიოდ მსროლელი, მოკლედ და ბეჭედდასმულად ყოველთვის კარგად აქვს გააზრებული, რას ამბობს და ვინ ჰყავს მიზანში, აი, რატომ – ეს უკვე სხვა საკითხია. ამ შემთხვევაში, მხოლოდ ვერსიის დონეზე შეიძლება ვივარაუდოთ, რატომ გაჰკრა კბილი ვანო მერაბიშვილს თეამ და რატომ დაამუნათა ახალი ხელისუფლება – კენჭი ისროლა კბილაშვილის უწყებაში და ლოდი მერაბიშვილის ბოსტანში.

მოგეხსენებათ, სანამ ძმები ახალაიები საქართველოს სივრცეში არ ჩანდნენ, მათმა მამამ, ბატონმა

როლანდ ახალაიამ განაცხადა, ჩემი შვილები საჯარო მოხელეები აღარ არიან და ახლა დასასვენებლად იმყოფებიანო. ამავდრულად რამდენიმე დღით თვალთახედვის არედან ისე დაიკარგა ვანო მერაბიშვილი, კაცი არ იყო მისი გზა-კვალის მცოდნე. მანამდე თუ იმას კითხულობდანენ, ვანო რატომ არ გარბისო, მის გაუჩინარებას კითხვა მოჰყვა, ვანოც გაიქცაო? არადა, ვანო არსადაც არ გაქცეულა, რამდენიმე დღეში ისევ გამოჩნდა და რუსთავში გამართულ შოთაობასაც დაესწრო.

მთლიანობაში თუ ავიღებთ ყველა ამ გავრცელებულ ხმას და დავალაგებთ, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ნიშნები ნამდვილად გამოიკვეთება. ანუ თეა თუთბერიძე ნაწყენი უნდა იყოს ვანო მერაბიშვილზე თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე უკვე პრემიერ-მინისტრობის კანდიდტმა მერაბიშვილმა მის შემცვლელზე ორიოდე სიტყვის თქმისას აღნიშნა, რომ ბაჩო ახალაიას გაუჭირდებოდა „მუშაობის შენარჩუნება“, ხოლო ის, რომ „აუღებელი“ ბაჩო, რომელიც პრეზიდენტსაც კი გაუძალიანდა, მან „შეაბა“ – ტკბილი სიტყვით გველი ხვრელიდან ამოიყვანა, ძალიან დიდი საფუძველია მოუნელებელი ბოღმისათვის...

კარგად მახსოვს, ერთ დროს, ანუ ჯერ კიდევ შევარდნაძის მმართველობისას (თუ არ მეშლება, 2000 წელს) უფერული და უტყვი ვანო მერაბიშვილი კობა დავითაშვილის დასაცავი რომ გახდა „ალალობით მოუვიდა, და ეს ისეთი თვისებაა, რომელიც არ უნდა დაისაჯოსო“.

აგერ ახლახან, 2011 წელს, რადგან მის მიერ შექმნილი სადამსჯელო მანქანის გამო ხალხის განწყობა იცოდა, ბიძინა ივანიშვილის სიტყვის შესაწევიც გახდა „ვიცნობ, როგორც კარგ მენეჯერს, კარგ ორგანიზატორს და ბევრი დადებითი თვისების მქონე პიროვნებას.“ კეთილგანწყობის ნიშნად, ბატონმა ივანიშვილმა რჩევაც მისცა „ურჩიე საკაშვილს, რომ დროზე გადადგეს!“

ვინ ვისი რჩევა არ შეისმინა, ახლა აღარ აქვს მნიშვნელობა, „დღის წესრიგად“ ის იქცა, რატომ ჰქონდა წინა ხელისუფლების „ერთ-ერთ ყველაზე მოაზროვნე და დაბალანსებულ“ კაცს, ბატონ მერაბიშვილს ყალბი პასპორტი და არის თუ არა ეს ისეთი დანაშაული, რომ ჩიტი ბდღვნად ღირდეს.

ხალხსაც და როგორც ჩანს, თეა თუთბერიძესაც, მოთხოვნა აქვთ, რომ ბატონ მერაბიშვილზე უფრო მძიმე და სერიოზული მუხლებით აღიძრას სისხლის სამართლის საქმე, თორემ პასპორტის გაყალბებაც სისხლის სამართლის დანაშაულია, მით უმეტეს, რომ როდესაც ყალბი პასპორტი გაიცა (2011 წლის 25 აგვისტო), ბატონი მერაბიშვილი მაღალი თანამდებობის პირი იყო. ამას თან ერთვის ისიც, რომ საქმეში ნებსით (თუ უნებლიედ) ჩათრეულ-ჩაყოლილები არიან საჯარო რეესტრის იმდროინდელი თავმჯდომარე (დღეს პარლამენტარი) გიორგი ვაშაძე, რომელიც სწორედ თავისი უწყების გამართული საქმიანობით იწონებდა დღემდე თავს და მასთან შედარებით, „წვრილფეხობა“ (სახელმწიფო სერვისების სააგენტოს მოქალაქეობისა და მიგრაციის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი გიორგი ეპიტაშვილი და სამმართველოს კურატორი ლევან სამადაშვილი).

არაო, გამოძიება მიმდინარეობს მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით აბსოლუტურად ზედმეტი აჟიოტაჟის გარეშე და მერაბიშვილის დაკავება აზრადაც არ გვქონია და არც დღეს არ გვაქვს აზრად, რომ აღნიშნულ საკითხზე დაკავება მოხდეს, სხვა საკითხია პასუხისმგებლობა, რაც გამოვლინდებაო, – დაინტერესებულ პირთათვის ცივი წყლის გადასხმა არ დაიზარა ბატონმა კბილაშვილმა.

კიდევ უკეთესი, „ჩვენ მერაბიშვილი არასდროს დაგვიკავებია, არც იმ მომენტში, როდესაც მან საქართველო თავისი ნამდვილი პასპორტით დატოვა. უბრალოდ, ეპიზოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ინსპექტორს პირველად წარედგინა პასპორტი, რომელიც მერაბიშვილის არ იყო, ამ ფაქტის მიუხედავად, არც გამგზავრებაში და არც ჩამოსვლაში ხელისშეშლა არ ყოფილა“, – ბრძანა ბატონმა კბილაშვილმა.

მერედა რატომ, რატომ „არა“, კვლავ არათანასწორნი არიან საქართველოს მოქალაქეები კანონის წინაშე?... ჯერ კიდევ პრემიერ-მინისტრობის კანდიდატად წარდგენილმა პირმა, ბატონმა მერაბიშვილმა თქვა პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე: პასუხისმგებლობას ვიღებ ყველაფერზე, რაც აქამდე მითქვამს და მიკეთებიაო დაა...

ვინ არის ეს ალალი და ბევრი დადებითი თვისების მქონე, წმინდა გიორგის ორდენის მფლობელი ვანო მერაბიშვილი, საიდან, როდის და როგორ ამოტივტივდა უეცრად და ასევე უეცრად როგორ გადააფრინდა „პოლიტიკიტებს“ უდედან ჩამოსული და ბოლო დრომდე „გაღლეტილი“ კაცი, რა დამსახურებისთვის?

ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო ფაკულტეტის მაჩანჩალა სტუდენტმა 1992 წელს დაამთავრა განათლების მიღება და 1995 წლიდან მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი, ხოლო 1996 წელს „თავისუფლების ინსტიტუტის“ ერთ-ერთი თანადამფუძნებელი გახდა. 1999 წელს პარლამენტის წევრად აირჩიეს (დანიშნეს), თუმცა არავის შეუმჩნევია მისი არსებობა მანამ, სანამ, ცოტა უცნაურია, მაგრამ „ვაშინგტონ პოსტი“ არ „დაინტერესდა“ მისგან (არაფრით გამორჩეული რიგითი პარლამენტარისგან) ინტერვიუს აღებით. ინტერვიუ სკანდალისთვის იყო გამიზნული – ვანო მერაბიშვილი, სწორედ ეს უტყვი მამაკაცი აღმოჩნდა ის „გაბედული პოლიტიკოსი“, რომელმაც განაცხადა, რომ მისი პარტიის თავმჯდომარე და ქვეყნის პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე იმდენად დაბერდა, რომ ქვეყნის მართვა აღარ შეუძლია.

აი, ამ დღიდან გაიცნო ფართო საზოგადოებამ ვინმე ვანო მერაბიშვილი, რომელმაც გაბედა და წინ გადაურბინა „მამას.“ მის ამგვარ საჯარო განცხადებას, ვინაიდან, მერაბიშვილი „ახალგაზრდა რეფორმატორთა“ ფრთის – ჟვანიას გუნდის წევრი იყო, მწარე რეაქცია მოჰყვა ზურაბ ჟვანიას მხრიდან. „რაღაცას დროში დაემთხვა“ და მერაბიშვილმა ინტერვიუ მისცა უკვე „კომერსანტს“, სადაც, იმ დროისთვის უცნაური ფრაზა თქვა: „ჟვანიასა და საკაშვილს შორის დაპირისპირება არ არსებობს და გარანტიას გაძლევთ, კიდევ ხუთი წელი არ იქნება“. რანაირად იძლეოდა „რიგითი“ მერაბიშვილი რაღაცის გარანტიებს და რატომ გახდა სამშობლოში „უჩინო“ და უტყვი კაცი ასე საინტერესოდ მეტყველი მნიშვნელოვანი რესპონდენტი მის ფარგლებს გარეთ?

სრულად ხუთი წელი არ გამოვიდა, მაგრამ დოკუმენტურ ფაქტად დევს 2005 წლის 3 თებერვლის ვიდეოჩანაწერი, როდესაც სისხამ დილას, უკვე საქართველოს შს მინისტრის რანგში, (2004 წელს 18 დეკემბერს დაინიშნა) სწორედ ვანო მერაბიშვილი ამცნობს საზოგადოებას პრემიერ ზურაბ ჟვანიას უბედური შემთხვევით გარდაცვალების შესახებ...

რა თქმა უნდა, როგორც საკაშვილის ხელისუფლების ცალკეულ მაღალჩინოსნებს, ვანო მერაბიშვილსაც პირადად არავინ უცემია, უწამებია ან მოუკლავს, ქვეყნის უმაღლესი პირის მსგავსად, მხოლოდ ხსენებული დანაშაულებრივი ქმედებების შესრულების ბრძანებას იძლეოდა, შემსრულებლები კი ასრულებდნენ. ასე შესრულდა სისხლიანი ბრძანებები, რომელმაც ასეულობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა „ნაცმოძრაობის“ ბატონობისას საქართველოს ქუჩებსა და ციხეებში; ასეულობით ადამიანი დაავადდა და დამახინჯდა ფიზიკურად და სულიერად; 2004 წლიდან 2012 წლის შემოდგომამდე ათასობით ოჯახი თრთოდა იმის შიშით, რომ მოულოდნელად შეუვარდებოდნენ სახლში „სოდ-ის“ ან „კუდ-ის“ ქურთუკიანები (ან ორივე ერთად), წაათრევდნენ ე.წ მოდულის შენობაში და ისეთ ისტორიას აღიარებინებდნენ, რაც სიზმარშიც კი არ უნახავს; ადამიანებს ერთმანეთთან საკუთარი გასაჭირის შეჩივლება რომ უნდოდათ, მობილურ ტელეფონებს შლიდნენ, აკუმულატორს აცლიდნენ, გვერდზე ოთახში დებდნენ და მაინც ჩურჩულით აგრძელებდნენ

საუბარს. (რა თქმა უნდა, მოსმენა დაწესებულებების დამლაგებლებსაც კი დავალებული ჰქონდათ თურმე. ნებართვა №974); თანამედროვე ქართველი „ესესელებით“ იყო ალყაშემორტყმული ყველა და ყველაფერი და ამ წლებს მისტირის ვანო მერაბიშვილი „ჩემს ცხოვრებაში ყველაზე კარგი წლები იყო შინაგან საქმეთა მინისტრობისასო“.

ნუთუ არავინ დაინტერესდება, რატომ უნდა ყოფილიყო კარგი წლები ვანო მერაბიშვილისთვის ის წლები, როცა პრეზიდენტის მითითებითა („ნულოვანი ტოლერანტულობა წვრილმანი სისხლის სამართლის დანაშაულის მიმართ! მე შემომაქვს ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსში, რომელიც ითვალისწინებს, რომ ბინის ძარცვაზე, ქუჩაში ძარცვაზე, ჯიბგირობაზე, ნარკოტიკების შენახვაზე, მთლიანად უნდა გაუქმდეს პირობითი სასჯელი. არანაირი პირობითი სასჯელი, „ყველანი ციხეში“ პრეზიდენტი სააკაშვილი. 2006 წ. თებერვალი) და ზედდართული უშუალოდ მისი გადაფარებული კალთის ქვეშ ჩიტებივით ხოცავდა მის მიერვე წახალისებული ყველა „ფორმიანი“ განუკითხავად ყველას?

რა თქმა უნდა, არც 2006 წლის 27 იანვარს იმყოფებოდა ვანო მერაბიშვილი „შარდენ-ბარში“ და არ შესწრებია, როგორ გასცა ბრძანება მისმა მეუღლემ; გაიყვანეთ და ჭკუა ასწავლეთო და არც იმას, როგორ შეიწირეს მისმა და მისი მეუღლის ამფსონებმა სანდრო გირგვლიანი; არც მაშინ, როცა 2006 წლის 2 მაისს ჩოგბურთის კორტებთან ზურა ვაზაგაშვილი და ალექსანდრე ხუბულოვი ჩაცხრილეს; არც მაშინ, როდესაც რუსთაველზე, 8 მაისს, „მაკდონალდსთან“ გიორგი გამცემლიძე დამიზნებით მოკლა პოლიციელმა; არც მაშინ, როდესაც როინ შავაძეს ხვრეტდნენ; არც მაშინ, როდესაც 21 დეკემბერს სულხან ლომიძე დახვრიტეს; არც მაშინ, როცა ვლადიმერ ხოშტარია, აკაკი კორკოტაშვილი, ავთო და ვახო გუმაშვილები, ნესტორ ესებუა, გია ოკუჯავა, თემურ ცეკვავა, თამაზ კურკუმული, ალექსანდრე თაბაგარი, ხვიცა მელაძე, გიორგი კვირიკაშვილი, გიორგი მანჯავიძე, ლევან გულუა, რეზო სარჯველაძე, მურად გორგაძე, რომან სურმანიძე, მარად ართმელიძე, გია თელია, ჯემალ ჩაფიძე, ზვიად ბაბუხადია, ბუთხუზ კიზირია, ვალერი ბენდელიანი, მიხეილ ბერძენიშვილი, გელა ცინდელიანი, ხვიჩა კოკაია, ოლეგ მესხიძე, ალექსანდრე კვეზერელი, ჯიმი მეგრელიძე, მამუკა ჩარჩხალია და ა.შ ჩახოცეს და ადგილზე დახვრიტეს; არც მაშინ იმყოფებოდა იქ, როცა მოტოციკლეტით მიმავალმა მიხეილ კირაკოსიანმა პატრულის მოთხოვნა გაჩერების შესახებ ვერ გაიგო და მოკლეს; არც მაშინ ამბობდა „სულთათანას“, როცა პოლიციელების ცემის შედეგად ადგილზე, პოლიციის განყოფილებაშივე კვდებოდნენ დაკავებულნი, ან შემდეგ, როცა სასიკვდილოდ ნაცემებს სახლში ამოსდიოდათ სული; არც ე.წ ციხის ბუნტის დროს მოუკლავს პატიმრები (ოფიციალური ვერსიით, 7 პატიმარი); არც 26 მაისს დაუგდია პირადად მიცვალებულები სახურავზე; არც პირადად დასდევნებია ვინმეს ხალხმრავალი აქციების დაშლისას რეზინის ხელკეტითა და არც პირადად ისროდა რეზინის ტყვიებს, ცრემლსადენ თუ მხუთავი გაზის ბალონებს, ამას მისი ხელქვეითები ასრულებდნენ; არც მაშინ, როდესაც თვალისჩინს ართმევდნენ აქციის მონაწილეებს, ის „უბრალოდ“, იმარაგებდა „ხალხთან საბრძოლო მასალებს“, თადარიგს იჭერდა ყოველი მომდევნო საჭიროებისთვის, შემოჰქონდა და შემოჰქონდა...

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

6 მაისის მასშტაბური დარბევის შემდეგ 15 ივნისს მოხდა ოპოზიციის მხარდამჭერებზე თავდასხმა. სახელმწიფო კანცელარიასთან და პოლიციის მთავარ სამმართველოსთან „ვანოს ბიჭები“ სასტიკად გაუსწორდნენ აქციის მონაწილეებს. მორიგი თავდასხმა 18 ივნისს მოხდა, ამჯერად პრეზიდენტის რეზიდენციასთან, სადაც კვლავ ათეულობით ადამიანი დაშავდა. იმ დროს იყო ეკა ბესელიამ უპრეცედენტი სვლა რომ გააკეთა, ვანო მერაბიშვილს პროკურატურაში უჩივლა და მისი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი დააყენა. ვიღაცას თუ ბენზინის ტალონების გამო პასუხი მოეთხოვება და ვიღაცას სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისთვის (თუნდაც გირაოს გადახდის სახით), ქალბატონი ბესელიას საჩივარი, როცა ხელისგულზე დევს სს კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულებები (სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების, შეკრებისა და მანიფესტაციის გამოხატვის თავისუფლების დარღვევა, დევნა, სასტიკი მოპყრობა, უკანონო დაკავება, ჟურნალისტური საქმიანობისთვის ხელის შეშლა, სხვისი ქონების განადგურება და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება), კვლავ მისაფუჩჩებელია? მით უმეტეს, რომ მერაბიშვილმა გამოცხადა რამდენიმე ადამიანი ადმინისტრაციული წესით დაისაჯაო, ანუ აღიარა შსს-მ, რომ ეს დანაშაულებები მოხდა, თუმცა, საჯარო არაფერი გამხდარა, არავინ იცის, ვინ და როგორ დაისაჯა. ვინ დაისაჯა, დარბევის უშუალო ხელმძღვანელები, გეგეჭკორი, გრიგალაშვილი, ორივე თუ სულაც არავინ? მხოლოდ 15 ივნისს 99 ადამიანი სცემეს პოლიციელებმა, (მათ შორის, ქალები, მოზარდები და ჟურნალისტები) 39 დააკავეს და ადმინისტრაციული წესით გაასამართლეს...

საქმეები: „მუხროვანის ამბოხი“, „ენვერი“ (I და II), „კოჭოია“ „ყინწვისი“, „ფოტორეპორტიორები“, ცალკეული ქართველების ჯაშუშობის საქმეები (ყველა მათგანი რუსეთის სასარგებლოდ) და წამება-შეურაცხყოფა-დაშინებითა და შანტაჟით მიღებული აღიარებითი ჩვენებები იმდენია, ალბათ, რამდენი პატიმარი და პრობაციონერიც ირიცხებოდა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში. ბატონი კობა კაპანაძის თქმისა არ იყოს, კარგი და აუცილებელიცაა გახმაურებული საქმეების გამოძიება (ფაქტობრივად, გამოძიებულია, რაღა გამოძიება უნდა?), რადგან, მართლაცდა არსებობს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი, მაგრამ იქნებ ვინმე დაფიქრდეს, რამდენი გაუხმაურებელი უბედურება დაატრიალა ამ ხალხმა ქვეყანაში. დავფიქრდეთ მანამ, სანამ ამის გამოსწორება ნაწილობრივ მაინც არის შესაძლებელი“...

პასპორტთან დაკავშირებით დაკითხვაზე მყოფმა ყოფილმა შს მინისტრმა შსს-ს შენობის დატოვებისთანავე მწუხარება გამოთქვა, რომ შსს რეპრესიის მანქანად იქცა ოპოზიციის წინააღმდეგ. არავინ ჩასძიებია, „პასპორტის საქმესთან“ დაკავშირებით დაბარებულ ალალ კაცს „ვანო მკვლელო!“ და „ვანო ციხეში!“ რატომ დაგძახიანო... არც იმ ხალხს ჰკითხა ვინმემ, სად პასპორტის გაყალბება და სად მკვლელი, დაასაბუთეთ ბრალდებაო...

რა დასაბუთება, „აღმოჩენებზეა“ ჯერი, თურმე 2006-2008 წლებში ვანო მერაბიშვილს მხოლოდ ის უკანონობა ჩაუდენია, რომ უფლებამოსილებისთვის გადაუმეტებია, 2006 წლის 13 მარტის ბრძანებით „კუდ-ის“ დირექტორი დათა ახალაია და გენინსპექციის უფროსი ვასილ სანოძე კი გაუთავისუფლებია (დროებით) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებიდან, მაგრამ ეს თურმე, თვალთმაქცობა ყოფილა და ორივე პირი ორი წლის განმავლობაში შეუზღუდავად და სრული მოცულობით ხელმძღვანელობდნენ შესაბამის უწყებებს. მერე? – მერე ის, რომ 2008 წლის აგვისტოში ორივე პირს აღუდგა ვითომ შეჩერებული სამსახურებრივი უფლებამოსილება – ამგვარი „კლასობანას თამაშის“ გამოა, რომ საქართველოში საქილიკო და უცხოეთში საეჭვო ხდება მიმდინარე დაკავებები, დღევანდელ უმცირესობას კი სალაპარაკო ეძლევა – გველს კუდიდან არ იჭერენ...

მაინც ვერ შევიტყვეთ, რატომ იყო ბატონი მერაბიშვილისთვის შს მინისტრობის წლები ყველაზე კარგი წლები...

ბათუმის პროკურატურაში ვანო მერაბიშვილის წინააღმდეგ საჩივარი ყოფილმა ბიზნესმენმა სერგო ბერიძემ შეიტანა. „სარჩელი შევიტანე ყოფილი პრემიერ-მინისტრ ვანო მერაბიშვილის, მისი დედის, ჟენია მერაბიშვილისა და მათი ბანდის წინააღმდეგ. მათი ხალხი მემუქრებოდა

მოკვლით და განადგურებით თუ არ დავთმობდი ახალსოფელში არსებულ ბიზნესს (მეცხოველეობის ფერმა, სამკერვალო ფაბრიკა, ავტოსადგომი, სასადილო, სასტუმრო – მთლიანობაში 12 მლნ ღირებულების). დამიბარა ვანო მერაბიშვილის მეგობარმა ლუხუმ კაპანაძემ და მითხრა, რომ აპირებდა დიდი ბიზნესის გაკეთებას, სადაც დირექტორად დამნიშნავდა. მან გარკვეული თანხა გადმომირიცხა, შემდეგ კი სხვა თანხის გადმოცემის დროს ფულის გამოძალვის ბრალდებით „კუდ-ის“ თანამშრომლებმა დამაპატიმრეს“, – ამბობს სერგო ბერიძე, რომელიც სასჯელს ჯერ ბათუმის, შემდეგ გეგუთის კოლონიაში იხდიდა და თავის დროზე შეწყალებაზე უარი თქვა.

შვეიცარიაში, დევნილობაში მყოფი ბიზნესმენი დავით ბეგიაშვილი, ჰოლდინგური კომპანია „ვაკე-5-ისა“ და „ალბატროს ჯგუფის“ დამფუძნებელი: – „მისი (ვანო მერაბიშვილი), უშუალო მითითებით განხორციელდა ჩემზე თავდასხმა და გატაცება, რასაც რამდენიმედღიანი ტყვეობა მოჰყვა მოდულის შენობაში, „კუდ-ის“ მაღალჩინოსნის კაბინეტში, ზონდერების გარემოცვაში. მოთხოვნაზე, დამეთმო ბიზნესი, ქონება და ეს ყველაფერი არ გამეხმაურებინა, უარის მიღების შემდგომ ვანო მერაბიშვილის დავალებით სხვადასხვა სახელისუფლებო უწყებებიდან რეპრესიული მოქმედებების მთელი კასკადი განხორციელდა როგორც ჩემი, ასევე ჩემი კომპანიების და ჩემთან დამოკიდებული ადამიანების მიმართ. ამის ერთადერთი მიზანი იყო აღეკვეთათ ჩემთვის თავისუფლება, გამსწორებოდნენ ფიზიკურად, შანტაჟის გზით ჩამოერთვათ ქონება, გაეჩერებინათ და დაეყადაღებინათ ბიზნესი“.

„უფლებადამცველთა ორგანიზაცია“ ნიკოლოზ მჟავანაძე: – „2009 წელს „გაეროს ნარკოტიკების შესახებ მოხსენებაში“ საქართველო ნარკოტრანზიტისა და ნარკობიზნესის „წამყვან“ ქვეყნად აღიარეს. 2010 წელს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ბოლო ანგარიშში გამოთქვა შეშფოთება, რომ საქართველო ევროპასა და აზიას შორის ნარკოტიკების ტრანზიტის კორიდორი ხდება. მათ სჭირდებოდათ ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ ბრძოლის გახმაურება და ამ საქმეს სრულიად უდანაშაულო ადამიანები შესწირეს.“

„უფლებადამცველთა ორგანიზაცია“ ვანო მერაბიშვილს (უშუალოდ ხელმძღვანელობდა), დათა ახალაიას, სოსო თოფურიძეს და ლევან ქარდავას ბიზნესმენ ნუგზარ ბოჭორიშვილის (იყო „რესპუბლიკური პარტიის“ წევრი, ამჟამად საბერძნეთის მოქალაქეა და რამდენიმე რესტორნის მფლობელია ქუთაისში, საბერძნეთსა და ესპანეთში) წინააღმდეგ უკანონო სპეცოპერაციის ჩატარებასა და მისი კუთვნილი თანხის (1 700 000 ევრო) მითვისებაში სდებენ ბრალს. 2010 წელს ფოთის სასამართლომ დამნაშავედ სცნო ბიზნესმენი ნუგზარ ბოჭორიშვილი, ანასტასია ზაუტაშვილი, გიორგი ჩეჩელაშვილი, მევლუდ სვანიძე და რომან მესუმიანი. მათ ბრალი დაედოთ ნარკოტიკული საშუალების ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვაში. ბიზნესმენის გარდა ოთხივე პირი დააპატიმრეს.

ტელემაყურებლისთვის სრული პლანით რომ ეჩვენებინათ, მაინც ვერ მიხვდებოდა რა ნივთიერება უჩვენეს ტელევიზიით, ვერც სათითაოდ დალაგებული ევროების ვარგისიანობას გაარკვევდა, თუმცა, ირკვევა, რომ ნამდვილი და მართლაც ბიზნესმენისა ყოფილა, რომელმაც ვიღაცის ჯიბეში (ჯიბეებში, ანუ ანგარიშებზე) გადაინაცვლა.

თამაზ გურაშვილი, ბოჭორიშვილის ადვოკატი: – „ეს არის უპრეცედენტო ნარკოტრანზიტის საქმე, სადაც არც ერთი გრამი ნარკოტიკული ნივთიერება არ არის ამოღებული. არ არსებობს დანაშაულის ჩადენის რაიმე რეალური მტკიცებულება გარდა მოწმეთა იძულებით, წამებით მიღებული ცრუ ჩვენებებისა. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი მოწმე შიზოფრენიით არის დაავადებული. არც ერთი სხვა მტკიცებულება საქმეში არ არსებობს“...

ეს მცირე ჩამონათვალია ბატონი მერაბიშვილის სანუკვარი წლებიდან, მაგრამ თუ მაინც არანაირ კითხვას არ ბადებს სამართლებრივი კუთხით, ვერაფერს იტყვი, მართალი ყოფილა თეა თუთბერიძე როდესაც თქვა: „თუ ხელისუფლებამ ვანო მერაბიშვილს ყალბი პასპორტის გარდა ვერაფერი მოუძებნა ე.ი მერაბიშვილი კარგი მინისტრი იყო!“

მაია ჯელიძე
5 93 32 49 71

xa l xis az r i T

როგორ დავბეჩავდით, როცა არაფერი გვაქვს მაშინ მამულიშვილობაზე და ერიშვილობაზე ვდებთ თავს, ხოლო თუ რამე გაგვიჩნდა, მდგომარეობა გაგვიუმჯობესდა, მაშინ ეს ყველაფერი გვავიწყდება.

8 წელი ხომ უთმინეთ მიშიკოს? გიგილიკოსაც უთბილავდით ფეხებს. ვისაც სახლში გაატანეთ მილიარდები ჯერ იმათ მოთხოვეთ, მაინც რომელი დანაპირები შეგისრულათ? ორ თვეში ვერ ჩაგიჩხრიალა „ოქროს თუმნიანები“? სამათხოვროდ გაწვდილი ხელები ვერ ამოავსო? წინა ხელისუფლებამ ხომ მათხოვრად აქცია მთელი ქვეყანა! მხოლოდ სულელი ითვლის სხვის ჯიბეში ფულს, საკუთარი რომ ჰქონდეს ოფლი უნდა დაღვარო! სხვას არ უნდა წაართვა, როგორც ამას აკეთებდნენ ნაცმოები.

ძნელი დასაჯერებელია, 1992 წლიდან მასონ-გლობალისტებმა ისე ღრმად გაიდგეს შხამიანი ფესვები საქართველოში სულგაყიდული ქართველების დახმარებით, რომ თეთრს შავად ასაღებენ და სიმართლეს სიცრუედ.

რა იყო, ეგეც რუსეთის ბრალია, ხო, რაც ქართველებმა დაუშავეს საქართველოს იმდენი არავის დაუშავებია ჩვენთვის, ეს ისტორიულად ცნობილია, ქართველი ჯარისკაცი ქართველისავე ხელით კვდებოდა მუდამ! ახლა უმადურები ნუ ვიქნებით და ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენი სულხან-საბა ორბელიანი ფეხით ჩადიოდა რუსეთში დახმარების სათხოვნელად და ახლა ჩვენ მუსულმანები რომ არ ვართ, ეს რუსეთის დამსახურებაცაა! კარგი და ცუდი ყველა ერშია.

გილაური პროკურატურაში დაიბარეს. კარგია! ბევრი ექნება მოსაყოლი...

მე იმ რეფერენდუმის თუ პლებისციტის დროს (ვეღარ გავიგე, რა ჩატარდა, აღარ მახსოვს) ნატოს უარი ვუთხარი, თუმცა რუსების დიდი სიმპატიების გამო არა, თუმცა მისი გეოპოლიტიკური თუ გეოსტრატეგიული ინტერესები გასათვალისწინებელია, ისევე, როგორც მან უნდა გაითვალისწინოს სხვისი და მათ შორის საქართველოს იგივე ინტერესები. ამის გამოა, რომ მისი ქმედებები ყოველთვის წინააღმდეგობას იწვევს. პოლიტიკაში ყოველთვის არ არის სასარგებლო „ძალა აღმართს ხნავს“ პრინციპი. რაც შეეხება პუტინს, არ აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება ქვეყნის სათავეში. მათი ამბიციები არ იცვლება. დეკაბრისტები მეფეს ებრძოდნენ და იმ დროისათვის დიდ დემოკრატებად ითვლებოდნენ, თუმცა ნაც.უმცირესობათა მიმართ არავითარი ტოლერანტობის განცდა არ ჰქონიათ.

ნეტავ, რატომ ხდება ჩვენს თავს ასე? იმიტომ ხომ არა, პირველ რიგში, ჩვენ ვექცევით ერთმანეთს ასე? ეს იმის ბრალი ხომ არ არის, რომ ერს მოაკლდა სიყვარულისა და აღზრდის ხელი? ვინ არის, ნეტავ, ამაზე პასუხისგებელი? ცხოველს, როგორც ვიცი, მასწავლებელი და აღმზრდელი არ სჭირდება და მასზე პასუხისგებელი არავინ არის. მაშ, რა ხდება, რატომ არის ერი უპატრონოდ და სულიერი აღზრდის გარეშე? ასე თუ არ არის, მაშინ რატომ წერს ილია ამას ჩვენზე? ვინც პასუხისგებელია ამ ამბავზე, იქნებ დაფიქრდეს ამაზე და მოიხადოს თავისი ვალი ქვეყნის წინაშე.

ადამიანის უფლებათა დამცველად უნდა ინიშნებოდნენ ისეთი პირები, ვისაც ამის მორალური და ზნეობრივი უფლებები გააჩნია. ეხლა თუ ამ ადგილებზე ინიშნებიან მორალურად და ზნეობრივად შეუფერებელი პირები, ეს უკვე ხელისუფლების ბრალია. დათითოკაცებულ საზოგადოებას კი არაფრის შეცვლა არ შეუძლია.

სააკაშვილი უნდა გასამართლდეს, ზუსტად აგვისტოს ომთან დაკავშირებით. ეს გასამართლება იქნებ ქვეყანას წაადგეს. ერთ არანორმალურს ქვეყანას ხომ არ გადავაყოლებთ?!

ჰამლეტ ჭიპაშვილი:

ჩადგება ივანიშვილი აშშ-ის სამსახურში? მე ამაში ძალიან დიდი ეჭვი მეპარება, რადგან იმას, რასაც კადრულობდა სააკაშვილი, ივანიშვილი არ იკადრებს

გვესაუბრება პოლიტოლოგი
ჰამლეტ ჭიპაშვილი

— ბატონო ჰამლეტ, როგორ აფასებენ ახალ ხელისუფლებას უცხოეთში?

— ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე აშკარად შემიძლია იმის თქმა, რომ აფასებენ უარყოფითად. დასავლური მედია ამის შესახებ ხშირად წერს. ხუთმა სენატორმა მაკკეინის ხელმძღვანელობით უაღრესად მკაცრი განცხადება გააკეთა. მსგავსი განცხადებები ევროკავშირის მხრიდანაც გაჟღერდა და თუ ვინმეს ეგონა, რომ ეს დროებითი ტალღა იყო და მალე დაწყნარდებოდა სამწუხაროდ, აღმავლობისკენ წავიდა და გაძლიერდა კიდევაც.

მაკკეინისგან მსგავსი ქმედებები გასაკვირი არ არის. ის სააკაშვილის მეგობარია, თუმცა ეს მეგობრობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ლამაზი თვალების ცქერით. ამ მეგობრობაში მერკანტილიზმი უფრო მეტია, ვიდრე მეგობრული სიყვარული.

2003 წელს, წინასაარჩევნო პერიოდში საქართველოში მაკკეინი ბრძანდებოდა. მას ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია აინტერესებდა, ამიტომ შეხვედრა შედგა პოლიტიკურ პარტიებთან. შეხვედრა მაშინდელი აჭარის წარმომადგენლობაში შედგა. შევხვდი მე, ჯემალ გოგიტიძე, მაკკეინი, მისი თანმხლები პირები და აშშ-ის საელჩოს წარმომადგენლები. ჩვენ მაკკეინს ვესაუბრეთ იმ პოლიტიკურ ჯგუფზე, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების გაყალბებაში. ეს იყო „მოქალაქეთა კავშირის“ ახალგაზრდული ფრთა. ჩვენ წარვუდგინეთ გაყალბებული ბიულეტენები — ჟვანიას, სააკაშვილის, და მათი მომხრეების ნამოქმედარი და ვუთხარით, რომ ამ ძალის გამოჩენა ტრაგედია იქნებოდა საქართველოსთვის.

მაკკეინი თითქოს ყველა პარტიის „ბედით“ ინტერესდებოდა, სინამდვილეში კი, უპირველეს ყოვლისა, სააკაშვილსა და ჟვანიას გუნდს გულშემატკივრობდა. როდესაც წინ დავუდეთ გაყალბებული ბიულეტენები, იმდენად განაწყენდა, რომ უცერემონიოდ დაგვტოვა.

სააკაშვილმა კი მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში მოვიდა, დაიწყო ამერიკელი პოლიტიკოსების მოთაფვლა ყველანაირად. მოისყიდა მსხვილი პიარ-ჯგუფები და ამ 9 წლის განმავლობაში იმუშავეს სააკაშვილზე მათ.

ახლაც კი, როცა ამდენი დანაშაული აქვს ჩადენილი სააკაშვილს და მის მთავრობას, დასავლეთში იმდენად კარგი თვალით უყურებენ, არ იჯერებენ ივანიშვილის განცხადებას, რომ ესენი არიან კრიმინალები და არც უნდათ ეს დაიჯერონ.

— თქვენი აზრით, ამ წრეებს ფულის წყაროს დაკარგვაზე ეთანაღრებათ გული, მიშა მართლა მაგარი დემოკრატი ჰგონიათ თუ იმიტომ უფრო უჭერენ მხარს, თავიანთი გეგმების უბადლო შემსრულებელი რომაა?

— ცხადია, არსებობს ფულის ფაქტორიც, მაგრამ ფულით ყველას ვერ მოისყიდი, მაგრამ სარეკლამო ჯგუფებმა უდაოდ დიდი სამუშაო გასწიეს — ჩაატარეს გამოკითხვები, წერეს წერილები. უცხოეთში კი პრესა საზოგადოებრივი აზრის მთავარი ინდიკატორია. „ვაშინგტონ-პოსტი“ და „ნიუ-იორკ ტაიმსი“ სახელმწიფო აზრის გამხმოვანებელია.

საბოლოო ჯამში, აშშ-ის ჩვენი ტერიტორია აინტერესებს და ამ ინტერესზე იყო აგებული მათი და სააკაშვილის ურთიერთობა. მიშა იყო ისეთი პარტნიორი, რომელიც ნებისმიერ საქმეზე წამსვლელი იყო და ნებისმიერი დავალების შემსრულებელი. ჩვენ არც კი ვიცით და, შეიძლება, ვერც ვერასდროს გავიგოთ, რა ფარული ხელშეკრულებები არის დადებული სააკაშვილსა და აშშ-ის პოლიტიკურ წრეებს შორის.

გასულ კვირას დიდი აჟიოტაჟი იყო შექმნილი რუსული მხრიდან იმის თაობაზე, რომ ნაციონალური მთავრობის წევრი გივი თარგამაძე თურმე მეთაურობდა რუსეთში სახელმწიფო ამბოხს. რუსეთი აცხადებს, რომ საქართველო აფინანსებდა ამ პროცესებს.

როგორც ვხედავთ, საქართველოს ხელისუფლება აშშ-ის მაამებლურ პოლიტიკასთან ერთად ამ ტიპის ავანტიურაზეც მიდიოდა.

— ბოლოს და ბოლოს, რის ფასად შეიძლება დაგვიჯდეს ეს „დაუმორჩილებლობა“?

— თუკი აგრძელებ დეკლარირებას, რომ ხარ სტრატეგიული პარტნიორი, 20 წელიწადი კოჭს უგორებდი აშშ-ს, თუკი სიამოვნებით იჯიბავ მის გამოგზავნილ ფულად დახმარებას, კეთილი ინებე, ანგარიშიც ჩაბარე და ისიც შეეკითხე, როგორ უნდა მოიქცე.

სააკაშვილის ხელისუფლებამ წაშალა ყოველგვარი ზღვარი და და თავიდან ფეხებამდე, ბოდიში და, შეეტენა ამერიკას საკუთარი მოგებისთვის, მილიარდნახევრით ამქვეყნიური სიამენი არ დაუკლიათ და საბოლოოდ დაამონეს ქვეყანა. ახლა იძულებული ვართ ჯარისკაცებიც გავაგზავნოთ ავღანეთში საზარბაზნე ხორცად და ფეხებიც ვულოკოთ ამერიკელ სენატორებს.

— თქვენი აზრით, რას მოიმოქმედებს ბიძინა ივანიშვილი?

— მართალი გითხრათ, ჩემთვის გაუგებარია ივანიშვილის საგარეო ნიშვილი ხალხმა ხელისუფლებაში სწორედ იმისთვის მოიყვანა, რომ ესენი დაესაჯა. 9 წელიწადი სააკაშვილი მათრახის ქვეშ სჯიდა ქართველ ხალხს და 1 ოქტომბერს ამ ხალხმა გადაწყვიტა დასჯილიყო მისი დამსჯელი და ივანიშვილი მიიჩნია ამის გამკეთებლად.

— ბოლოს და ბოლოს, რის ფასად შეიძლება დაგვიჯდეს ეს „დაუმორჩილებლობა“?

— ჩადგება ივანიშვილი აშშ-ის სამსახურში? მე ამაში ძალიან დიდი ეჭვი მეპარება, რადგან იმას, რასაც კადრულობდა სააკაშვილი, ივანიშვილი არ იკადრებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ივანიშვილის საქართველო ვერ შეასრულებს აშშ-ის დავალებებს.

თანაც ახალი ხელისუფლება აპატიმრებს აშშ-ის მმართველი წლების პარტნიორებს — ნაციონალებს და შეიძლება, სააკაშვილიც დაიჭიროს. ეს კი უკვე ტრაგედია იქნება აშშ-სთვის და ისინი არ დაუშვებენ იმ გეგმის ჩაფუშვას, რაც სააკაშვილის მონაწილეობით ჰქონდათ შემუშავებული.

დღეს აშშ-ს სურს მოდრიკოს ივანიშვილი და არ დაიჭიროს დამნაშავეები. არადა, ივანიშვილი ბიძინა ივანიშვილს ჰუტინთა შეხვედრა სურს

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი იმედოვნებს, რომ სამომავლოდ რუსეთის ხელისუფლების უმაღლეს პირებთან, პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინთან და პრემიერ დიმიტრი მედვედევთან შეხვედრის საშუალება მიეცემა.

როგორც ივანიშვილმა დღეს ჟურნალისტებს განუცხადა, ამ დროისთვის ასეთი შეხვედრა ჩანიშნული არ არის.

“იმედი მაქვს, მომავალში ეს აუცილებლად მოხდება”, - განაცხადა მან.

იგი ასევე გამოეხმაურა რუსეთის და საქართველოს წარმომადგენლების, გრიგორი კარასინისა და ზურაბ აბაშიძის ჟენევაში გამართულ შეხვედრას. პრემიერი არ ფლობს ინფორმაციას თუ როდის შედეგება მათი მომდევნო შეხვედრა, თუმცა იმედოვნებს, რომ ეს უახლოეს მომავალში მოხდება.

“პროცესი დაიძრა და ეს პროცესი გაგრძელდება”, - აღნიშნა მან.

„მედიანიუსი“

ლეთის თვალში, მაგრამ პრობლემა სხვა რამეშია. ის, რომ წინა ხელისუფლება იყო გახრწნილი, ეს დასავლეთს ახლა კი არ უნდა გაეგო, არამედ გაცილებით ადრე — 2004-05 წლებიდან და ეს ოპოზიციას უნდა გაეკეთებინა. დღეს ვინც ივანიშვილის ჩრდილქვეშ არხეინად გრძნობს თავს, წლების წინ მუშაობა რომ არ დაზარებოდა, არ ექნებოდა დღეს დასავლეთს სალაპარაკო, ფაქტები ედებოდათ წინ, წლების განმავლობაში დაგროვებული.

ამიტომ დღეს ივანიშვილი სერიოზული საფრთხის წინაშე დგას.

— ხომ არ არის მოსალოდნელი ახალი ხელისუფლება არა მხოლოდ გარე, არამედ შიგა იზოლაციაშიც აღმოჩნდეს?

— არც ეს არის გამორიცხული, რადგან გუშინდელი ოპოზიცია, რომელიც აცხადებდა, რომ დოკუმენტებით იყო აღჭურვილი პოლიტიკური კურსი. ის, რომ მან განაცხადა — ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის მომხრე ვარ, მაგრამ რუსეთთანაც მინდა მეგობრობაცო. ამაზე ზბიგნევ ბჟეზინსკიმ ბრძანა — თუ საქართველოს რუსეთთან ურთიერთობა უნდა, ეს არ მოხდება ამერიკის ხარჯზეო.

ნაციონალური იდეოლოგიის მომხრე ქართველი პოლიტოლოგები მიიჩნევენ, რომ ივანიშვილი თუ რუსეთთან კეთილმეზობლურ პოლიტიკას დაადგება, ეს გამოიწვევს საქართველოს იზოლაციას დასავლურ წრეებში და ეს მოსაზრება არ არის ლოგიკას მოკლებული. მოსალოდნელია, გადადგას დასავლეთმა ასეთი ნაბიჯი.

ბიძინა ივანიშვილმა დაბალანსებული პოლიტიკურ კურსი უნდა აირჩიოს დასავლეთს, ჩრდილოეთსა და ამერიკას შორის და ჯამბაზივით უნდა იაროს პოლიტიკის ბეწვის ხიდზე, რადგან ოდნავი გადახრაც კი ქვეყანას ყოფნა-არყოფნის საფრთხეს შეუქმნის. ხომ ხედავთ, დამნაშავეების დაჭერა ნატოში ინტეგრაციის მსურველისთვის მიუღებელი აღმოჩნდა დასავლეთის თვალში, მაგრამ პრობლემა სხვა რამეშია. ის, რომ წინა ხელისუფლება იყო გახრწნილი, ეს დასავლეთს ახლა კი არ უნდა გაეგო, არამედ გაცილებით ადრე — 2004-05 წლებიდან და ეს ოპოზიციას უნდა გაეკეთებინა. დღეს ვინც ივანიშვილის ჩრდილქვეშ არხეინად გრძნობს თავს, წლების წინ მუშაობა რომ არ დაზარებოდა, არ ექნებოდა დღეს დასავლეთს სალაპარაკო, ფაქტები ედებოდათ წინ, წლების განმავლობაში დაგროვებული.

ამიტომ დღეს ივანიშვილი სერიოზული საფრთხის წინაშე დგას.

— ხომ არ არის მოსალოდნელი ახალი ხელისუფლება არა მხოლოდ გარე, არამედ შიგა იზოლაციაშიც აღმოჩნდეს?

— არც ეს არის გამორიცხული, რადგან გუშინდელი ოპოზიცია, რომელიც აცხადებდა, რომ დოკუმენტებით იყო აღჭურვილი ნაციონალური მთავრობის წინააღმდეგ, აღმოჩნდა, რომ ცრუობდა და მზად არ იყვნენ პოლიტიკური დაპირისპირებისთვის. დღეს ბრძოლა ვერბალურ დონეზე მიმდინარეობს, რაც არაა საბოლოო შედეგის მომტანი.

ახალმა ხელისუფლებამ სოციალური პრობლემების მოგვარებაზე უნდა იმუშაოს. ესაა დღეს მთავარი. თუ გახსოვთ, სააკაშვილი რომ მოვიდა ხელისუფლებაში, შუქიც მისცა ხალხს და პენსიების საკითხიც მოუგვარა. მას შემდეგ თითქმის არაფერი გაუკეთებია, მაგრამ გუშინდლამდე ყველა იმას გაიძახოდა — შუქი ხომ გვაქვს, ბატონო, და პენსიები ხომ არ გვიანდებაო?!

ოპონენტები ხანდახან გამოურევდნენ ასეთ საყვედურს — სააკაშვილს კიდევ შევარდნაძის მთავრობა ჯობდაო, მაგრამ შევარდნაძე 2003 წლის „ვარდების რევოლუციიდან“ ერთი თვის თავზე არავის ახსოვდა, ხოლო 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ სააკაშვილი კვლავ ახსოვთ...

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

gagrZeleba. dasawyisi ix. `saerTo gazeTi~ #49

`saxlad Tvisad saukunod~

(პასუხი ბატონ გუბაზ სანიკიძეს)

ვახტანგ გორგასლის მეფობის შემდგომ, როცა საქართველო „მამულისა ჩვეულებისაებრი“ სვლით ვითარდებოდა, მისი დედაქალაქი მუდამ თბილისი იყო. იგი ამ სტატუსს მხოლოდ მაშინ კარგავდა, თუკი მას მომხდურნი იპყრობდნენ და იქ საკუთარ დროებით მმართველობას ამყარებდნენ. მაგრამ მაშინაც კი, როცა თბილისი უცხოთა ხელში იყო, იგი მაინც მიიჩნეოდა „სამეუფო სახლად“, ანუ მეფეთა ქალაქად. ასე მოხდა არაბობის ხანაში, როდესაც თბილისში 400 წლის განმავლობა-

ში არაბთა ამირა იჯდა და დედაქალაქი ქვეყნისგან გამოცალკევებული იყო. ასეთ დროს ქართველი მეფეები, მართალია, დროებით რეზიდენციებს ქმნიდნენ, მაგრამ ამ მდგომარეობას არ ეპუებოდნენ და სატახტო ქალაქის დასაბრუნებლად ძალ-ღონეს არ იშურებდნენ. და იცით ასე რატომ ხდებოდა? იმიტომ, რომ ბაგრატიონთა დინასტიური ოჯახი თაობიდან თაობას გადასცემდა ურყევ აზრს იმის შესახებ, რომ თბილისი იყო ის „სახლი“, საიდანაც მათ ქვეყანა უნდა ემართათ.

IX ს-ში, ვიდრე სარკინოზთაგან დევნილი ქართლის მეფე აშოტ დიდი იძულებული შეიქნებოდა ქართლის მიწა-წყალი დაეტოვებინა და კლარჯეთს გახიზნულიყო, „სახლად მისა იყო ბარდავი და ტფილისი და ჰქონდა მას ქუეყანა, რომელ არს გარემოსა მისსა“. ე.ი. აშოტ კურაპალატს „სახლი“ ბარდავსა და თბილისში ჰქონია, იმ თბილისში, სადაც არაბთა ამირა იჯდა. შემდგომშიც, როდესაც იგი იძულებულია კლარჯეთში დააფუძნოს თავისი რეზიდენცია, ყოველგვარ ძალისხმევას მიმართავს, რათა „სახლად თვისსა თბილისს“ დაუბრუნდეს. ამაზე მეტყველებს მისი გალაშქრება ქართლისკენ და ბარდავამდე მდებარე რანის სანახების დაუფლება. მართალია, აშოტ დიდი „კარადმდე ბარდავის ქალაქისა“ იბრუნებს თავის კუთვნილ „ქვეყანას“ და თბილისის გათავისუფლებას ვერ ახერხებს, მაგრამ რომ დასცლოდა, ბარდავის კვალად თბილისის დაბრუნებასაც შეეცდებოდა, სადაც მისი, ვითარცა ქართლის მეფის „სახლად სამყოფი ადგილი“ იყო.

გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III-სთვის, რომელმაც ქართლის მიწების შემოერთება და შემომტკიცება შეძლო, რაოდენ გაუსაძლისი უნდა ყოფილიყო, რომ თბილისის საამიროს ვერაფერი მოუხერხა და საქართველოს გამაერთიანებელი გვირგვინოსანი „სამეუფო სახლის“ უქონელი მიიცვალა. იმ ხანად სატახტო რეზიდენცია ქუთაისში იყო გადატანილი, მაგრამ მეფე ბაგრატ III სიკვდილის შემდგომ დაკრძალეს არა ქუთაისში, სადაც მისი თაოსნობით ტაძარი იყო აგებული, არამედ სხვაგან, ასევე მისი ქტიტორობით აღმართულ ბედიის ტაძარში. ეს ფაქტიც მრავლისმეტყველი უნდა იყოს.

ხუთგზის ეცადა ბაგრატ IV სატახტო ქალაქის არაბთა ამირებისგან გათავისუფლებას. ხანგამოშვებით ათავისუფლებდა კიდევაც მას, მაგრამ საბოლოდ მაინც ვერ შეინარჩუნა, ვინაიდან თბილისის საამიროს გაუქმება არაერთ შიდა თუ გარე პოლიტიკურ გარემოებაზე იყო დამოკიდებული, რომელიც მეფისთვის სასიკეთოდ ყოველთვის როდი წარიმართებოდა ხოლმე. მეტად საგულისხმო ცნობას გვაწვდის „მატიანე ქართლისა“ თბილისის „სამეუფო სახლის“ მნიშვნელობის შესახებ. როდესაც ანაკოფიის ციხე-სიმაგრესთან მყოფ მეფეს, რომელიც ბიზანტიელთაგან ამ სტრატეგიული პუნქტის გათავისუფლებას ლამობდა, შეატყობინეს, რომ თბილისის ამირა მიიცვალა და იგი სატახტო ქალაქის დასაბრუნებლად გაიხმეს, ბაგრატ IV-მ დაუფიქრებლად მიატოვა ანაკოფიის მისადგომები და თბილისში შემოვიდა. მას „მოართუნეს კლიტენი ქალაქისანი და შეიყვანეს საამირაოსა დარბაზსა“. ორ საქვეყნო საქმეთაგან – სტრატეგიული ანაკოფიის ციხე-სიმაგრის შენარჩუნება თუ სატახტო ქალაქის დაბრუნება – მან გადაწყვეტილება უკანასკნელის სასარგებლოდ მიიღო. განა არ შეიძლებოდა, ბაგრატს მეფობა ქუთაისიდან გაეგრძელებინა და იმ ხანად ანაკოფიის ციხე-სიმაგრის დასაბრუნებლად ეზრუნა? ამით ხომ იგი ბიზანტიელებს მოუსპობდა შესაძლებლობას, რომ საქართველოსთვის ჩრდილოეთის მხრიდანაც შემოევლოთ და რკალი შეეკრათ?! მაგრამ ბაგრატმა უპირატესობა სატახტო ქალაქის საკითხს მიანიჭა, რადგანაც იგი სახელმწიფოებრივად აზროვნებდა და უწყოდა, რომ საქართველოს მთავარი ქალაქის დაკარგვა საბოლოოდ სახელმწიფოს დაკარგვას მოასწავებდა.

დავით აღმაშენებელმა თავისი დიდი პაპის ბაგრატ III-ის მსგავსად თავდაპირველად ქვეყანა გააერთიანა, სახელმწიფოებრიობა აღადგინა მთელ საქართველოში და სულ ბოლოს, როცა ძლიერი მმართველი გახდა, ერს სატახტო ქალაქი თბილისი დაუბრუნა. ასე კი იმიტომ მოიქცა, რომ იგი „სივრცითა გონებისათა ჭვრეტდა“ პრობლემას, გასიგრძეგანებული ჰქონდა, თუ რა საძნელო საქმე იყო „მეფეთა სახლის“ საკითხის მოგვარება და რა გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა მას ერთიანი სახელმწიფოს არსებობისთვის.

გვიან საუკუნეებში, როცა ქვეყანა პოლიტიკურად დანაწევრდა და ნ. ბერძენიშვილის თქმით „საქართველოები“ შეიქმნა, რამდენიმე დედაქალაქი გაჩნდა, რომლებიც ახლად დაარსებული ქართული პოლიტიკური ერთეულების ცენტრებს წარმოადგენდნენ. მაგრამ ეს იყო ძნელბედობით გამოწვეული ქვეყნის დაშლადანაწევრების შედეგი, რაც პოლიტიკური დეგრადაციის მანიშნებელი გახლდათ. აქვე ერთ ფაქტსაც გავიხსენებთ. როდესაც რუსეთის იმპერიამ საქართველო მიიერთა, ეს აქტიც იმპერიული თვალთახედვით განჭვრიტა და პროცესი იმგვარად წარმართა, რომ ქვეყნის ტერიტორია ერთიანად კი არ მოაქცია თავის საზღვრებში, არამედ იგი ორ ნაწილად დაყო და სახელმწიფო რეესტრში თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებად სახელდებული ქართული მიწა-წყალი რუსეთის სხვა გუბერნიების რიგში ალფაბეტის მიხედვით განათავსა. ალბათ ძნელი მისახვედრი არ არის – ქვეყნის ერთიანი სხეულის გახლეჩის გზით დამპყრობელს სურდა, რომ ერს სამშობლოს განცდა და ისტორიული სული დაეკარგა. ამიტომ თბილისისა და ქუთაისის სტატუსის იდენტურობა და გათანაბრება ხელისშემშლელი, ვიტყოდით დამღუპველი იყო ერის ცნობიერების განვითარებისთვის.

ზემოთ ვთქვით, თბილისს თავისი სტატუსის გამო არც დღეს დაუკარგავს მნიშვნელობა და ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები იმის უტყუარი დასტურია, რომ არც დღევანდელი პოლიტელიტისთვის უნდა იყოს სულერთი, შეინარჩუნებს თბილისი ტრადიციულად დედაქალაქის ფუნქციას თუ ახალ საკა-ნონმდებლო დედაქალაქს სხვა გეოგრაფიულ პუნქტში განათავსებენ. დავიწყოთ ყველაზე მარტივი – პრაგმატული საკითხით. ცნობილია, რომ პარლამენტის ახალმა შენობამ უკვე შთანთქა 360 მილიონი ლარი და მის დასამთავრებლად კიდევ 20 მილიონი ლარია აუცილებელი. ამას ემატება ყოველწლიურად მისი შენახვის და მოვლა-პატრონობის, ელეტრომომარაგების, დეპუტატთა მიმოსვლის, მათი ქუთაისში ცხოვრებისა და არსებობის და ა.შ. ხარჯები, რის გამოც აღნიშ-ნული თანხა კიდევ რამდენიმე ათეული მილიონი ლარის ოდენობით გაიზრდება და სახელმწიფო ხაზინას დააზარალებს, რაც უარყოფითად აისახება ბიუჯეტის მოცულობაზე. მაგრამ ეს გახლავთ ოდენ ყოფითი მხარე ამ საკითხისა. არადა დედაქალაქის ფენომენი სცილდება პოლიტიკურ-პრაგმატულ სფეროს და ქართველთათვის ისტორიული მეხსიერებისა და ტრადიციების არეალსაც მოიცავს. ეს რომ ასე არ იყოს და ერის ეთნოფსიქიკასა თუ სულიერებაზე დედაქალაქის რაობის საკითხი კვალს არ აჩნევდეს, მაშინ დღეს საერთაშორისო გლობალურ პოლიტიკაში, როცა ერების გადაგვარება სწადიათ და ერთიანი მსოფლიო ხალხის შექმნა სურთ, არ წამოიჭრებოდა დედაქალაქის მთავარი ფუნქციის მოშლისა და დაკნინების შორს მიმავალი პრაქტიკა. ჯერ-ჯერობით ასეთი პრაქტიკის დანერგვას, როგორც ვთქვით, ე.წ. განვითარებად ქვეყნებში ცდილობენ, სადაც, მათი აზრით, საზოგადოება მოუმწიფებელია და მას არ შესწევს უნარი შინაგანი ეროვნული ძალისხმევით წინ აღუდგეს ამ თავსმოხვეულ მოვლენას. შემდეგ, როცა ამ ეტაპს გადალახავენ, განვითარებული, დემოკრატიული ქვეყნების ჯერიც დადგება და მთელ მსოფლიოში დაამკვიდრებენ ისეთ სახელმწიფოებს, სადაც დედაქალაქის ცნება შინაარსგამოცლილი გახდება და ქვეყნის უმთავრესი ქალაქი დაკარგავს თავის დანიშნულებას – იყოს ერთიანი, დაუნაწევრებელი სახელმწიფოს ცენტრი, გნებავთ მისი სიმბოლოგანსახიერება. აქედან კი უეროვ-ნებო ხალხით დასახლებული და საზღვრებმოშლილი მსოფლიოს შექმნამდე ნაბიჯიღა რჩება. დღეს საქართველოში, როცა სახელისუფლებო შტოების დაშორიშორებას უწყობენ ხელს და ამით ორი დედაქალაქის დამკვიდრებას ისახავენ მიზნად, სწორედ ამ გლობალური, ანტიეროვნული და ცრუკოსმოპოლი-ტური გეგმის საწყის ეტაპს ახორციელებენ. ჩვენში მიმდინარე პროცესებს თუ დავაკვირდებით, შევნიშნავთ, რომ „ორდედაქალაქიანობის“ პარალელურად სულ უფრო ჯიქურ მიმდინარეობს ორხელისუფლებიანობის აზრის დამკვიდრებაც. ჯერ იყო და, სააკაშვილმა საერთაშორისო ტრიბუნიდან განაცხადა, რომ იგი წარმოადგენდა იმ ქვეყანას, სადაც ორხელისუფლებიანობა დასადგურებული-ყო(?!). ამის შემდგომ იგი უკვე საქართველოში, ქართველ ერს უნერგავს და აჩვევს ორხელისუფლებიანობის ფაქტის არსებობას. ასეთ დროს კი, საკანონ-მდებლო და აღმსრულებელი ხელისუფლების სხვადასხვა ქალაქებში განთავ-სება, რასაც აგრერიგად იწონებს და ემხრობა ბატონი

გუბაზ სანიკიძე, უდავოდ ორხელისუფლებიანობის გამყარების საფუძველი ხდება, იმ ორხელისუფლებიანობისა, რომელსაც სააკაშვილი თავისი რევანშისთვის საწყის ეტაპად მიიჩნევს. მართლაც, ორ დედაქალაქს შემდეგ შეიძლება მოჰყვეს ორხელისუფლებიანობის მდგომარეობის გამყარება და მათ შორის სახელისუფლებო პირველობისთვის ბრძოლის გამწვავება, რაც, საბოლოოდ, შესაძლოა სამოქალაქო დაპირისპირებითაც დასრულდეს. ასეთი საშიშროება რომ მართლაც არსებობს, ამას ისევ და ისევ ჩვენი ისტორიული გაკვეთილები მიგვანიშნებენ, ქართველ ერს შეჭირვების ჟამს რომ გამოცდის სახით მოევლინებოდა ხოლმე. ცნობილია, როდესაც მონღოლებმა საქართველო დაიპყრეს, მათ „წყალობა მოიღეს“ და ორ ქართველ მეფეს – დავით ულუსა და დავით ნარინს ერთდროულად დაუმტკიცეს მეფობა. სიტყვიერ წყალობას უმალ საქმეც მოაყოლეს და საქართველოში ისეთი ვითარება შეიქნა, რომ ამ ორ მეფეს ყველაფერი შუაზე გაუყვეს – გაჩნდა ორი დედაქალაქი, ორი საჭურჭლე (ხაზინა) და ა.შ.: „დაამტკიცეს, რათა განყონ სამეფო და საჭურჭლე ორად, და აჩინნეს თავადნი სამეფოსანი და განყვეს ორად, ტფილისი ორად, ქუთათისი ორად, და თავადნი და ერისთავნი ურთიერთს შეასწორეს, ნიკოფსით დარუბანდამდე, და განყვეს სამეფო და საჭურჭლენი“. დღეს ისეთ მდგომარეობაში ვიმყოფებით, რომ ყარაყორუმიდან არა, მაგრამ ბრიუსელიდან აშკარად გვიკიჟინებენ – პოლიტიკურ თანაცხოვრებას მიეჩვიეთო. თანაც რა ტერმინს გვაჩეჩენენ, რათა ქართული ენა გავამდიდროთ – კოჰაბიტაცია! არც მეტი, არც ნაკლები. მაგრამ მრავალგზის უღელგადაგდებულ ქართველ ერს არ უჭირს ამ გზავნილის ნამდვილი არსის ამოცნობა, რაც საქართველოში ერთიანი, ძლიერი, მტკიცე ხელისუფლების საწინააღმდეგოდ და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შესასუსტებლადაა მიმართული და სხვათა ნების დამყოლი, იოლად სამართავი მთავრობის არსებობას უწყობს ხელს. მართალია, საქმე ჯერ ისე არ წამხდარა, რომ ორ-ორად გაეყოთ თითოეული ქალაქი, დაბა, სოფელი, მდინარე, ხევი, ტბა, მთა, ბორცვი, ჭალაკი და სხვ. მაგრამ ყველა ხვდება, რომ სახელმწიფოში ორი დედაქალაქის უკაცრავად და კოჰაბიტაცია ასეთი პროცესების მაპროვოცირე-ბელი რისკია, თანაც დიდი ალბათობით. ამასთან, სააკაშვილისა და მისი საძმოს პოლიტიკურ მადას თუ გავითვალისწინებთ, არ არის გამორიცხული, მონღოლთა-დროინდელი ყოფა სანატრელი გაგვიხდეს. აქვე ჩნდება კითხვა, ნუთუ ისტორიკოს-პოლიტიკოსი გუბაზ სანიკიძე ასეთ საშიშროებას ვერ ხედავს? განა მისი პოლიტიკური მიხვედრილობა და გუმანი აუგს არაფერს ეუბნება?! იქნებ, დასავლური ნოვაციებით გატაცების ჟამს არც ძველი გაკვეთილები დაგვევიწყებინა და სათანადო დასკვნებიც გამოგვეტანა?!

დაბოლოს, გვსურს წერილი მემატიანის სიტყვებით დავასრულოთ. დავით აღმაშენებელმა როდესაც თბილისის გასათავისუფლებლად წარმოებული ოთხსაუ-კუნოვანი ბრძოლა წარმატებით დაგვირგვინა და ქალაქს უმთავრესი ფუნქცია – დედაქალაქის სტატუსი დაუბრუნა, ეს მოვლენა ისტორიკოსმა ამგვარად შეაფა-სა: „დაუმკვიდრა შვილთა თვისთა საჭურჭლედ და სახლად თვისად საუკუნოდ“. ამრიგად, ქართული საისტორიო აზროვნებით და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერებით თბილისი სამარადჟამოდ განიხილება როგორც ქვეყნის უმაღლესი იერარქის სახლი, ანუ სატახტო ქალაქი. ჩვენი აზრით, გახელისუფლებულმა პოლიტიკოსებმა, მით უფრო, თუკი ისინი განათლებით ისტორიკოსები არიან, ყოველივე ეს სხვებზე უკეთ უნდა გაითავისონ და დედაქალაქის რაობის საკით-ხი ნაციონალებივით ზერელედ და გაუაზრებლად არ უნდა განიხილონ. ხომ არ აჯობებდა, ეს ისტორიული გაკვეთილები გაგვეთვალისწინებინა და მხოლოდ „ახალი ცოდნით“ არ გვეხელმძღვანელა ისეთი პრობლემის განხილვისას, რასაც დედაქალაქის რაობა ჰქვია?! არა გვგონია, საზოგადო მოღვაწისთვის ისტორიუ-ლი გამოცდილების გაზიარება სათაკილო და მიუღებელი იყოს. ქართველი მეფენი მუდამ ამ გზას ადგნენ და მათ ქვეყნის მომავლის განჭვრეტისთვის „გარდასულთა საქმეთა შემეცნებანი ჰშველოდნენ“. ალბათ ამიტომაც არსებობს დღეს საქართველო და ვარსებობთ ჩვენ, ქართველი ერი!

ნინო ჯაველიძე

avazakis mfarvel i c avazakia

კაცობრიობა არაერთ დესპოტსა და ტირანს იცნობს. მათ შორის ყველაზე საზარელი ბიბლიიდან ცნობილი მეფე ირროდია. მის მიერ კაცობრიობის მხსენლის დაბადების გამო ჩვილ ბავშვთა ამოხოცვამ მესიის დაბადებას ხელი მაინც ვერ შეუშალა. კაცობრიობა გადარჩა. მესიაც იშვა და კაცობრიობის გამოსახსნელად ჯვარზეც ევნო. "ირროდის ცოდვა" დღემდე უკიდურეს სისატიკედ და დანაშაულებრივ ქმედებად ითვლება ცივილიზებულ მსოფლიოში. დამნაშვეთა დასჯაც, (სანამ

კაცობრიობამ სასჯელს კანონის ფორმა არ მისცა), ყველა ქვეყანაში თავისებურად მიმდინარეობდა. ხალხისგან დამნაშავენი გაუსამართლებლად, თვითრეგულირებადი სამართლით ისჯებოდნენ. კოცონზეც დაწვავდნენ და ეშაფოტზეც აჰყავდათ. თუმცა ესეც (კოცონზე დაწვაც) დასავლეთში და არა ჩვენთან შუასაუკუნეების (საეკლესიო) კანონით ხორციელდებოდა. ძველ სამყაროში (და ზოგან ახლაც) ქვებით ჩაქოლვის პრაქტიკაც იყო, რასაც, ზოგჯერ, უდანაშაულო ადამიანის სიკვდილიც ახლდა.

სამართალდამცავ სისტემაში სასჯელის მარეგულირებელი კანონებისა და მუხლების შემოღებასთან ერთად სასჯელის ფორმებმა კანონის სახე მიიღო და დანაშაულის სიმძიმეც ამა თუ იმ კანონის მუხლითა და ობიექტური სასამართლოს განაჩენით ფასდება. ცივილიზებულმა მსოფლიომ, (რიგი, "დემოკრატიულად წოდებული ქვეყნების" გამოკლებით) ადამიანის სიკვდილით დასაჯაზე უარი თქვა! საქართველოში კი ამის პირველი პრეცედენტი ჯერ კიდევ თამარ მეფის დროს არსებობდა. საქართველოში მთის კანონებიც მოქმედებდა და დამნაშავეს თემის კანონებით ასამართლებდნენ, რომელთა შორისაც ყველაზე დიდი სასჯელი – დამნაშავის თემიდან მოკვეთა იყო. სამწუხაროდ რომ მიუხედავად "მსოფლიოს დემოკრატიული განვითარებისა", თემების მიერ გამოტანილი კანონები ბევრად სამართლიანად და კანონიერად გამოიყურება საზოგადოებრივი ზნეობისა და მორალის თვალსაზრისით, ვიდრე "დემოკრატიული თემიდის სახელით აღსრულებული კანონიერება"! ამის მიზეზი არა მარტო სამართლებრივი და მატერიალური დანაშულის ჩადენის გამო გამოტანილი თემის კანონები გახლდათ, არამედ პირველ რიგში, ასეთი კანონები, თემის (საზოგადოების მიმართ) ზნეობრივი და მორალური ზიანის მიყენების სასჯელს ითვალისწინებდა. მორალური ზიანის მიყენებისთვის სასჯელს თანამედროვე კანონმდებლობაც ითვალისწინებს, მაგრამ საერთაშორისო თანამეგობრობის "დემოკრატიული კანონმდებლობა", მორალური ზიანის მიყენების თვალსაზრისით, (საქართველოსთან და რიგ ქვეყნებთან მიმართებაში) "რატომღაც" შერჩევითი სამართლით რომ გამოირჩევა?! მსოფლიო საკანონმდებლო სისტემაშიც, დანაშაულის უმაღლეს კატეგორიას გენოციდი განეკუთვნება, მაგრამ, როგორც ვხედავთ, (ამ გენოციდის დროსაც) მორალური და ფსიქოლოგიური ზიანის მიყენების გათვალისწინებასაც შერჩევითი ხასიათი გააჩნია. სულხან-საბას იგავ-არაკები, მართალია, დასავლური ქვეყნებისთვის უცნობია, მაგრამ "კატისა და ლომის" იგავ-არაკი– "აბა, ჩემს შვილს ხომ არ დავსჯიო", – ხშირად კი გამოსდით. მორალური, სულიერი და ზნეობრივი ზიანი კი, ხშირ შემთხვევაში, ფიზიკურსა და მატერიალურზე მეტი ზიანის მომტანია. გენოციდიც, განმარტებაში, რასობრივი და ნაციონალური (რელიგიური) ნიშნით ჯგუფის ფიზიკურ განადგურებას წარმოადგენს და ფაშისტების მიერ "რასიზმის-რჩეული რასის თეორიას" უკავშირდება. ეს კი საფუძველშივე, ამ ქმედების ჩამდენი პირისა (თუ ჯგუფის) კონკრეტულ ქმედებებზე პასუხისგებასაც გულისხმობს. ეს ნაცმოძრაობის ლობისტებმაც კარგად რომ იციან, ამის თვალსაჩინო

მაგალითი დასავლეთის მიერ ჩატარებული ნიურნბერგის ცნობილი პროცესი გახლდათ. რა დროსაც მისი ყველა მონაწილე (ექსპერიმენტების ჩამტარებელ იმ ნაციტ მეცნიერთა გამოკლებით, რომლებიც ფარულად აშშ-ში იყვნენ გადაყვანილნი, სასჯელს აცილებულნი და შემდგომ ცრუ-ს პროგრამებში ჩართულნი) ყველა დამნაშვემ პასუხი აგო. განსახვავებით დღევანდელისგან, არც ერთი მათგანისთვის, ჰიტლერის დასავლელ ლობისტებს "პოლიტიკური სარჩულით განსჯილის სატატუსი" არ მიუნიჭებიათ. არადა, ჰიტლერს წამქეზებლებიც რომ ჰყავდა, ომის წინ საქვეყნოდ, ებრაელთა ამოხოცვის სურვილსაც რომ საქვეყნოდ აცხადებდა – ესეც ყველასთვის ცნობილი ფაქტია. თუმცა, მაშინდელ ევროპაში ყველა ქვეყანას თავისი ინტერესი ამოძრავებდა და ჰიტლერსაც "წაუყრუეს." იქნებ, "ქართველებისგან გათავისუფლებულ საქართველოს ტერიტორიაზე" ჰილტერისგან თამბაქოს პლანტაციების გაშენების სურვილით რომელიმე მაგნატიც ფიქრობდა მაშინ გამდიდრებას? ან იქნებ, არაადამიანობით გამორჩეული "ნაცრეფორმატორებისა" და "მათი შუქურას" ნამოქმედარიც (რასაც ქართველი ხალხის ეკონომიკური, ფიზიკური, მორალური, სულიერი და ზნეობრივი გენოციდი მოჰყვა) კვლავ "ვიღაცის" ინტერესში შედიოდა! ჰიტლერის დროსაც, ხომ მართლმადიდებლური სამყაროს, (პირველ რიგში, საქართველოს გასანადგურებლად), მთელი ოკულტური ორგანიზაციები, "ანანერბე" და შავი მაგიის მაგისტრები იყვნენ ჩართულნი. იალბუზზე სვასტიკის აღმართვა ამის ნათელი მაგალითია. მაშინაც სწორედ ქართველმა (სემინარიიდან გამოსულმა მართლმადიდებელმა) კაცმა მოახერხა ამ "ბოროტი ძალის მსოფლიო ბატონობის" შეჩერება! "ნაცმოძრაობაც" შემოდგომისთვის სახელის შეცვლასა და რეინკარნაციას რომ გეგმავს, ჰიმლერის, გებელსის, გერინგისა და სხვების ახალ პარტიად ტრანსფორმირებას როგორ მოიწონებდა ჰიტლერისგან გაწამებული დასავლეთი? იქნებ, "ნაცმოს" ლობისტები სწორედ ამისთვის ეწინააღმდეგებიან "ნაციონალების" გასამართლებას, რომ ახალი პარტიისთვის "ინახავენ მათ"?! მართლმადიდებლობის ასე შეხმატკბილებულად გამოწრთობილ გამანადგურებლებს თავიდან როგორღა შეკრებენ მათი ლობისტები? ამიტომაც ზრუნავენ ამათ გადარჩენაზე ისე, რომ ლამის ლორდთა პალატის დონეზე განიხილება "ნაცმოძრაობის" წარმომადგენელთა გასამართლების საკითხი. იმ ლორდთა პალატის, რომლის წევრიც ქრისტიანობის დაუძინებელი მტერი როტშილდიცაა. იქნებ, აქ ჩამოსულნი, მეგობარ არასამთავრობებთან და ძველ მეგობარ- აწ "გაოპოზიციონერებულ" ნაცმოძრაობასთან შეხვედრის ნაცვლად, უბრალო ხალხს ნაცებისგან შვილებდახოცილ, ფსიქიურად შეშლილ, უმუშევრობისგან დაუძლურებულ, მიწის გაყიდვის გამო ნასახლარიდან აყრილ, ბიზნესწართმეულ ადამიანებსაც გასაუბრებოდნენ ბატონები და ქალბატონები?! "ძველ ხელისუფლებასთან ურთიერთობა გამჭვირვალედ უნდა წარიმართოსო", როცა გვიცხადებთ, ნაცმოძრაობის სისასტიკე, სადიზმი და ხალხისადმი სიძულვილი გამჭვირვალე კი არა "ბრმებისთვისაც ხილულია". კავკასიაზე (მის გულზე- საქართველოზე) გავლენა-გაბატონებაც, ხომ მისი დაფინანსებითა და „პარტნიორობითაა" შესაძლებელი? არადა, კავკასიაზე გავლენის დაკარგვის შესაძლებლობის რეალური "სუნი იგრძნეს" ნაცების ლობისტებმა. დანარჩენი მსოფლიო, შესაძლოა, ჩაითრიონ „სოდომ-გომორის მორევში", მაგრამ ღვთიმშობლის წილხვედრ საქართველოს აღსაგველად "მახვილით მოსული – მახვილითვე განიგმირების"! ეს ბიბლიური ჭეშმარიტებაა და "ნაცმოძრაობის ამბრაზურობასაც" ნურავინ ანაცვალებს უზენაეს სამართალს!

ბაია ამაშუკელი

შობლის წიხვედრი საქართველო, თუ "ნაცმოძრაობას დუპატიმრებენ", „ფაშიზმივით" მის აკრძალვას მოითხოვს ხალხი – „სოდომ-გომორას" საქართველოში ვინღა მოაწყობს?! ჰიტლერმაც, (მიუხედავად იმისა, რომ ისიც კარგად მომზადებული პროექტის ნაწილს წარმოადგენდა) ისე გაუბერა, რომ "პროექტის" შემოქმედნი იძულებულნი გახდნენ მისი ფაშისტური რეჟიმი მაინც გაესამართლებინათ. ასე მოხდება ახლაც. ლობისტებს არ სურთ მათი „დიდი პროექტის" - ნაცმოძრაობის ხელისუფლებაში მოყვანით თავიანთი პროტეჟეების ჩადენილი დანაშაულებების აღიარება. ნაცმოძრაობის ლობისტებმაც და ხელისუფლებაში მომყვანმა (პოლიტიკოსებმაც) უნდა აღიარონ, რომ ("პოსტსაბჭოთა და სოცბანაკის" სხვა ქვეყნების მსგავსად) საქართველოში 2003 წლის „ნარინჯისფერი რევოლუციის ექსპორტმა" (მაკკეინის ფონდ „ფრიდომ ჰაუსისგან" და რესპუბლიკელი სოროსისგან დაფინანსებულმა) – ვერ გაამართლა. ის, რომ 2003 წლის არჩევნების სიები, წინასწარ მომზადებული და „რუსთავი-2" ჩატარებული კომპიუტერული ვერსიით, სწორედ "ნაცმოძრაობამ" გააყალბა. მათმა ლობისტებმა კი ეს არჩევნები "სამართლიანად გამოაცხადეს", რითაც საქართველოში ნაციონალების მიერ დაწყებული დანაშაულებრივი ქმედებების "ნიაღვარს" დაუდეს საფუძველი. რის გამოც ელიტური კორუფციის, სამსახურებიდან ხალხის მასიური გაშვების, ქუჩაში უდანაშაულო ადამიანების ხოცვის, ეკოსისტემისა და კონსტიტუციით აკრძალული სახელმწიფო მიწის, სტრატეგიული ობიექტების გაყიდვისა და განხორციელებული გენოციდის თანამონაწილენი – ეს ლობისტებიც გამოდიან. ვიეტნამში წამოწყებული ომის შედეგს – "ვიეტნამის სინდრომს", ამერიკელი ხალხი თავის თავზე დღემდე შეიგრძნობს. ვიენტამელების მიერ მაკკეინის წამებაც (ნაცმოძრაობის ხელისუფლებაში მოყვანით) ქართველ ხალხზე მისი შურისძიების საფუძველი რატომ გახდა – გაუგებარია?! "ნაცმოძრაობის სინდრომით" მიყენებულ "ჭრილობებსაც" კიდევ დიდხანს ვერ მოიშუშებს ქართველი ხალხი. თუ რაიმე ფორმის გენოციდის- ფიზიკურის, ეკონომიკურის, რელიგიურის, სულიერის, მორალურისა და ზნეობრივის მოწყობა შეიძლებოდა – ნაცმოძრაობამ არაფერი დააკლო ქართულ მოსახლეობას. სწორედ პოლიტიკური ნიშნით (განსხვავებული აზრის გამოთქმის გამო) ასიათასობით ადამიანი უმიზეზოდ არ გაუშვეს "ვარდების რევოლუციის" შემდეგ? რის გამოც ათასობით ოჯახი შიმშილით სიკვდილით სწორედ გენოცოდისთვის გაიმეტეს. უმუშევრად დარჩენლი ბევრი მამაკაცი დარდისგან და უიმედობისგან – ნარკოტიკებსა და სასმელს მიეძალა. ეს მაშინ, როდესაც დასავლელი ლობისტებისგან დაფინანსებული პროგრამები "ჯანმრთელი ცხოვრების წესსა" და დემოკრატიას გვიქადაგებენ! რელიგიური შემწყნარებლობისა და ლიბერალული ფასეულობების ქადაგების კვალდაკვალ კი სწორედ ჩვენს ტრადიციულ რელიგიასთან, მართლმადიდებლობასთან ბრძოლაში რატომ უწყობდნენ ხელს და ეხმარებოდნენ ნაცმოძრაობისა და სოროსის მიერ დაფინანსებულ "თავისუფლების ინსტიტუტს", იგივე გიგა ბოკერიას დაფინანსებას, რომელიც ბატონი ბრიუს ჯექსონის არცთუ იშვიათი სტუმარი გახლდათ „ვარდების რევოლუციამდე" და შესაძლოა, შემდეგაც?! ვინ აგვინაზღაურებს საქართველოს მოსახლეობას "ნაცსინდრომისგან" დატოვებულ იმ ფიზიკურ, ფსიქოლგიურ, მატერიალურ, სულიერ და მორალურ ზარალს, რომელიც თუნდაც ასიათასობით უკანონოდ დაკავებულ პატიმარს მიადგა ყოფილი ხელისუფლებისგან?! "აბუ გრეიბის ციხეზე" ნაკლები სისატიკით არც ლობისტებისგან წახალისებული ნაცმოძრაობის "სამართლიანი სასამართლო" და ციხეები რომ არ გამოირჩეოდა, ესეც ხომ მთელმა მსოფლიომ ნახა? რა არის კიდევ საჭირო მისთვის, რომ დასავლეთი "ნაცმოძრაობისა" და მისი პოლიტიკური სახეების დანაშაულებრივ ქმედებებში დარწმუნდნენ?! ქართველ ხალხს მათი სამართლიანი სასამართლოთი გასამართლების უფლება და როგორც დამნაშავე პოლიტიკური ჯგუფის – მათი აკრძალვის უფლება მისცენ! ქართველი ხალხი მორჩილად დაჰყვა დასავლეთის ნებას და რევოლუციის გარეშე, არჩევნებით გადაირჩია მისთვის საძულველი რეჟიმი. იქნებ დასავლურმა სამყარომაც, რომელთან მეგობრობისა და ინტეგრაციისკენაც საქართველოც მიილტვის, გამოიჩინოს კეთილი ნებაც, გონიერებაც და (ქართველი ხალხის ნების შესაბამისად) დამოუკიდებლად მოქმედების უფლება მისცეს ქვეყანას. გვენდეთ, ქართველი ხალხი არჩევნების მსგავსად – ამასაც ბრწყინვალედ გაართმევს თავს! მთელ დაწყებულ პროცესებს კი რაც არ უნდა ეცადოს ნებისმიერი სუპერსახელმწიფო (იქნება ეს რუსეთი თუ ამერიკა), მაინც უფალი აკონტროლებს მაღლიდან!

ფრთხილად ჩვენო პარტნიორებო და მეგობრებო! ბოროტად ნუ გამოიყენებთ "უფლის კვართის მცველი ერის" თქვენდამი კეთილგანწყობასა და მეგობრობის სურვილს! ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოს აღსაგველად "მახვილით მოსული – მახვილითვე განიგმირების"! ეს ბიბლიური ჭეშმარიტებაა და "ნაცმოძრაობის ამბრაზურობასაც" ნურავინ ანაცვალებს უზენაეს სამართალს!

ბაია ამაშუკელი

სოფლის მეურნეობის მინისტრს ბატონ დავით კირვალიძეს

ბატონო მინისტრო,

ჩემი რამდენიმე ათეული წლის ამ დარგში მუშაობის გამოცდილება მაძლევს საშუალებას გამოვთქვა მოსაზრება მოსახლეობის ჯანსაღი კვების სფეროში არსებული პრობლემების შესახებ და წარმოვადგინო ამ პრობლემების გადაჭრის გზები და საშუალებები.

ევროკავშირის დირექტიული ნორმატიული აქტის საფუძველზე სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს თავის ქვეყანაში:

— საკვებმა პროდუქტებმა არ უნდა მიაყენოს ზიანი ადამიანის ჯანმრთელობას;

— კვებამ არა მარტო უნდა დააკმაყოფილოს ადამიანის ორგანიზმის ფიზიოლოგიური მოთხოვნები, საკვები ნივთიერებებისა და ენერგიისადმი, არამედ უნდა შეასრულოს პროფილაქტიკური და სამკურნალო ამოცანებიც.

— რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში?

— ფრიად არასახარბიელო.

დავიწყოთ იმით, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის რეფორმა, რის შედეგადაც 2006 წელს თანახმად კანონისა სურსათის უვნებლობის და ხარისხის შესახებ (ეს კანონი პასუხობდა იმ სტანდარტებს რასაც ევროკავშირის თავისი დირექტიული ნორმატიული აქტებით გვთავაზობდა და ჰარმონიზირებული იყო საქართველოს რეალობასთან), შეიქმნა სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რომელსაც სხვა ფუნქციებთან ერთად დაევალა სურსათისა და ცხოველის საკვების უვნებლობისა და ხარისხის დაცვის უზრუნველყოფა, ამას წინ უძღოდა მეტად ხანგრძლივი სერიოზული მოსამზადებელი სამუშაოები, კერძოდ, სურსათის უვნებლობის გაერთიანება — რისკის შეფასება-პროგრამა, რომელიც შეადგინა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და დააფინანსა აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, ჩატარდა სამ ეტაპად: საქართველოში, ჩეხეთსა და ლიტვაში.

პროგრამაში მონაწილეობას ღებულობდნენ: მეცნიერები, სპეციალისტები, სახელმწიფო მოხელეები, ის პირები ვისაც ამ საქმესთან ჰქონდა შეხება.

პროგრამის მიზანი იყო საქართველოში სურსათის უვნებლობის განვითარება, მეცნიერებსა და მთავრობას შორის თანამშრომლობა, პრაქტიკის შესახებ ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილების გაზიარება და რისკის მახასიათებლების შესწავლა.

ამ შეხვედრებს წინ უსწრებდა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და ირლანდიის სურსათის უვნებლობის სააგენტოს მიერ ორგანიზებული სემინარი, რომელიც ჩატარდა 2005 წლის მარტში, ქ.თბილისში, სადაც წარმოდგენილი იყო ირლანდიის სააგენტოს მუშაობის პრინციპები და სამსახურის მოწყობის ორგანიზაციული მხარე.

ამ შეხვედრებმა საშუალება მოგვცა გავცნობოდით ევროკავშირში შემავალი ქვეყნების გამოცდილებას სურსათის უვნებლობასთან მიმართებაში, იმ ძირითად პრინციპებს, რომელიც მიზნად ისახავს სურსათის უვნებლობის მაღალი დონის გარანტიის უზრუნველყოფას. სამეცნიერო კონსულტაციებს სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებულ ყველა ასფექტში, სასწრაფო განგაშის სისტემის ფუნქციონირებას. სურსათის უვნებლობასა და ჯანმრთელობის საკითხებთან დაკავშირებულ კომუნიკაციებსა და დიალოგს მომხმარებელთან. სურსათის უვნებლობის სტანდარტებს და იმ ღონისძიებების ფართო სპექტრს, რომელიც ხელს შეუწყობს სათანადო ჰარმონიზებას კანონმდებლობასთან, რომელიც შეესაბამება სასურსათო პროდუქციის პირველადი პროდუქტიდან მოხმარების საბოლოო პროდუქტამდე („ფერმიდან სუფრამდე“) ტრანსფორმირების ჯაჭვის ყველა ასპექტს.

აღნიშნული ქვეყნების გამოცდილების გაზიარება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ის პრობლემები, რომლებიც ჩვენ ამ საქმეში გვაქვს, ამ ქვეყნებმა უკვე დაძლიეს და მათ უკვე გააჩნიათ სურსათის უვნებლობის ეფექტური სამსახური. ჩვენთვის საინტერესო ლიტვის (პოსტსაბჭოთა ქვეყნის) ამ სამსახურის მოდელი.

ის რეფორმები, რომლებიც ახლა ტარდება ჩვენს ქვეყანაში, მხედველობაში მაქვს სურსათის უვნებლობის სამსახურის შექმნა და სრულყოფა, ლიტვაში წარმატებით ჩატარდა, რამაც გარკვეულწილად ხელი შეუწყო ლიტვის ევროკავშირში გაერთიანებას. ეს გზა მათ უკვე გაიარეს, ჩვენ უნდა გავიაროთ

თუ გვაქვს პრეტენზია, რომ სურსათის უვნებლობის სფერო აკმაყოფილებდეს ევროპულ სტანდარტებს, როგორც ქალი არ შეიძლება იყოს ნახევრად ორსული, ასევე არ შეიძლება იყოს ნახევრად ევროპული სტანდარტები.

ამის შემდეგ ნაცვლად იმისა, რომ ეს სამსახური გაძლიერებულიყო მზედველობაში მაქვს ცენტრალური ლაბორატორიის შექმნა, რაც არ გაკეთდა, (რაშიც მაშინ გვეხმარებოდა მსოფლიო ბანკი). ერთ წელიწადში სამინისტროს ხელმძღვანელობის შეცვლასთან ერთად, კარგად დაწყებული რეფორმა ხელოვნურად შევაჩერეთ და ეს ახალი სამსახური, რომელიც დაკომპლექტდა კონკურსის შედეგად მაღალი რანგის სპეციალისტებით, როგორც რიცხობრივად, ისე ფუნქციონალურად მინიმუმამდე შევამცირეთ და მოვუსპეთ შესაძლებლობა სრულყოფილად შეასრულონ თავიანთი დებულებით გათვალისწინებული მოვალეობა (დღეს ინსპექტორების მომზადება, სამწუხაროდ, არსად არ ხდება მარტო მოკლევადიანი ტრეინინგები საქმეს ვერ უშველის, სპეციალისტები მომზადებას წლების სჭირდება). შედეგად მივიღეთ ის მძიმე სურათი, რომ საქართველოში მოქმედი 20 000-ზე მეტი სურსათისა და საკვების მწარმოებელი და მარეალიზებელ ობიექტებში რა მდგომარეობაა სანიტარულ-ჰიგიენურ თვალსაზრისით, არავინ არ იცის (გასულ წელს შემოწმდა მხოლოდ 400-მდე ობიექტი), ვინაიდან აღნიშნული ობიექტების მიზერული რაოდენობა მოწმდება (მოუგვარებელია ამ ობიექტებში მომუშავე სპეციალისტების სანიტარულ-ჰიგიენურ კუთხით მოამზადებს.

ყოველი ზემოთთქმული უარყოფითად მოქმედებს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თვითდინებაზეა მიშველებული ჯანსაღი კვების პრინციპების პროპაგანდა მოსახლეობაში).

მიმდინარე წლის მაისში ძალაში შევიდა სურსათის, ცხოველების საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, რომლის თანახმად სახელმწიფო ნაწილობრივ ახდენს ინსპექტირების დელეგირებას კომერციულ საინსპექციო ორგანოებზე, რომლებიც მომავალში უნდა შეიქმნას (მნიშვნელობა არა აქვს, ვინ ჩაატარებს ინსპექტირებას, სახელმწიფო თუ კომერციული სტრუქტურა. მთავარია შედეგი). თუმცა ჯერჯერობით არ არის საბოლოოდ გამოქვეყნებული ის სტანდარტები და მოთხოვნები, რომლის მიხედვითაც უნდა ჩატარდეს მათი აკრედიტაცია. ისევ გაურკვევლობაა, ისევ ნახევრად დაწყებული საქმე, დრო კი ულმობლად გადის, 2012 წელიც იწურება.

რეკომენდაცია? — მხოლოდ ერთია, უნდა იყოს პოლიტიკური ნება, სახელმწიფოს მხრიდან სურვილი და პრეტენზია, რომ სურსათის უვნებლობის სფერო გახდეს უფრო ორგანიზებული, უფრო კოორდინირებული და ინტეგრირებული, რათა მივაღწიოთ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უმაღლეს დონეს.

ნუ ვიგონებთ ველოსიპედს, ავიღოთ რომელიმე ევროპული ქვეყნის (ჩემი აზრით, ჩვენთვის ყველაზე უფრო მისაღებია ბალტიისპირეთის ქვეყნები) მოდელი და მოვახდინოთ მისი ჰარმონიზება საქართველოს რეალობასთან.

ბატონო მინისტრო, გთხოვთ ყურადღებით მოეკიდოთ ამ ფრიად საშურ საქმეს.

პატივისცემით,
პროფილაქტიკური მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი
ირაკლი ფაღავა

`getoebSi~ `nacionalebi~ unda Cavasaxlot

ქვეყანა გათავისუფლდა „ნაციონალების“ ეგზეკუციისაგან, მალე მარზპანსაც მოვიშორებთ. მოისპო მოსმენები და დასმენები. შიში გაქრა, სამართლიანობა მყარდება, დანარჩენი დროის საკითხია. ალბათ, თანდათან ყველაფერი მოგვარდება და ცხოვრების პირობებიც გაუმჯობესდება, რასაც მოთმინებით ელის ქვეყნის მოსახლეობა. ქართველი ერი ღირსია ბედნიერი ცხოვრების, მან ყველაფერი გააკეთა, რათა დაემარცხებინა ერის მოძულე ხელისუფლება.

„ყველა ციხეში“, ეს ნაციონალების და მათი პრეზიდენტის, — მიშა სააკაშვილის დევიზია, ჩვენ სხვა ვართ და მოქცევაც ღირსეული და სამართლიანი გვმართებს.

„ნაციონალთა“ უმრავლესობას ჩადენილი აქვს სხვადასხვა სიმძიმის დანაშაული. მარტო არჩევნების გაყალბებაში სხვადასხვა დროს ჩართული იყო პრეზიდენტიდან დაწყებული, სოფლის გამგებელით დამთავრებული ყელა, ვინც სამსახურში იყო და ხელფასს იღებდა. ყველას ვერ დავაპატიმრებთ, ახალ ციხეებსაც ვერ ავაშენებთ და არც ავაშენებთ.

საპატიმროში უნდა წავიდეს ის კატეგორია დამნაშავეების, ვისაც სასამართლო ბრალს დასდებს ქვეყნის ღალატში, გაუპატიურებაში, მკვლელობებში, ადამიანთა წამებაში და სხვა რაიმე დანაშაულებებში.

სახელმწიფო ქონების მიმტაცებლებმა, ქართული მიწების გამსხვისებლებმა, შენობა-ნაგებობების თვითნებურად გამყიდველებმა ყველაფერი უნდა დაუბრუნონ ქვეყანას. ხოლო ვინც კერძო პირები, მეწარმეები და ა.შ. შეავიწროვა და მათი ქონება მიიტაცა, დაუყოვნებლივ უნდა დაუბრუნონ ნამდვილ პატრონს.

უნდა ჩამოერთვათ მათ ამ ბოლო 8-9 წლის განმავლობაში (ხელისუფლებაში ყოფნის დროს) შეძენილი და აშენებული სახლები და სხვა ქონება. ჩამორთმეულ სახლებში უნდა ჩავასახლოთ დევნილები, ემიგრანტები და ის თბილისელები, ვინც სხვადასხვა მიზეზის გამო დარჩნენ უსახლკაროდ. ეს ბედოვლათები კი ჩავასახლოთ მათ მიერ აშენებულ „ნაქებ“ „გეტოებში“. მათ არ უნდა ჰქონდეთ იქიდან გამოსვლის უფლება სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე. ე.ი. სასამართლომ უნდა დაუდგინოს იქ ცხოვრების ვადები. „გეტოებში“ უნდა იცხოვრონ ოჯახებთან ერთად. რა თქმა უნდა სახელმწიფო შეუწყობს ხელს. იქნება სკოლები და სპორტული მოედნები, ყოველგვარი საყოფაცხოვრებო მომსახურება. მათ უნდა მიეცეთ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, რათა სურვილის მიხედვით გააშენონ ბაღ-ვენახები, იყიდონ პირუტყვი და ა.შ.

ეს დასახლება უნდა იმყოფებოდეს სამართალდამცავი ორგანოების ზედამხედველობის ქვეშ, იქიდან გასვლის უფლების აკრძალვით. ეს შეზღუდვა არ უნდა გავრცელდეს მათი ოჯახის წევრებზე.

ჯერჯერობით დუმს პროკურატურა მშვიდობიანი მიტინგების დამრბევ სპეცრაზმზე. არადა, ამ დამსჯელი შენაერთების შემადგენლობა და მათი ხელმძღვანელები ხომ ვიცით ვინც არიან. თუ ისინი დღეს ახალი ხელისუფლების სამსახურში ჩადგნენ და კრიმინალი ნაციონალების აყვანა დაპატიმრებაში გვეხმარებიან, ძველი ცოდვები უნდა, მივუტევოთ? რატომ არაფერს ამბობენ ის პარლამენტარები, რომლებმაც იწვნიეს მათი ხელკეტები და სიტყვიერი შეურაცხყოფები.

ისინიც ხომ ცნობილი არიან, ვინც ჩვენს დასარბევად თავს უყრიდა ყოფილ სპორტსმენებს და გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ შენიღბულებს მოგვისევდა.

პირადად მე ვიწვნიე რეზინის ტყვიის სიმწარე. ჯერ რუსთაველზე, შემდეგ რიყეზე გვარბენინეს მე და ჩემი მეგობრები, ამისი დავიწყება ძნელია. ხალხს ყველაფერი ახსოვს. ახსოვს 2007 წელს საკრებულოს თავმჯდომარე ბეგაშვილი როგორ ულოცავდა სპეცრაზმელებს საკუთარი ხალხის დარბევას. ახსოვთ თბილისელებს 26 მაისს აღლუმზე, ჩვენი სისხლით მორწყულ მოედანზე სააკაშვილის საამებლად ბადურაშვილის სიმღერა. არ არის საჭირო მათი ყველასი დაპატიმრება. ისინი უნდა ვამხილოთ. მათი გვარსახელები სურათებით უნდა გამოვაქვეყნოთ, შევარცხვინოთ.

ზემოთ ჩამოთვლილი კატეგორიის ხალხი საჯარო სამსახურს დაუყოვნებლივ უნდა ჩამოვაშოროთ.

და კიდევ, **ის „ნაციონალები“ და მათი ლაქიები, ვისაც დანაშაული აქვს ჩადენილი ქვეყნის და ხალხის წინაშე, ახლა საკუთარი თავის და ქონების გადარჩენის მიზნით „ოცნებისკენ“ რომ იკვლევენ გზას, არ უნდა გავიკაროთ.** ხალხი ამბობს, რომ ყოფილი ხელისუფლების მეხოტბეებმა შემოაღწიეს კოალიციის რიგებში, რომლებიც უხვად ღებულობდნენ პირადად პრეზიდენტისგან ჯილდოებს და სხვა სახის წახალისებებს.

ხალხს უნდა დარჩეს ის რწმენა, რაც პირველ ოქტომბერს, არჩევნების დღეს ჰქონდა, რომ „ქართული ოცნება“ უმწიკლო წარსულის, პატიოსანი და ღირსეული ადამიანების გაერთიანებაა.

საქართველოს უხუცესთა დარბაზის აღმასრულებელი მდივანი
როლანდ ნიშარაძე

kaxa kaxiSvili:

samwuxarod, sasamarTlo jer kidev wina xelisufleb is politikuri wnexis qveS imyofeba

ქვეყანაში შექმნილ სამართლებრივ ვითარებასთან დაკავშირებით „საერთო გაზეთს" „არჩევნებისა და პოლიტიკური ტექნოლოგიების კვლევის ცენტრის' ხელმძღვანელი კახა კახიშვილი ესაუბრა.

— როგორ ფიქრობთ, რა მექანიზმები უნდა ამუშავდეს, რომ სასამართლო პოლიტიზირებული აღარ იყოს და სასამართლოში „ნაციონალურ მოძრაობას" დასაყრდენი აღარ ჰქონდეს?

— პირველ რიგში, აუცილებელი ცვლილებები სასამართლო ხელისუფლების კუთხით. ვერავინ დამრწმუნებს, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილი, რომელიც დაკავებულია არა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელებით, არამედ ასრულებს „ნაციონალური მოძრაობის" დაკვეთას, სამართლიანობის მიხედვით იმოქმედებს.

მე, პირადად, ადამიანის დაკავების მომხრე არასოდეს არ ვარ თუ მისი მისამართით არასაკმარისია მტკიცებულებები, მაგრამ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს თვალს თუ გადავავლებთ, მარტივად დავასკვნით, რომ სასამართლო პოლიტიზირებულია. თუ ამოვიღებთ მოსამართლეების გადაწყვეტილებას 2008 წლიდან 2012 წლის პირველ ოქტომბრამდე და ვნახავთ, შეცვალეს თუ არა მათ პროკურატურის შუამდგომლობა აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებით უფრო მსუბუქი გადაწყვეტილებით ვნახავთ, რომ არც ერთი პრეცედენტი არ იქნება, როცა მოსამართლემ გაბედა და პროკურატურის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. დღეს კი ვხედავთ, რომ სასამართლო ასრულებს პოლიტიკურ დაკვეთებს — სასაცილო გირაოს სანაცვლოდ უშვებს ყოფილ მაღალჩინოსნებს.

— გამოდის, რომ სასამართლოში დამოუკიდებლობის აღსადგენად ყველა მოსამართლე ერთი ხელის მოსმით უნდა გაათავისუფლონ?

— საქართველოს კონსტიტუციით მოსამართლეები დამოუკიდებლები არიან. სამწუხაროა, რომ რვა წლის განმავლობაში მოსამართლეები კონსტიტუციასაც არ კითხულობდნენ, სადაც საუბარია მათ დამოუკიდებლობის გარანტიებზე და უსმენდნენ კოტე კუბლაშვილსა და ადეიშვილს. ამიტომ მნიშვნელოვანია აქტიურად და ძირეულად დაიწყოს სასამართლო სისტემის რეფორმა იმ მიზნით, რომ რეალურად სასამართლო გათავისუფლდეს პოლიტიკური წნეხისგან — ეს ერთი ფაქტორი. მეორე — პროკურატურამ კიდევ ერთხელ კარგად უნდა გადახედოს კადრებს. ბევრია საუბარი იმაზე, რომ ადამიანები, რომლებიც წლების განმავლობაში აკანონებდნენ უკანონო მოსმენებს, მონაწილეობდნენ კორუფციულ სქემებში დღეს საკმაოდ მაღალ თანამდებობებზე წინაურდებიან. იგივე ხდება ფინანსურ პოლიციაშიც. ადამიანები, რომლებიც წლების განმავლობაში ხალხს უკანონოდ ართმევდნენ ქონებას, კვლავ წინაურდებიან. ამიტომ ხელისუფლებამ უნდა გადახედოს თავის ტაქტიკას, გამონათქვამებს, რადგან არ შეიძლება არც ერთი თანამდებობის პირმა — მინისტრმა, პროკურორმა, დააანონსოს რომელიმე დაკავება. ამავდროულად პროკურატურა კარგად უნდა დაფიქრდეს დაკავებების მეთოდებზე, რადგან საზოგადოებაში რამდენიმე ყოფილი მაღალჩინოსნის დაკავებამ კითხვები გააჩინა. ჩემი აზრით, არასწორი იყო ხაჩიძის ოჯახის სახლის გაჩხრეკვა დილის ხუთ საათზე, გიორგი კალანდაძის დაკავების ფორმა, არასწორად იყო გუნავას დაკავების საფუძველი შერჩეული, რაც საზოგადოებაში დამატებით შეკითხვებს აჩენს. „ნაცმოძრაობაში" გაწევრიანებულები არიან კარგი პოლიტტექნოლოგები, რომლებიც 15-წელი ხელისუფლებაში იყვნენ და ამ ხნის მანძილზე სერიოზული კონტაქტების დამყარება მოახერხეს ევროპასა და აშშ-ში. ასე, რომ სააკაშვილის გუნდმა კარგად იცის, რა საკითხები, რა ქმედება აღიზიანებს და რა ინფორმაცია მოსწონს დასავლეთს.

— შეგიძლია, დაგვისახელოთ იმ ადამიანების სახელ-გვარები ვინც წინა ხელისუფლებაში იყვნენ და ახლა მაღალ თანამდებობაზე ინიშნებიან. საუბრობდით, რომ ბევრი ადამიანი, რომელიც უკანონობაშია შემჩნეული, მაღალ თანამდებობს იკავებენ?

— მე არ ვგულისხმობ, რომ ყველა ადამიანი, რომელიც წინა ხელისუფლების დროს საჯარო სამსახურებში მუშაობდა სამსახურიდან უნდა გაუშვან, რადგან შეასაბამისად, ივანიშვილის გუნდის მიერ დაშვებული შეცდომების შესახებ „ნაციონალური მოძრაობა" ლობისტების დახმარებით, რომელთანაც სააკაშვილის გარემოცვა დიდი ხანია მეგობრობს, შესაბამის ინფორმაციას აწვდის დასავლეთს. შესაბამისად, სააკაშვილის გარემოცვა დასავლეთში ქმნის ისეთ პოზიციას, თითქოს საქართველოში აუტანელი მთავრობა მოვიდა, რომელიც პოლიტიკურ რეპრესიებს ახორციელებს. ამიტომ ხელისუფლების თითოეულმა წევრმა თავისი ყველა სიტყვა, ნაბიჯი კარგად უნდა აწონ-დაწონოს.

— შეგიძლია, დაგვისახელოთ იმ ადამიანების სახელ-გვარები ვინც წინა ხელისუფლებაში იყვნენ და ახლა მაღალ თანამდებობაზე ინიშნებიან. საუბრობდით, რომ ბევრი ადამიანი, რომელიც უკანონობაშია შემჩნეული, მაღალ თანამდებობს იკავებენ?

— მე არ ვგულისხმობ, რომ ყველა ადამიანი, რომელიც წინა ხელისუფლების დროს საჯარო სამსახურებში მუშაობდა სამსახურიდან უნდა გაუშვან, რადგან ეს არასწორი მიდგომაა, რის გამოც ხშირად ვაკრიტიკებდით ხოლმე სააკაშვილის ხელისუფლებას. თუმცა თანამდებობიდან სასწრაფოდ უნდა გათავისუფლდეს ის ხალხი, ვინც „ნაციონალების" იდეოლოგიური გენერატორები იყვნენ, ვინც იყო პოლიტიკური დაკვეთის შესრულებაზე კონტროლიორი იყო კონკრეტულ უწყებაში. აუცილებელია ძალოვან უწყებებში დეპარტამენტის ხელმძღვანელებისა და უმაღლეს თანამდებობის პირების გათავისუფლება სხვადასხვა უწყებაში. სამართალდამცავები როცა ხაჩიძის სახლში შევიდნენ, ეჭვი მაქვს, რომ ე.წ. „ნაციონალებთან" დაახლოებულმა პირებმა, რომლებიც ძალოვან უწყებებში ისევ მუშაობენ. პროკურატურას პროვოცირებისთვის მიაწოდეს გარკვეული ინფორმაცია იმ მიზნით, რომ შემდეგ „ნაციონალურ მოძრაობას" სალაპარაკო მისცემოდა. ასე, რომ პროკურატურამ თითოეული ნაბიჯი კარგად უნდა აწონ-დაწონოს.

მირანდა ნაბახტეველი
555 62 13 63

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ლობა დავითაშვილი: ფარმაცევტული და სადაზღვევო კომპანიების ლობიმ გამარჯვება მოიპოვა

ჯანდაცვის საპარლამენტო კომიტეტის სხდომაზე კობა დავითაშვილის საკანონმდებლო ინიციატივა ჩავარდა.

დავითაშვილს მომზადებული ჰქონდა „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ" კანონში ცვლილებების პროექტი, რომელიც, მისი თქმით, მონოპოლური ვერტიკალების დაშლას გულისხმობს. კომიტეტის წევრთა ნაწილმა საკითხი მოუმზადებლად მიიჩნია. დავითაშვილის ინიციატივით ამ სფეროში მომუშავე „მონოპოლისტი კომპანიების" წინააღმდეგ სხვადასხვა რეგულაცია უნდა დაწესებულიყო. თუკი რომელიმე კომპანია ერთდროულად ფლობს კლინიკას, სადაზღვევო მომსახურებას, ფარმაცევტულ ბაზარს და ამასთან, დაკავშირებულია ბანკთან, ერთ-ერთი ბიზნესი უნდა გაესხვისებინა.

„დღეს ფარმაცევტული და სადაზღვევო კომპანიების ლობიმ მოიპოვა გამარჯვება პოლიტიკურ ბრძოლაში. მათ მიაღწიეს იმას, რომ ჯანდაცვის კომიტეტში არ გავიდა საკითხი დემონოპოლიზაციის თაობაზე... ეს კანონპროექტი არ იქნა მხარდაჭერილი პარლამენტის წევრთა უმრავლეოსბის მიერ. მე ვთქვი, რომ ეს იყო სადაზღვევო და ფარმაცევტული კომპანიების ლობის გამარჯვება... მე არ მინდა დავიჯერო, რომ უმრავლესობაშიც არიან ასეთი ადამიანები", — განაცხადა მან.

ქართულ-რუსული თანამშრომლობის ფორუმი თბილისში მუშაობას იწყებს

19 დეკემბერს საერთაშორისო პრესცენტრ „რია ნოვოსტის" ოფისში, თემაზე: „ქართულ-რუსული თანამშრომლობის ფორუმი თბილისში მუშაობას იწყებს" პრესკონფერენცია გაიმართება.

ქართულ-რუსულ ურთიერთობებში ახალი ეტაპი დაიწყო. საქართველოს და რუს სამოქალაქო საზოგადოებას შორის, რომლებიც სხვადასხვა დიალოგის ფორმატში მონაწილეობდნენ ურთიერთთანამშრომლობისათვის მუდმივი პლატფორმის შექმნის იდეა გაჩნდა. ამ მიზნით შეიქმნა არასამთავრობო ორგანიზაცია თანამშრომლობის ქართულ-რუსული ფორუმი.

ფორუმის შექმნის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი-ადამიანებთან დიალოგი, გადაწყვეტილებების მიღება, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაა.

თანამშრომლობის ფორუმში შედიან წამყვანი არასამთავრობო ორგანიზაციები რუსეთიდან და საქართველოდან.

პრესკონფერენციაში მონაწილეობას პოლიტოლოგი გიორგი ხუციშვილი, იურისტი მარია კანევსკაია, საქართველოს თანამშრომლობის ფორუმის დირექტორი თემურ ქობალია მიიღებენ.

ოპოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულები ბიუჯეტიდან 50 მილიონის გამოყოფას ითხოვენ

კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული ადამიანები 2013 წლის ბიუჯეტიდან 50 მილიონი ლარის გამოყოფას მოითხოვენ. ამ მიზნით მათ დღეს მთავრობის სახელმწიფო კანცელარიასთან აქცია გამართეს და პრემიერ-მინისტრს ხელმოწერებით მიმართეს.

„ვთხოვთ მთავრობას გამოყოს 50 მილიონი ლარი, რათა ერთხელ და სამუდამო გადაიჭრას ეს პრობლემა", - აცხადებენ აქციის მონწილეები.

„მედიანიუსი"

მსოფლიო ჯრჯასის მიხედვით

ruseTi da saqarTvelo molaparakebebze arian gamoZaxebuli

ომის შემდგომ პირველი შეხვედრა ჟენევაში გაიმართა

რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს დილომატებმა, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, პირველი მოლაპარაკებები გამართეს. არ ყოფილა მოლოდინი, რომ ამ შეხვედრაზე მნიშვნელოვან შეთანხმებებს მიაღწევდნენ, თუმცა თბილისშიც და მოსკოვშიც ამ დისკუსიის დაწყებას უმნიშვნელოვანეს ფაქტად აფასებენ. რუსეთის საგარეო უწყება აღნიშნავს, რომ „შეხვედრა იყო საქმიანი და კონსტრუქციული“. ქართველი ექსპერტები დარწმუნებული არიან: მართალია, რუსულ ბაზარზე ქართული პროდუქციის შეტანის შესახებ კონკრეტულ საკითხებზე თანამშრომლობა შესაძლებელია, მაგრამ დიპლომატიური ურთიერთობების ამ ეტაპზე აღდგენა – შეუძლებელი.



რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგორი კარასინისა და რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგების საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეცწარმომადგენელ ზურაბ აბაშიძის შეხვედრა თბილისში „№1 ახალი ამბავი“ იყო. მანამდე ამერიკის ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის (**NDI**) კვლევა გამოქვეყნდა, რომლის თანახმადაც, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა მოსკოვთან ურთიერთობის მოწესრიგებას ახალი მთავრობის ერთ-ერთ ყველაზე მწვავე საკითხად და მთავარ პრიორიტეტად განიხილავს. **NDI**-ის კვლევის მონაცემებით, ქვეყნის მოსახლეობის 79 პროცენტი უკმაყოფილოა ჩრდილოელ მეზობელთან ურთიერთობის ახლანდელი ფორმით.

ჟენევის მოლაპარაკებების დაწყებამდე საქართველოს საგარეო უწყებაში აცხადებდნენ, რომ ამ შეხვედრას „მხოლოდ და მხოლოდ ტექნიკური ხასიათი“ ექნებოდა – იგეგმებოდა შემდგომი შეხვედრების ფორმატისა და პერიოდულობის დადგენა, ხოლო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხებს არ შეეხებოდნენ. გრიგორი კარასინის განცხადებითაც, დიალოგი შეეხებოდა „რეალურ სფეროებს, სადაც ურთიერთობების განვითარება შესაძლებელია“.

„რაღაცით ხომ უნდა დაიწყოს – მას შემდეგ, რაც მიხეილ სააკაშვილმა თავისი პარანოიდული პოლიტიკით ჩიხში შეიყვანა ეს ურთიერთობა“, – აცხადებს საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის ყოფილი უფროსი პეტრე მამრაძე. მისი აზრით, ვიდრე სოხუმსა და ცხინვალში რუსეთის საელჩოები არსებობს, მანამდე დიპლომატიური ურთიერთობა ვერ აღდგება, თუმცა „ნებისმიერი წამოწყება მნიშვნელოვანია“.

ყოფილი მმართველი პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და მისი მხარდამჭერი მიხეილ სააკაშვილი რუსეთთან პირდაპირი მოლაპარაკებების საკითხთან დაკავშირებით მოლოდინის პოზიციას ამჯობინებენ. მათი წარმომადგენლების განცხადებით, რუსეთის ბაზარზე ქართული პროდუქციის დაბრუნების იმედიც ნაკლებად უნდა ჰქონდეთ. უნდა აღინიშნოს, რომ ზურაბ აბაშიძემ გრიგორი კარასინთან შეხვედრამდე მოლაპარაკებების ამ ეტაპის პრიორიტეტად სწორედ ეს საკითხი დაასახელა.

ქართველი ექსპერტები დარწმუნებული არიან, რომ ორმხრივი შეხვედრების ფორმატი უფრო ხელსაყრელია რუსეთის ხელისუფლებისთვის, ვიდრე ჟენევის მრავალმხრივი მოლაპარაკებები. ბოლო რაუნდი ხომ სრული მარცხით დასრულდა: აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს, განეხილათ ქართველი ლტოლვილების დაბრუნების საკითხი და მათ ჰუმანიტარული პრობლემების სამუშაო ჯგუფი დემონსტრაციულად დატოვეს. მათ კვალდაკვალ მიჰყვნენ რუსეთის დიპლომატებიც. ქართველ ექსპერტთა შეფასებით, რუსეთის ფედერაცია აქტიურად ცდილობს, საქართველოს პრობლემატიკა საერთაშორისო დღის წესრიგიდან ამოიღონ. ჟენევის მოლაპარაკებებში მონაწილეობენ რუსეთი, საქართველო, სამხრეთ ოსეთი, აფხაზეთი, ევროკავშირი, ეუთო და გაერო, ახალი ფორმატი კი ზურაბ აბაშიძესა და გრიგორი კარასინს საშუალებას აძლევს, პრობლემები ერთი ერთზე განიხილოს და აჩვენოს ისიც, რომ ამ მოლაპარაკებებში „მესამე ზედმეტია“.

ახალი ფორმატით ორმხრივი შეხვედრები რეგულარულად გაგრძელდება – ამას ადასტურებს როგორც გრიგორი კარასინი, ასევე ქართული მხარეც. შეხვედრა რომ კონსტრუქციულად წარიმართა, ამის ირიბ დასტურად შესაძლოა, მივიჩნიოთ რუსეთის მთავარი სანიტარიული ექიმის გენადი ონიშჩენკოს განცხადება: იგი არ გამორიცხავს, რომ ქართული ღვინო ახალი წლიდან უკვე დაბრუნდება რუსეთის ბაზარზე.

kommersant.ru

saqarTvelosi naklebad eSiniaT ruseTis

თუმცა მოსახლეობის უმრავლესობას ევროკავშირსა და ნატო-ში შესვლა სურს

რამდენიმე დღეა საქართველოში აქტიურად განიხილავენ ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მორიგ გამოკვლევას, რომლის თანახმადაც, რესპუბლიკის მოსახლეობის დამოკიდებულება რუსეთის მიმართ მკვეთრად შეიცვალა.

ნოემბერში ჩატარებული გამოკვლევებით, რესპონდენტთა 26 პროცენტი მიიჩნევს, რომ რუსეთი რეალურ საფრთხეს წარმოადგენს საქართველოსთვის. აგვისტოში ასეთ მოსაზრებას გამოკითხულთა 48 პროცენტი იზიარებდა.

იმავდროულად, გაიზარდა იმ პირთა რაოდენობა, რომლებიც რუსეთს მართალია საქართველოსთვის რეალურ საფრთხედ მიიჩნევენ, მაგრამ ამ საფრთხის სერიოზულობა გადაჭარბებულად მიაჩნიათ: აგვისტოში ეს მაჩვენებელი 30 პროცენტს შეადგენდა, ნოემბერში – 40-ს. ამჟამად საქართველოს მოსახლეობის 22 პროცენტის აზრით, რუსეთისგან საფრთხეს არ ელიან (აგვისტოში ასე ფიქრობდა რესპონდენტთა 9 პროცენტი).

გამოკითხულთა უმეტესობა (79 პროცენტი) უკმაყოფილოა საქართველო-რუსეთის ახლანდელი ურთიერთობით. აგვისტოში ეს ციფრი 89 პროცენტს შეადგენდა, ხოლო 5 პროცენტის აზრით, არსებული ურთიერთობა მისაღები იყო მათთვის.

გამოკვლევის შედეგებით კვლავ დასტურდება, რომ საქართველოს მოსახლეობა ევროინტეგრაციის პოლიტიკის მომხრეა. კერძოდ: 77 პროცენტი მხარს ევროკავშირში შესვლას უჭერს, 71 პროცენტი – ნატოში შესვლას.

58 პროცენტს მიაჩნია, რომ საქართველო სწორი გზით ვითარდება, ხოლო 11 პროცენტი ამ კურსს ეწინააღმდეგება.

გამოკვლევის ფარგლებში დაისვა შეკითხვა ციხის სკანდალის შესახებაც. შეგახსენებთ, რომ სექტემბერში ოპოზიციურმა მედიამ უჩვენა დამზაფრველი კადრები, რომლითაც დადასტურდა, რომ ციხეების ადმინისტრაცია პატიმართა მიმართ ძალადობასა და წამებას იყენებდა. გამოკითხულთა 96 პროცენტმა იცოდა ამ სკანდალის შესახებ.

რა უნდა მოიმოქმედოს ახალმა ხელისუფლებამ, რომ ამ ინციდენტის შედეგები აღმოფხვრას? ამ კითხვაზე გამოკითხულთა პასუხები ასეთია: ბოლომდე უნდა გამოიძიონ, თუ რა როლს ასრულებდნენ შესაბამისი თანამდებობის პირები (47 პროცენტი; პენიტენციური სისტემის რეფორმა (41 პროცენტი); უნდა დადგეს ყოფილი მთავრობის წევრთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი (35 პროცენტი); უნდა გაძლიერდეს ციხეებში არსებული პირობების კონტროლი/არასამთავრობო ორგანიზაციებს უნდა მიეცეთ ამ პირობების გაკონტროლების საშუალება (24 პროცენტი) და ამნისტია (12 პროცენტი).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მთავარ პროკურატურაში, ბოლო თვენახევრის განმავლობაში, 7 ათასზე მეტი საჩივარია შესული.

საქართველოს მთავარი პროკურორის განცხადებით, „ამ საჩივრებიდან, ათასზე მეტი სასჯელაღსრულების სისტემაში არსებულ წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას ეხება. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ციხეებში დანაშაული ხდებოდა. ასეთ ადგილებში ადამიანის უფლებები მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში არ ირღვეოდა. ადეკვატური გამოძიების დასაწყებად, ახლა იმ პირთა დაჯგუფებებს ვაზუსტებთ, რომლებიც მსგავს საქციელში არიან მხილებული“.

ბოლო კვირების განმავლობაში, საქართველოში 20 მაღალჩინოსანია დაპატიმრებული. ამ დაჭერებს მიხეილ სააკაშვილი და მისი მომხრეები პოლიტიკური ოპონენტების მიმართ მმართველი პარტიის წარმომადგენელთა „ანგარიშსწორებად“ აფასებენ. იმავდროულად, მთავრობის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მაღალჩინოსნების დაკავება არ არის პოლიტიკურად მოტივირებული და ეს სასამართლო პროცესები მაქსიმალურად გამჭვირვალე იქნება. თავის მხრივ, ამერიკის შეერთებული შტატები, ევროკავშირი და ნატო მოუწოდებს საქართველოს ახალ ხელისუფლებას, სასამართლო პროცესების მიმდინარეობაში არ ჩაერიონ.

NDI-ს გამოკითხულთა 56 პროცენტს აწუხებს უმუშევრობის პრობლემა, 35-ს – ხელმისაწვდომი ჯანდაცვა, რესპონდენტთა 29 პროცენტს კი – ქვეყნის ტერიტორიული მოწყობა.

პირველი რიგის რეფორმებს შორის სახელდება: ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობის, საპენსიო, განათლების, სასამართლო და საგადასახადო სისტემების რეორგანიზაცია.

voa. ru
inosmi.ru

მიმოხილვა მოამზადა
გ. ჭავჭავაძემ.

ლაშა გახარია – 65



ავტოპორტრეტი

შეუცნობელი პოეტი დადის,
გამომცემლობებს არ უმტვრევს კარებს,
მშიერ ლეკვივით დაჰყვება დარდი
და ჯიბის ლექსებს ბუზს არ აკარებს.

თან თავნია და თან – ნასესხები,
აბდის და უბდის კალმით მლამბავი
და დადის ასე, შავი ლექსებით,
თავადაც ღვთისგან დაუსტამბავი.

აღარ იზიდავს ზღვა და იზიდა,
ბინას არ ეძებს მთაწმინდის ახლოს
და, როცა წავა ცოდვილ მიწიდან,
არც ცად მოელის დიდ სამოსახლოს.

ვალი ყვლისა

მიწაზე ვწერ და ცაში ვათეთრებ,
მაგრამ სულ თოვლად მაცრის უფალი.
რა წაგაკითხოთ: ძმებს და
ქალღმერთებს,
ვით შემოგკადროთ ეს ნასუფრალი...

ლექსიც ქალივით აქეთ-იქეთობს,
თუ დაიგულა გული ვნებული;
სული როგორღა ამოვითეთრო –
ბოღმა-ბალღამში ამოვლებული!...

მორჩა! – აწ ლექსს არ გაგაცრევინებ
და არც კირსა გთხოვ, ვით კირითხურო,
ოღონდაც, ერთხელ მეც მათქმევინე,
რომ აქ ვწერ, მაგრამ...
ცაში გკითხულობ!...

საბაყალთოყლი

შვილიშვილს – საბა გახარიას

ეს სიტყვა გულში აყვავდა,
ვით გულისაბა –
ყვავილი,
მერმე ხელებში აბალღდა –
გულითვე ამოყვანილი.
ამირანისძედ ვიოცე,
როს ჩავამთვარდი თვალებში,
ავდექ და, დედიშობილა,
გავფუთნე ცის ფართალებში;
ირმის რძე ჩამოვუწველე,
არც ხოხბის დამიკლია და
ჯავრისქვაც გავაკბეჩიე,
როგორც კი დაკბილიანდა!
ღვთიშობელს მოვანათლიე –
მცხეთას ნადული მირონით,
ფასკუნჯის ფრთებით ვუჭალე
ლაჟვარდთა სანაპირონი;
უსუპის წარბი ვუმშვლდე,
ვამშიე ფარ-ხმლის
ხმარება,
დევს რომ უმხარა, გენახათ,
იახსრის ახარხარება!
რთველი ვართველე, რა რთველი –
ხართვალა,
მტევნებგიდელა,
ტანთ თუთარჩელა ვურჩიე,
ღამე გავხადე –
დინდგელა;
სამეფო კვართი ვუკვართე,
კვერთხიც ვუკურთხე ისეთი...
მოლა შიშით გადაბაბანდა
უკურთხი სამიზგითეთი!
გულს გავუწონე: – ეგების,
ვადა იწითნოს – ვადამდე!
ორბის ფრთით შემოვუთარგე –
ნიკოფსით
დარუბანდამდე...
„დედაენიდან“ ამოვსხი
ანბანსისხამა იები,
ხან სული მიუნიავა,
ხან – წამწამ ფარფალიები!
„სიტყვის კონაც“ რომ გავშალე..
ნეტაი, თავად
გეხილათ,
ვით ალაღდა და ამაღლდა –
მაღლარ სიტყვათა
სესილად!
ფარშევანგის ფრთა მოვართვი,
ვით ვაკადრებდი
ბატისას,
მაფშალიამაც ურშვინა,
ჭირიმე იმ ნისკარტისა,
გულის გრაალით დავლოცე –
მტერიმც გეხილოს ძლეული,
ღვთისენად ამოგემხილოს
ის ფარულზოსიმეული!
აწ მართლა უნდა იმეფოს –
ვეფხისტყავშემოკვართულმა,
დედოფალსიტყვა მოჰგვარეთ,
რომ ძეც შეას
საბაქართულმა!

ჯვარი

პასუხად კითხვაზე
–ვინ ააგო მცხეთის ჯვარი?...

ცას შეაშენეს ღვთიური ჯვარი,
ჯვართამაღლება ასრე იადრეს,
შემოამშვენეს აზმით ტაძარი
და სათნოება დააბინადრეს...

სული მოითქვეს საწუთროს ჩრდილში
და თქვეს: – აწ სისხლმან
შორს იძახველოს!...
მერმე წამოდგნენ და ტაძრის შიშით
წაწყნარდნენ უხმოდ და უსახელოდ.

საით წავიდნენ კირითხურონი,
თვალსაშურონი შორად ჰპოვეს, რა...
ან ხეკორძულა, თუ შეისხურეს
ამ ოფლით ნაწერ უფლის პოემას?...

რა ამაოა ოსტატის რწმენა...
ვინ იყავ, ქვით რომ წერა-მწერლობდი,
ვით დადგი მთაზე მთად – ბედისწერა –
ამთავრებული ცისკენწეროთი?...

სითქვა დავით!...

ავირჩიოთო
აწ ერთი – ორში!
ულოთი შეგვკრა
ერთსულ-ერთხორცად
და ომშეუმშრალ
უშიშარ დროშით
სირცხვილის ყოვლის
ოფლი შეგვხოცა.

– კვლავ შამქორულად
გნოლზე – ვით ქორი!
სიცოცხლე
იქამც დაგვეზოგება...

ეს გაუმარჯოს –
ერთი დიდგორით –
ყველა წაგებულ
ომის მოგებას!...

მუხური

ხემარდიანიში ნანათა,
მუხებით გადამუხლული,
მთაზე მიწნული კალათა –
ჩემი ლახარა მუხური.

ქუხნაზე კვამლი – ყვავივით,
გზა – გაწელილი წურბელი;
დილიდან ამოყვანილი –
ჩვილი ყველივით ღრუბელი.

ბაგეკარკალა ორკოლი,
წყარო – კლდე-ძვლებში გამძვრალი,
ცირა – თვალჭიაკოკონა...
ბროწეულების ხანძარი!

ხეზე ამძვრალი კაჭიჭი,
ოჩოფეხება ბეღლები,
ჭალაკი – ჭელის პაჭიჭი,
დევინაღველა ლეღვები.

ხოპწყარი – ნაცხა –
სათვალით,
ღარზე წისქვილის
ხველება;
ხირკე – ლაგვანში
ჩამთვრალი...
გრძელ ღამის
ჩადღეგრძელება!

კაცები – შუბზე მაღლები!
ხატითვალება ქალები;
ბაშლაყიანი მაყრები –
მათრახიანად მთვრალები...

ჭიშკრები –
შუბლზე ნაღებით,
ფაცხა – ჯარგვალზე
მიფსკვნილი;
ჭყინტადშემოჭმულ ყანებით
გაწბილებული წისქვილი.

გახარებული ყებური –
მუთაქვის
თავსასთუმლობით,
ძაღლიან აცეკვებული
ოჯახი –
მოყვრის სტუმრობით!

ოხუნჯობენ და პურობენ,
აბედს სინჯავენ კვესებით,
ფანდურზე დალეკურობენ
ვაჟა-ფშაველას ლექსები!...

ჯანსულო... ვოისა ვარაიდა!
გულში სულჩასაწობელი –
უფლის და კაცის
ბალადა –
ერთი კალათა სოფელი.

ჩვილი ჰაეზა

ანუ წვიმიდან წვიმამდე

მთელი ეს კვირა
წვიმდა და წვიმდა:
კოკითაც ღვრიდა,
საცრითაც ცრიდა;
ზარი დაბზარა ლაზარემ
რეკვით!
და, როგორც იქნა,
ცა მოიწმინდა.

გამოითუთა
თივიდან ლეკვი –
უღრენს და ფხოტნის
აფხორილ ცინდალს...

ეკალას კმაზავს
კეკელას კეკე;
წმიდასანთელი
უნთია წმინდანს.
შეკვერცხიგულდა
ცილიან ცაზე
მთვარე და ალბათ,
თავადაც ხედავს;

თალხი ღრუბელი
რომ დარდობს მთაზე –
შინმოუსვლელის
საბრალო დედა.

მარჯვნიდან: ლაშა გახარია, ვაჟა ხორნაული, ვახტანგ ხარჩილავა (უნივერსიტეტის ბაღი, 1968 წ.)

ჯემალ დავლიანიძე

„ავადმოსაგონარი, მითიური“ და უბნელესი კოდექსი

ეს შემაძრწუნებელი გეგმა და ვალდებულებანი, რასაც ქვემოთ წაიკითხავთ, ჩემი გამონაგონი არ გახლავთ. არც ზღაპარია და არც ოგავი! შევარდნაძე-სააკაშვილმა თითოეული პუნქტი, რა თქმა უნდა, თავიანთი ნება-ჭკუით არ შეიმუშავეს. ყოველივე მათი უშუალო უფროსების ხელით კეთდებოდა. სწორედ მათ მოავლინეს საქართველოში ეს ორი ე.წ. პრეზიდენტი. მათვე შეუწყვეს ხელი, აქეს და ადიდეს, მისცეს უსასრულო გარანტიები და ა.შ. ოღონდ, ნამდვილი მბრძანებლების კვალს ვერასგზით ვერ მიაგნებ კაცი. ისინი უკუნეთს არიან ამოფარებულნი და როგორც შხამიან ობობას, ისე უკავიათ ხელში მსოფლიო ცხოვრების, მსოფლიოს მართვის უმთავრესი ძაფები! და, ისე ჰყავთ უკვე გაბანგული თითქმის მთელი დედამიწა, იშვიათად თუ მიხვდება ვინმე ავბედით და მზაკვრულ ჩანაფიქრს. ადამიანების მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელ რაოდენობას ძალუძს ამ მართლაც ანტიქრისტეს კოდექსის ხლართებში გარკვევა.

თუმცა უმჯობესია, თქვენი თვალით წაიკითხოთ, გაიაზროთ და სათანადო დასკვნებიც გამოიტანოთ...

მართლაც, ცხადად ვნახე უცნაური ქადაგება, რომელიც თითქოს მითია, თითქოს დაუჯერებელია, მაგრამ... ჩვენ, სინამდვილეში, თუ კარგად დაუკვირდებით, ამ საშინელებაში ვცხოვრობთ:

„1. უდიდესი ადამიანური თვისებები – გულღიაობა და პატიოსნება პოლიტიკაში მანკია.

2. პოლიტიკას არაფერი აქვს საერთო მორალთან. მმართველი, რომელიც ხელმძღვანელობს მორალით აპოლიტიკურია.

3. ვისაც ძალაუფლება სურს, ცბიერიც უნდა იყოს და პირმოთნეც.

4. პოლიტიკური თავისუფლება იდეაა და არა ფაქტი.

5. სამართალი ძალაშია.

6. დროებითი ბოროტებიდან წარმოიშობა ურყევი მართვის სიკეთე.

7. ყურადღება უნდა მიექცეს არა კეთილსა და ზნეობრივს, არამედ საჭიროსა და სასარგებლოს.

8. ბრბო განწირულია პარტიული განხეთქილებისათვის.

9. მხოლოდ ერთ პიროვნულ მმართველს შეუძლია შეიმუშაოს ნათელი გეგმა.

10. აბსოლუტური დესპოტიზმის გარეშე შეუძლებელია ცივილიზაციის არსებობა.

11. ბრბო, როცა ხელში ჩაიგდებს თავისუფლებას, მას მალევე აქცევს ანარქიად, რაც ბარბაროსობის უმაღლესი ფორმაა.

12. ჩვენ თავისუფლებასთან ერთად, უფლებას ვაძლევთ, -ალკოჰოლი მიიღონ უზომოდ.

13. ხალხი გაბანგული უნდა იყოს სპირტიანი სასმელებით, ახალგაზრდობა კლასიციზმით, ნაადრევი გარყვნილებით.

14. ჩვენი პაროლი – ძალა, თვალთმაქცობაა.

15. ძალადობა უნდა იყოს პრინციპი.

16. ცბიერება და თვალთმაქცობა – აი, წესი ხელისუფლებისთვის.

17. პოლიტიკაში აუცილებელია შეგეძლოს სხვისი საკუთრების მითვისება ყოყმანის გარეშე.

18. საჭიროა ბრმა მორჩილებაზე დაფუძნებული ტერორი.

19. გამარჯვებისთვის უნდა მივმართოთ ძალადობას და ცბიერებას.

20. საკმარისია გაიგონ, რომ ჩვენ უძლეველები ვართ, უმალ დაგვემორჩილებიან.

21. ჩვენს მიერ ძველ დროში, ხალხში გავრცელებული სიტყვების „თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა“-ს ბევრჯერ გამეორებით დავანგრევინეთ ქვეყნის კეთილდღეობა.

22. დროთა განმავლობაში პოლიტიკური საქმეების დინასტიური გადაცემის ტრადიცია მოვიშორეთ, რამაც ხელი შეგვიწყო გეგმების გამარჯვებაში.

23. სიტყვებით „თავისუფლება“, „თანასწორობა“, „ძმობა“, ჩვენმა აგენტებმა დაგვიქვემდებარეს მთელი ლეგიონები. ისინი აღტაცებით დაატარებენ ჩვენს დროშებს.

24. ჭეშმარიტი არისტოკრატიის ნანგრევებზე ჩვენ აღმოვაცენეთ ჩვენივე ინტელიგენცია.

25. დათესილი ანგარებით, სიხარბით, გაუმაძღრობით პიროვნებაში ჩავკალით ინიციატივა.

26. თავისუფლების აბსტრაქციით ბრბო დარწმუნდა, რომ მთავრობა ხალხის უბრალო მმართველია და მისი გამოცვლა ისევე ადვილია, როგორც ხელთათმანისა.

27. ჩვენთვის აუცილებელია, რომ ომებმა არ განსაზღვრონ ტერიტორიული უპირატესობანი, რაც ომს გადაიყვანს ეკონომიკურ გაჭირვებაში და დახმარების საბაბიც გაგვიჩნდება, ამ უკანასკნელით კი ვაგრძნობინებთ უპირატესობას. ორივე მხარე მოექცევა ჩვენი გავლენის ქვეშ.

28. ყურადღება მიაქციეთ ჩვენს მიერ შექმნილ დარვინიზმის, მარქსიზმის, ნიცშეიზმის წარმატებებს. ამ სწავლებათა გამხრწნელი ძალა ხომ აშკარაა.

29. უდიდესი ძალაა პრესა. მისი როლია მიუთითოს აუცილებელ მოთხოვნილებებზე, გადასცეს ხალხთა მოთხოვნები, გამოხატოს უკმაყოფილებები. პრესაში უნდა იზეიმოს თავისუფლებამ... პრესის საშუალებით ჩვენ მოვახერხებთ ჩრდილში დავრჩეთ და ზეგავლენის სფეროში მოვიქციოთ მკითხველები.

30. რჩება მცირედი სივრცე და ჩვენს მიერ განვლილი გზა შეკრავს იმ სიმბოლური გველის ციკლს, როგორადაც გვაქვს ჩვენ ხალხი წარმოდგენილი. როცა ეს წრე შეიკვრება, ევროპის ყველა სახელმწიფო ჩვენს ხელში აღმოჩნდება.

31. ხელისუფლების ბოროტად გამოყენების სურვილის გამოსაღვიძებლად ჩვენ ერთმანეთს დავუპირისპირეთ ყველა ძალა, განვავითარეთ მათი ლიბერალური ტენდენციები დამოუკიდებლობისკენ, შევაიარაღეთ ყველა პარტია. ხელისუფლება ყველა ამბიციის სამიზნედ ვაქციეთ. სახელმწიფოები დავამსგავსეთ არენებს, სადაც უწყვეტი არეულობებია.

32. თანდათან განმტკიცდება უწესრიგობები. იგი თავს იჩენს ყველგან. დაუღლელმა მოყაყანეებმა ორატორულ შეჯიბრებად აქციეს პარლამენტის სხდომები და ადმინისტრაციული სხდომები, მამაცი ჟურნალისტები უცერემონიოდ ესხმიან თავს ადმინისტრაციულ პერსონალს.

33. სიღარიბემ ადამიანები გაცილებით უფრო მიაჯაჭვა მძიმე შრომას, ვიდრე მონობამ და ნაციონალისტურმა წყობილებამ.

34. კონსტიტუციაში შევიტანეთ ფიქტიური უფლებები, რომლებსაც არანაირი ძალა არა აქვთ. ყველა ე.წ. „ადამიანთა უფლებები“ მხოლოდ იდეაში თუ არსებობს. პრაქტიკულად მათი შესრულება შეუძლებელია.

35. ჩვენი ხელმძღვანელობით ხალხმა გაანადგურა არისტოკრატია, რომელიც მისი ერთადერთი დამცველი, დამპურებელი იყო.

36. ჩვენი სურვილია, მშრომელი კაცი იყოს ქრონიკული შიმშილის და სისუსტის მდგომარეობაში, რათა საბოლოოდ გვყავდეს მორჩილებაში.

37. გაჭირვებაში ჩაგდებით ვაიძულებთ მასებს, რომ თავისავე ხელებით მოსპონ ყოველივე, რაც ჩვენ გვიშლის ხელს. როცა დადგება ჟამი ჩვენი მეუფის კურთხევისა, ხალხთა ხელებითვე გავანადგურებთ ყველას, ვინც წინ გადაგვეღობება.

38. პრესას ბრმად აყოლილი ხალხი მტრულად არის განწყობილი ყველა წოდების მიმართ, ვისაც თავის თავზე მაღლა მდგომად მიიჩნევს. ეს მტრობა უფრო მძაფრდება ეკონომიკური კრიზისის დროს. ოქროს საშუალებით შევქმნით ეკონომიკურ გაჭირვებას, უმუშევრად დავტოვებთ ევროპის მთელი რიგი ქვეყნების მუშებს. ეს ბრბო სიამოვნებით დაერევა დასახოცად იმათ, ვისაც ამ შიმშილში და გაჭირვებაში დაადანაშაულებს.

39. გაიხსენეთ საფრანგეთის რევოლუცია, რომელსაც ჩვენ „დიდი“ ვუწოდეთ. მისი მომზადების საიდუმლოება ჩვენთვის კარგადაა ცნობილი – ის ჩვენი ხელებით მომზადდა.

40. ჩვენ ხალხი მიგვყავს ერთი გულის გატეხვიდან მეორემდე, რათა საბოლოოდ დაემორჩილოს ერთადერთ მეფეს. სწორედ მას მოვუმზადებთ მსოფლიოს.

41. ხალხი თამამი დესპოტიზმის წინაშე მორჩილი და მომთმენი ხდება. თანამედროვე პრემიერ-დიქტატორებისგან ისინი ითმენენ და იტანენ ისეთ ბოროტებას, რისთვისაც თავს მოჭრიდნენ 20 მეფეს.

42. სიტყვა „თავისუფლება“ საზოგადოებას განაწყობს ყოველგვარი ძალის, თვით ღვთისა და ბუნების კანონზომიერების წინააღმდეგ საბრძოლველად.

43. ყოველგვარი რესპუბლიკა გადის რამდენიმე სტადიას. პირველი – მოიცავს გონებადაკარგული ბრბოს ბობოქრობას, მეორე – დემაგოგიას, საიდანაც წარმოიქმნება ანარქია, რომელიც აუცილებლად დესპოტიზმთან მიდის.

44. ადამიანთა გონებიდან უნდა ამოიძირკვოს ღვთის რწმენა, სულიერების პრინციპები და შეიცვალოს არითმეტიკული გაანგარიშებებით თუ მატერიალური მოთხოვნილებებით. მათი ყურადღება უნდა მივაპყროთ ვაჭრობას, რათა დაიწყონ გამორჩენის ძებნა და ვერ შეამჩნიონ საერთო მტერი.

45. პირველობისთვის ბრძოლა და ეკონომიკური ცხოვრების მოუწესრიგებლობა წარმოქმნის იმედის გაცრუებას. საზოგადოება აბსოლუტური ზიზღით განეწყობა პოლიტიკის და რელიგიის მიმართ. დაბალი კლასები დაუპირისპირდებიან ინტელიგენციას.

46. საზოგადოებას უნდა შევთავაზოთ ადმინისტრაციული მართვის ისეთი ფორმა, სადაც განივრცობა მექრთამეობა, სადაც სამშობლოს და რელიგიის გრძნობა დაითრგუნება კოსმოპოლიტური შეხედულებებით.

47. ერთ დროს ხალხს მეფე ღვთით მოვლენილად მიაჩნდა და უსიტყვოდ ემორჩილებოდა, მაგრამ იმ დღიდან, რაც ჩვენ მათ ჩავაგონეთ აზრი საკუთარ უფლებებზე, ხელმწიფე უბრალო მოკვდავად მიიჩნიეს.

48. ჩვენ ერთმანეთს დავუპირისპირეთ პირადი და ნაციონალური ინტერესები, რელიგიური და ტომობრივი სიძულვილი, რომელიც დავთესეთ 20 საუკუნის მანძილზე.

49. ჩვენ ისეთი ძლიერები ვართ, სახელმწიფოებს უმნიშვნელო გადაწყვეტილების მიღებაც არ შეუძლიათ ჩვენთან შეთანხმების გარეშე. „ჩემი წყალობით მეფობენ მეფენი“. წინასწარმეტყველებმა თქვეს, რომ ჩვენ ღმერთმა გამოგვარჩია მთელ ქვეყანაზე გასამეფებლად. მოწინააღმდეგე ბანაკს ნიჭი რომ ჰქონდეს, შეგვებრძოლებოდა და ბრძოლა იქნებოდა დაუნდობელი, არნახული, მაგრამ დღეს სახელმწიფოთა მექანიზმები მუშაობენ იმ ძრავებით, რომელიც ჩვენს ხელთაა. ეს არის ოქრო.

50. ჩვენი მმართველობის მთავარი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ კრიტიკით გამოვათაყვანოთ საზოგადოებრივი გონება. ხალხი უნდა გადავაჩვიოთ განსჯას და მთელი ცნობიერება წარვმართოთ ფუჭი მჭევრმეტყველებისკენ.

51. ყველა დროში ხალხიც და პიროვნებებიც სიტყვას საქმედ თვლიდნენ. იშვიათად ამჩნევდნენ – სრულდებოდა თუ არა დანაპირები.

52. ჩვენ ყოველ პარტიას მივაწოდებთ ისეთ ორატორებს, რომლებიც უსაგნო, ბევრი ლაპარაკით გადაღლიან ხალხს და ჯამში თავიანთ საწინააღმდეგოდ განაწყობენ.

53. ჩვენ ვაარსებთ უზარმაზარ მონოპოლიებს, კოლოსალურ რეზერვუარებს, რათა ესა თუ ის ქვეყანა, პოლიტიკური კატასტროფისთანავე დაიხრჩოს კრედიტებში.

54. ჩვენ ყოველგვარი საშუალებით უნდა განვავითაროთ ჩვენი ხელისუფლების მნიშვნელობა, წარმოვადგინოთ ის ყველა დამორჩილებულის მფარველად.

55. როცა პოლიტიკურ ძალას მოვსპობთ, მაშინ, აუცილებელია ტერიტორიული მეპატრონეობაც წავართვათ, წინააღმდეგ შემთხვევაში დამოუკიდებლად იგრძნობენ თავს, ამიტომ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ისინი მიწის გარეშე დავტოვოთ. საამისოდ მიწის ბეგარას გავზრდით, რაც მიწათმფლობელობას უსაზღვრო დაჩაგრულობის ზღვრამდე მიიყვანს.

56. საჭიროა მოისპოს მიწაც, გლეხიც, კაპიტალიც და სპეკულაციის წყალობით ხელში ჩავიგდოთ ფული, რითაც პროდუქტის რიგში ჩაგვაყენებს ყველა ერს. მაშინ ქედს მოიხრიან, რომ მიიღონ არსებობის უფლება.

57. მრეწველობის გასაღატაკებლად უნდა გამოვიყენოთ ფუფუნების გრძნობა. უნდა ავამაღლოთ ხელფასი, რომელიც სიკეთეს ვერ მოუტანს მუშას, იმიტომ, რომ პარალელურად გავაძვირებთ პირველი მოხმარების საგნებს.

58. საჭიროა ხელოვნურად, ღრმად გამოვუთხაროთ ძირი წარმოებას. მუშები უნდა მივაჩვიოთ ანარქიას და ალკოჰოლურ სასმელებს.

59. პოლიციის შეიარაღების გაძლიერება, შტატების გაზრდა აუცილებელია ჩვენი გეგმების განხორციელებისათვის.

60. მთელ ევროპაში, შემდეგ სხვა კონტინენტებზე უნდა ჩამოვაგდოთ უთანხმოება და მტრობა. ჩვენი სურვილის მიხედვით მოვაწყობთ არეულობებს, მერე კი ჩვენვე ჩავაცხრობთ, ინტრიგებით ავრევ-დავრევთ პოლიტიკურ-ეკონომიკურ მოლაპარაკებებს.“

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

mware gakveTilebi

evroamerika, ruseTi da saqarTvelo

ციკლიდან: ომი ბნელეთთან — რიცხვი მისი 666

gagrZeleba. dasawyisi ix. `saerTo gazeTi~ #14-50

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ცნობილი დიქტატორების ცხოვრების თანამგზავრები

ზოგიერთი თანამედროვისთვის ამ ქალბატონების მეორე ნახევრები გენიოსები იყვნენ, ბელადები, ზოგისთვის – კაცობრიობის მტრები, მაგრამ მათ ისინი უყვარდათ, ეხმარებოდნენ, საკუთარი თავის რწმენას და სასიცოცხლო ძალებს მატებდნენ, რაც, ხშირ შემთხვევაში, საშინელების მომტანი აღმოჩნდა კაცობრიობისათვის

ევა ბრაუნი

ჰიტლერს მანამდეც არაერთი გატაცება ჰქონდა, მაგრამ მასთან ერთად ბუნკერში ბოლო დღეები სწორედ ევამ გაატარა და მასთან ერთად დაასრულა სიცოცხლე.

კლარა პეტაჩი

კლარეტა პეტაჩი ბენიტო მუსოლინის უკანასკნელი სიყვარული იყო.

დუჩე და კლარა ერთად დახვრიტეს; სროლამდე მან დაიყვირა: "არა, ვერ გაბედავთ!" და მუსოლინის მოეხვია.

ამ წყვილს მართლაც საშინელი სიკვდილი ერგო. დახვრეტის შემდეგ მათი გვამები დიდი ხნის განმავლობაში ეკიდა თავდაყირა, ხოლო ჩამოხსნის შემდეგ ბრბომ ფეხით გადათელა.

ფიდელ კასტრო – მისი ქალები დახვრეტასა და თვითმკვლელობას გადაურჩნენ, თუმცა, მათგან რამდენიმეს რთული ბედი ერგო.

ფიდელის გამო მამაკაცთა გულთამპყრობელმა ავა გარდნერმა თმით ითრია მარიტა ლორენცი. ეს ის მარიტა ლორენცია, რომელიც შემდეგ ხელში ჩაუვარდა კასტროს მტერს და მათ ხანგრძლივი ფსიქოლოგიური ტრენინგის შემდეგ იგი ფიდელის მოსაკლავად გაგზავნეს; თუმცა უკანასკნელ წამს ფიდელს ბედმა გაუღიმა, რადგან მარიტაში ძველმა გრძნობებმა გაიღვიძა.

ცზიან ცინი

მაო ძე დუნის უკანასკნელი ცოლი ცზიან ცინმა მაოს გარდაცვალების შემდეგ უწინდელი რეჟიმის შენარჩუნება სცადა, მაგრამ მან და მისმა სამმა მოკავშირემ მარცხი განიცადეს.

ირმა გრეზე

ირმა გრეზე – აუშვიცის საკონცენტრაციო ბანაკის ერთ–ერთი ულამაზესი და უსასტიკესი ზედამხედველი.

მას არაერთ მაღალი რანგის ნაცისტთან ჰქონია კავშირი, თუმცა ნიურნბერგის პროცესამდე გაასამართლეს და დახვრიტეს;

ნადეჟდა ალილუევა

იოსებ სტალინის ცოლი – ნადეჟდა ალილუევა დღემდე უცნობი მიზეზების გამო მან თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე.

სიცოცხლის წარმოშობის ეტაპები

14 მილიარდი წლის წინათ უდიდესი აფეთქება მოხდა, რის შემდეგაც სიცოცხლე გაჩნდა.

13,999 წლის წინათ რეკომბინაციის ეპოქა იდგა, რითაც განიყო მიწა და ცა. ამ მომენტამდე არაფერი იცის ისტორიამ.

13,999-13 მილიარდი წლის წინათ იდგა „ბნელი ეპოქა", რომლის შესახებ არაფერია ცნობილი. იმ ხანებში გალაქტიკა ყალიბდებოდა.

13 მილიარდი წლის წინათ წარმოიშვა ვარსკვლავების პირველი თაობა, რომელთა შორის შეიძლება დედამიწაც იყო.

4,5 მილიარდი წლის წინათ შეიქმნა ჩვენი მზის სისტემა და ვარსკვლავების მესამე თაობა.



3 მილიონი წლის წინათ დედამიწაზე პირველი ორგანული შენაერთები გაჩნდა.

40 000 წლის წინათ – დედამიწაზე თანამედროვე ადამიანი გაჩნდა. თუკი კაცობრიობის გაჩენას შევხედავთ 100 მეტრიანი დისტანციით, მაშინ ადამიანის გაჩენა დედამიწაზე 30 კილომეტრიანი დისტანციით დგას დღევანდელობასთან შედარებით.

ჩინეთში იეტი დაიჭირეს

ჩინეთში ადამიანის მსგავსი არჩება დაიჭირეს, ადგილობრივი ლეგენდის თანახმად, იგი დათვია, რომელიც ოდესღაც ადამიანი იყო. აღსანიშნავია, რომ დაჭერილ ცხოველს აქვს ბეწვი და ცხოველს მხოლოდ

იმით ჰგავს, რომ კუდი აქვს დედალი კენგურუს მსგავსი.

მონადირე, რომელიც მონაწილეობდა ამ არსების დაჭერაში ამბობს, იეტი ოდნავ ჰგავს დათვს და გამოსცემს კატის კნავილის ხმებს. თავის მხრივ, ადგილობრივი ბიოლოგები, რომლებმაც ნახეს ცხოველი, გადაწყვიტეს იგი პეკინში გადააგზავნონ სრული ანალიზებისთვის.

იეტი (თოვლის კაცი) – ეს არის ძუძუმწოვარა არსება, ადამიანის ტიპის. იგი ადამიანის შორეული წინაპრების გადმონაშთია. სხვათა შორის, ცნობილი მეცნიერი კარლ ლინეი იეტს ჰომო ტროგლოდიტესს, ანუ გამოქვაბულის ადამიანს უწოდებდა.

მოამზადა **ანა ვადაჭკორიამ**

ასტროლოგიური პროგნოზი

ვერძი – ოჯახი თქვენს აქტიურ მოქმედებას მოითხოვს. ყოველდღიური ვალდებულებების შესრულება დიდ ენერგიას წაგართმევთ.

კურო – შემოქმედებით ადამიანებთან ურთიერთობა დაგეხმარებათ საკუთარი მონაცემების გამომჟღავნებასა და გამოყენებაში. ეს კვირა კარგია ცოდნის ასამაღლებლად.

ტყუპები – აქტიური ცხოვრების წესი, გაიძულებთ არ დაკმაყოფილდეთ მიღწეულით და გააგრძელოთ წინსვლა.

კირჩხიბი – კარგი განწყობა და შემოქმედებითი თვითრეალიზაციის სურვილი მოგიტანთ წარმატებას პარტნიორულ ურთიერთობებში.

ლომი – გამდიდრებისა და ქონების მოხვეჭის სურვილი შეგიპყრობთ და სწორედ ამიტომ მზად იქნებით, ყველა ფინანსურ საქმეს თავად გაუძღვეთ.

ქალწული – ამ კვირაში თქვენს ყურადღებას ეკონომიკურ პრობლემებზე გადაიტანთ და შეეცდებით, გაზარდოთ თქვენი შემოსავალი.

სასწორი – ამ კვირაში შეძლებთ იპოვოთ საკუთარი ადგილი საზოგადოებაში. ფინანსური დახმარებისთვის თამამად შეგიძლიათ მიმართოთ თქვენს პარტნიორებს.

მორიელი – გაგიჩნდებათ გართობის სურვილი. საკუთარ ქცევას მიაქციეთ მაქსიმალური ყურადღება.

მშვილდოსანი – სამსახური დიდ დროს წაგართმევთ, ოჯახი და პრობლემები დამატებით ყურადღებას და მზრუნველობას მოითხოვს თქვენგან.

თხის რქა – იმედგაცრუებული იქნებით. ფრთხილად იმოქმედეთ დასახული მიზნის მისაღწევად. შესაძლოა, გარკვეული ფინანსური გარიგების წინაშე აღმოჩნდეთ.

მერწყული – ფულის შოვნას ამჯერად დიდი მონდომებისა და თავდადების ხარჯზე მოახერხებთ. ეკონომიკური სტაბილურობა თქვენი დაღლილობის კომპენსაციას მოახდენს.

თევზები – თავისუფლების სიყვარული, დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა გიბიძგებთ სრულიად მოულოდნელი ქმედებებისკენ.